35. ვარა ბესოს-ასულ გაბლიშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ზარდიაანთკარში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე — ჟუჟუნა სანდროს-ასულ გაბლიშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 2 მაისიდან 1948 წ. 2 მაისამდე.

36. მაკა მათეს-ასულ გაზაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. დრეში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—გენო შაქროს-ძე გაზაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 26 მარტიდან 1948 წ. 26 მარტამდე.

37. თუთა ქიცის-ასულ დუდაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. დრეში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ისიდორე ივანეს-ძე დუდაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 21 ოქტომბრიდან 1948 წ. 21 ოქტომბრამდე.

38. თეკლე ივანეს-ასულ ხაჩიროვას, მცხ. გორის რაიონის სოფ. ხურვალეთში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—სერიოჟა ალექსის-ძე ხაჩიროვზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 15 მარტიდან 1947 წ. 15 მარტამდე.

39. მარიამ გიგოს-ასულ ქოზაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. დიდ-ჯვარებში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე

შვილზე—სარიბეგ კარადის-ძე ქოზაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 15 ნოემბრიდან 1947 წ. 15 ნოემბრამდე.

40. მაკინე რაჟდენის-ასულ ვალიშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ბნავისში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ნარგიზ შაშიკოს-ასულ ვალიშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 4 აპრილიდან 1948 წ. 4 აპრილამდე.

41. მელანია იოსების-ასულ სადაჯაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ქახვრელში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—დურმიშხან სტეფანეს-ძე სადაჯაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 22 თებერვლიდან 1947 წ. 22 თებერვლამდე.

42. ფეფე თომას-ასულ ქოზაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. წითელწყაროში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ლონდრე ვასილის-ძე ქოზაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 აგვისტოდან 1948 წ. 1 აგვისტომდე.

43. მარო გრიგოლის-ასულ თანიაშვილს, მცხ. დუშეთის რაიონის სოფ. თანიანთკარში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ნათელა ზაქარიას-ასულ თანიაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 1 იანვრიდან 1949 წ. 1 იანვრამდე.

44. სონია ზაქარიას-ასულ ხინჩაგაშვილს, მცხ. დუშეთის რაიონის სოფ. ჯონტილში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ნათელა იორდანეს-ასულ ხინჩაგაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 21 მარტიდან 1948 წ. 21 მარტამდე.

45. ნინა ყარამანის-ასულ ჩხუტიაშვილს, მცხ. დუშეთის რაიონის სოფ. წითელსოფელში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—იოსებ გრიგოლის-ძე ჩხუტიაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 14 მარტიდან 1949 წ. 14 მარტამდე.

46. მარიამ გიორგის-ასულ რაზმაძეს, მცხ. ქალ. თბილისში, წიწამურის ქ. № 3 (ლენინის რაიონი), ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—შოთა იასონის-ძე რაზმაძეზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 2 ივნისიდან 1949 წ. 2 ივნისამდე.

47. აგავნიკ მათეოსის-ასულ გრიგორიანს, მცხ. ქ. თბილისში, პლეხანოვის პრ., № 120 (სტალინის რაიონი), ჰყავს 8 შვილი, დაბადებული დაენიშნოს მერვე შვილზე—იშხან თათეოსის-ძე გრიგორიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 18 ივლისიდან 1949 წ. 18 ივლისამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჯაში.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 3 ნოემბერი.

დადგენილება № 1271

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის თაობაზე მიღებული 1944 წლის 27 მარტის № 288 დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 27 მარტის დადგენილებაში „მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ“:

1. მე-18 პუნქტში მოხსენებული მრავალშვილიანი დედის ლალა რამაზან ყზის საცხოვრებელ ადგილად ჩაითვალოს ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. მამიშლო.

2. 22-ე პუნქტში მოხსენებული მრავალშვილიანი დედის სახელი და გვარი იკითხებოდეს „შახშადია ხიდერ ყზი“; მისივე საცხოვრებელი ადგილის სახელწოდება: „ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. მაგმუტლო“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ხ. ჩოხტიაშვილი.

1944 წლის 2 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1273

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ბეწვეულისა და ქურქნედლეულის დამზადების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ოქტომბრის № 1450 დადგენილებისა „1944-45 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის ბეწვეულისა და ტყავნედლეულის დამზადების გეგმის შესახებ“ და დამატებათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 24 ოქტომბრის № 1225 დადგენილებისა „1944-45 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონში ბეწვეულისა და ქურქნედლეულის დამზადების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1944-45 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის 410 ათასი მანეთის ბეწვეულისა და ქურქნედლეულის დამზადების საერთო გეგმიდან 1944 წლის IV კვარტალისათვის დაწესდეს 173.000 მანეთის ბეწვეულისა და ქურქნედლეულის დამზადების გეგმა, აქედან 153.000 მანეთის ბეწვეულისა და 20.000 მანეთის ქურქნედლეულისა, რაც განაწილებულ იქნას ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა და რაიონებს შორის, დანართის თანახმად.

2. სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში გაანაწილოს ამ დადგენილებით დაწესებული ბეწვეულისა და ქურქნედლეულის დამზადების გეგმა სახეებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯ. ჯაფი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 4 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 4/XI
№ 1273 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

ბეწვეულისა და ქურქნედლეულის დამზადებისა 1944 წლის IV კვარტალისათვის (მანეთობით)

რაიონები	ბეწვეული	ქურქნედლეული	ს უ ლ
1	2	3	4
1. ადიგენის	150	50	200
2. ასპინძის	200	100	300
3. ახალციხის	1550	1000	2550
4. ახალქალაქის	1870	300	2170
5. ბაშქირეთის	1600	300	1900
6. ბოგდანოვკის	900	500	1400
7. ბოლნისის	1300	300	1600
8. ბორჩალოს	1800	1375	3175
9. ბორჯომის	800	150	950
10. გორის	800	300	1100
11. გურჯაანის	950	500	1450
12. დუშეთის	800	800	1600
13. თბილისის	3800	3500	7300
14. თელავის	2200	800	3000
15. თეთრიწყაროს	12400	300	12700
16. თიანეთის	1100	250	1350
17. კასპის	750	100	850
18. ლაგოდეხის	2450	350	2800
19. მცხეთის	100	100	200
20. საგარეჯოს	900	300	1200
21. სიღნაღის	1600	1000	2600
22. ქარელის	150	100	250
23. ყაზბეგის	350	500	850
24. ყარაიის	500	750	1250
25. ყვარლის	1550	350	1900
26. წალკის	700	450	1150
27. წითელწყაროს	1550	1000	2550
28. ხაშურის	550	75	625
29. სამხრეთ-ოსეთის ა/ო	4300	1000	5300
30. აბაშის	450	100	550
31. ამბროლაურის	1500	75	1575
32. გეგეჭკორის	2100	75	2175
33. ვანის	1100	75	1175
34. ზესტაფონის	430	75	505
35. ზუგდიდის	1100	75	1175

რაიონები	გეწვეული	ქურქნედლეული	ს უ ლ
1	2	3	4
36. ლანჩხუთის	450	75	525
37. მაიაკოვსკის	1200	50	1250
38. მახარაძის	2950	50	3000
39. ონის	2400	50	2450
40. ორჯონიკიძის	3150	75	3225
41. სამტრედიის	450	75	525
42. საჩხერის	400	100	500
43. ტყიბულის	850	75	925
44. ქუთაისის	3550	300	3850
45. ჩოხატაურის	1100	50	1150
46. ჩხარის	100	50	150
47. ჩხოროწყუს	1100	50	1150
48. ცაგერის	1650	50	1700
49. ცხაკაიას	600	75	675
50. წალენჯიხის	1100	50	1150
51. წულუკიძის	450	50	500
52. წყალტუბოს	450	50	500
53. ჭიათურის	2000	100	2100
54. ხობის	650	75	725
55. ფოთის	800	25	825
56. აფხაზეთის ასსრ	58000	500	58500
57. აჭარის ასსრ	8100	850	8950
58. ზემო-სვანეთის	3500	—	3500
59. ქვემო-სვანეთის	2000	—	2000
60. ცხენისწყლის	1650	100	1750
ს უ ლ	153000	20000	173000

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1275

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944—1945 წლის ზამთარში ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნარგავებისა და ნერგების ყინვისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. 1944—1945 წლის ზამთარში ნიადაგის ფარდულებსა და თხრილებში სტანდარტული ციტრუსოვანი ნერგების შემობარვის გეგმა განისაზღვროს 564.000 ცალის რაოდენობით.

2. არასტანდარტული ციტრუსოვანი ნარგავები 264.000 ცალის რაოდენობით დატოვებულ იქნას ზამთარში მათი ზრდის ადგილას სანერგეებში: ყინვისაგან დასაცავად ნერგებს შემოეყაროს მიწა 20—25 სანტიმეტრის სიმაღლეზე, ნერგების სიმაღლის მიხედვით.

ნერგების საზამთრო შემობარვისა და მიწის შემოყრის გეგმის განაწილება რაიონების, სექტორებისა და კულტურების მიხედვით დამტკიცდეს, № 1 დანართის თანახმად.

ნერგების შემობარვა ფარდულებსა და თხრილებში დამთავრდეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისათვის.

მსუბუქ ნიადაგებზე მიწის შემოყრა წარმოებულ იქნას წმინდა მიწით, ხოლო მძიმე ნიადაგებზე—2—3 კილოგრამი სილის მიმატებით ყოველ მცენარეზე, ნიადაგის ხასიათის მიხედვით.

3. ტუნგოს ნერგების ყინვისაგან დაცვის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) შედარებით ცივ ნაკვეთებზე გაშენებულ სანერგეებში ნერგები ამოითხაროს ნიადაგიდან და ჩაიყაროს წინასწარ შერჩეული ფერდობების თბილ ნაკვეთებში;

ბ) თბილ ნაკვეთებზე გაშენებულ სანერგეებში (რომელთაც ყი-

ნვის ნაკლებად ეშინიათ) ნერგებს შემოეყაროს მიწა მათი აღმრცენების ადგილას 15—20 სანტიმეტრ სიმაღლეზე.

4. წარმოებულ იქნას ლიმონის, ფორთოხლისა და ტუნგოს ოკულანტების მიწის შემოყრა.

ყველა ციტრუსოვანთა ოკულანტების გაღივებულ კვირტებს ყველგან შემოეყაროს მიწა მყნობის ადგილის 10—12 სანტიმეტრის ზემოთ.

როგორც წესი, ციტრუსოვანთა, ტუნგოს ნარგავთა და ოკულანტთა მიწის შემოყრა წარმოებულ იქნას მშრალ ამინდში და დილის პირველი ყინვების დაწყებამდე და ეს მუშაობა დამთავრდეს დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და სუბტროპიკული რაიონების რაიაღმასკომებს, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორს (ამხ. ჯიქიას), ლიმონტრესტის დირექტორს (ამხ. ბერიძეს), საქკონსერვხილტრესტის დირექტორს (ამხ. წიკლაურს) და საქეთერზეთის ტრესტის დირექტორს (ამხ. ცომაიას).

ა) 5 დღის განმავლობაში დააწესონ ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის ნერგების მიწის შემოყრის გეგმა კულტურების მიხედვით და დასახონ ნიადაგის ფარდულებისა და თხრილების რემონტის გეგმა;

ბ) ნიადაგის ფარდულებში შემობარონ მხოლოდ შერჩეული სტანდარტული ნერგები;

გ) უახლოეს დღეებში გამოარკვიონ ყოველ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში იმ ხეებისა და ნაკვეთების რაოდენობა, რომლებიც ძოითხოვენ მცენარეული საფარებითა და მარლით დაცვას და რომლებიც გამთბარ უნდა იქნან სათბურებით;

დ) მარლის საფარები 3 ფენად და სათბურები გამოიყენონ უწინარეს ყოვლისა ნაყოფიერი ასაკის ლიმონებისათვის იმ ადგილებში, სადაც ყინვის ყველაზე მეტი საშიშროებაა;

ე) მძიმე, მცირეძალოვან და მცირეშეღწევადობის ნიადაგებზე შტამბის ირგვლივი წრეების კიდეზე ან ნახევარტერასების კედლებს ქვემოთ მოაწყონ ნალისებრი თხრილები 10—15 სანტიმეტრის სიღრმით; ტერასებზე მოაწყონ თხრილები დაკვალული ფერდობის გასწვრივ;

ვ) ზედმეტად დატენიანებულ მძიმენიადაგიან სწორ ადგილებზე გამენებული პლანტაციებში მწკრივთაშორისის შუა ადგილას გაიყვანონ კვლები 25 სანტიმეტრის სიღრმით, ხოლო შექმნილ მწკრივებს მი-

სცენ დაჭანებულ-ოვალური ფორმა და არ დაუშვან ამასთანავე ხის ფესვების დაზიანება და ფესვის ყელის ამოვსება;

ზ) ჩაატარონ სადრენაჟო და წყალსარინი თხრილების მთელი არსებული ქსელის გაწმენდა ციტრუსოვანთა და ტუნგოს პლანტაციებში და ეს მუშაობა დაამთავრონ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 ნოემბრისა;

თ) ციტრუსოვანი ხეების გაჭიანურებული ზრდის დროს ჩაატარონ მზარდი ყლორტების პინცირება, ხოლო 15 ნოემბრის შემდეგ გამოჩენილი ყლორტები მთლიანად მოაცალონ;

ი) თოვლისაგან დამტვრევის თავიდან აცილებისა და ავრეთვე ჭარისაგან დაცვისათვის, მოსავლის მოკრეფის შემდეგ ჩაატარონ ტოტების აკვრა, ხოლო ახალგაზრდა პლანტაციებში ხეების ტოტები აჭიმონ და მიაკრან სარს;

მიუხედავად ტოტების აკვრისა, დიდი თოვლის მოსვლის დროს აუცილებლივ ჩამობერტყონ თოვლი ხეებზე;

კ) უზრუნველჰყონ ციტრუსოვან ნარგავთა მიწის შემოყრა 20 ნოემბრამდე.

6. ყინვისაგან ციტრუსოვანი ნარგავებისა და ნერგების დაცვის ყველა ღონისძიება გატარდეს საქართველოს სსრ მიწსახკომის 1943 წლის ინსტრუქციის მტკიცედ წესაბამისად.

7. საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სათბურების მჭონე საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ღია და ინდივიდუალური თბობის ღონისძიებებს; სათბურებს წარსულ ზამთრებში ტემპერატურის დაწევის დროს ყველა მეურნეობა მთელ რიგ შემთხვევებში არ იყენებდა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებსა და სუბტროპიკული რაიონების რაიაღმასკომებს მოაწყონ ყველა სათბურის მდგომარეობის შემოწმება, მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე დაამთავრონ მათი რემონტი და უზრუნველჰყონ მეურნეობებში არსებული მთელი რაოდენობის სათბურების სრული გამოყენება ციტრუსოვანთა გასათბობად.

8. ეთხოვოს სსრ კავშირის მიწსახკომს—ამხ. ანდრეევს მისცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს დეკემბრამდე ციტრუსოვანთა გასათბობად 500 ტონა ნავთი.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 8 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 8|XI № 1275 დადგ-
ნილების დანართი

გეგმა

ციტრუსოვან ნარგავთა შემობარვისა და მიწის შემოყრისა საქართველოს სსრ-ში 1944-45 წლის ზამთრისათვის

ასსრ რაიონები	სექტორები და ორგანიზაციები	შემობარვის გეგმა (ცალობით)				მიწის შემოყრის გეგმა ცალობით
		მანდარინი	ლიმონი	ფორთოხალი	სულ	
1. აჭარის ასსრ	კოლმეურნეობები	5900	33500	17600	57000	20000
	ლიმმანტრესტის საბჭ. მეურნეობები	400	24700	10600	35700	41700
	სულ	6300	58200	28200	92700	61700
2. აფხაზეთის ასსრ	კოლმეურნეობები	36200	48200	26100	110500	44000
3. მახარაძის რაიონი	კოლმეურნეობები	7200	10600	6500	24300	10400
	ლიმმანტრესტის საბჭ. მეურნეობები	8300	53200	42400	103900	17500
	სულ	15500	63800	48900	128200	27900
4. ლანჩხუთის რაიონი	კოლმეურნეობები	28200	17200	5800	51200	20800
5. ჩოხატაურის „	„	27500	—	—	27500	8500
6. აბაშის „	„	12800	400	—	13200	7500
7. გეგეჭკორის „	„	300	—	—	300	—
8. ცხაკაიას „	„	30900	3300	2500	36700	5000
9. ხობის „	„	13000	2700	200	15900	14500
10. ფოთის „	„	300	1300	—	1600	3300
11. ზუგდიდის „	„	26200	33500	1200	60900	50.500
	ლიმმანტრესტის საბჭ. მეურნეობები	900	9500	2800	13200	6000
	სულ	27100	43000	4000	74100	56500

ასსრ რაიონები	სექტორები და ორგანიზაციები	შემობარვის გეგმა (ცალობით)				მიწის შემოწერის გეგმა (ცალობით)
		მანდატრონი	ლიმონი	ფერთოსანი	ს უ ლ	
12. ჭალენჯიხის რაი-ნი	კოლმეურნეობები	10100	—	—	10100	12500
13. სამტრედიის „	„	600	100	—	700	300
14. ვანის „	„	1300	—	—	1300	1500
ს უ ლ		210100	238200	115700	564000	264000
აქედან:						
კოლმეურნეობებში	—	200500	150800	59900	411200	198800
ლიმანტრუსტის საბჭოთა მეურნეობებში	—	9600	87400	55800	152800	65200

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1278

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

კომლობრივი წიგნებისა და სასოფლო საბჭოების სააღრიცხვო ფორმების დამზადებისა და დაგზავნისათვის ხარჯების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში IV კვარტალში საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტით 144.390 მანეთი 1945—1947 წლების კომლობრივი წიგნებისა და სასოფლო საბჭოების სააღრიცხვო ფორმების დამზადებისა და დაგზავნისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 9 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1279

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სარეწაო კოოპერაციის არტელ „საქჭრომტყავის“, „სარეწაო ქალალდისა“ და „გემოს“ და ინვალიდთა კოოპერაციის არტელ „მეურნის“ გამგეობათა შტატების შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 20 ივლისის № 804 დადგენილებისა „სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების გამგეობათა მუშაკების შტატებისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სარეწაო კოოპერაციის არტელების გამგეობათა შტატი:

ა) „საქჭრომტყავისა“—9 ერთეულითა და 2810 მან. ხელფასის თვიური ფონდით (დანართი № 1);

ბ) „სარეწაო ქალალდისა“—11 ერთეულითა და 4090 მან. ხელფასის თვიური ფონდით (დანართი № 2);

გ) „გემოსი“—4 ერთეულითა და 1320 მან. ხელფასის თვიური ფონდით (დანართი № 3).

2. დამტკიცდეს საქინკოოპკავშირის სისტემის არტელ „მეურნის“ გამგეობის შტატი 13 ერთეულითა და 4.300 მან. ხელფასის თვიური ფონდით (დანართი № 4).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როხტიაშვილი.**

1944 წლის 9 ნოემბერი.

საქ სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 9/XI
№ 1279 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ტ ა ტ ი

არტელ „საქჭრომტყავის“ გამგეობის ადმინისტრატიულ-სამმართველო პერსონალისა 1944 წლისათვის (1 მაისიდან).

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულები	თანამდებობრივი სანაკვეთი	სულ თვეში
1. თავმჯდომარე	1	500	500
2. ტექნიკური ხელმძღვანელი	1	500	500
3. უფროსი ბუღჰალტერი	1	450	450
4. მოანგარიშე-მოლარე	1	250	250
5. მჭუქნავე	1	250	250
6. დარაჯი-მეხანძრე	3	120	360
7. მჭანიკოსი	1	500	500
ს უ ლ	9		2810

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 9/XI
№ 1279 დადგენილების დანართი № 2

შ ტ ა ტ ი

ტრესტ „სარეწაო ქაღალდის“ გამგეობის აღმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა 1944 წლისათვის

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულები	თანამდებობრივი განაკვეთი	სულ თვეში
1. თავმჯდომარე	1	650	650
2. ტექნიკოს-ხელმძღვანელი	1	650	650
3. ტექნიკოს-მგეგმავი	1	500	500
4. მთავარი ბუხჰალტერი	1	600	600
5. ბუხჰალტერი	1	400	400
6. მოხანგარიშე-მოლარე	1	250	250
7. აგენტი	1	300	300
8. მეკუპნავე	1	250	250
9. საქმისმწარმოებელი-მანქანაზე გადამწერი	1	250	250
10. დარაჯი-მეხანძრე	2	120	240
ს უ ლ	11		4090

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ხ. რუხაძიშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 9/XI
№ 1279 დადგენილების დანართი № 3

შ ტ ა ტ ი

არტელ „გემოს“ გამგეობის ადმინიხტრატიულ-სამმართველო პერსონალისა 1944 წლისათვის (იწ 1 თებერვლიდან)

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულები	თანამდებობრივი განაკვეთი	სულ თვეში (მანეთობით)
1. თავმჯდომარე	1	500	500
2. უფროსი ბუხჰალტერი	1	450	450
3. მეკუმანდე	1	250	250
4. დარაჯი-მეხანძრე	1	120	120
ს უ ლ	4		1320

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ხ. როხტიაშვილი.

შ ტ ა ტ ი

არტელ „მეურნის“ გამგეობის ადმინისტრატიულ-სამმართველო პერსონალისა 1944 წლისათვის (1 იანვრიდან)

თანამდებობათა დასახელება	ერთეულთა რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	სულ თვეში
1. თავმჯდომარე	1	700	700
2. ინჟინერი—ტექნიკური ხელმძღვანელი	1	700	700
3. ტექნიკოს-მგეგმავი	1	500	500
4. მთავარი ბუხჰალტერი	1	600	600
5. ბუხჰალტერი	1	400	400
6. მოანგარიშე-მოლარე	1	250	250
7. აგენტი	1	250	250
8. მეკუმპავე	1	250	250
9. დარაჯი-მეზანძრე	5	120	600
ს უ ლ	13		4300

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1283

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით სპეკულაციისა და როგორც ცალკეული აგრეგატებისაგან, ისე ნაწილებისაგან ავტომანქანების უკანონოდ აწყობის ფაქტების შესახებ

ამ უკანასკნელ დროს გახშირდა ცალკეული აგრეგატებისა და ნაწილებისაგან ავტომობილების აწყობის, აგრეთვე სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიული ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით კოლმეურნეობების მხრივ ჩამოწერილი ავტომანქანების აღდგენის შემთხვევები. დადასტურებულია, რომ ავტომობილების აწყობა და აღდგენა, როგორც წესი, ხდება კერძო პირებისაგან დეტალებისა და აგრეგატების უკანონოდ შესყიდვის, აგრეთვე სახელმწიფო ავტო-სატრანსპორტო პარკის გაძარცვის შედეგად.

სახელმწიფო ავტოპარკის, კერძოდ, ჩამოწერილი ავტომობილების, დიდძალი სათადარიგო ნაწილი და აგრეგატი ხელში უვარდება კერძო პირებს, რომლებიც შემდეგ ამ ნაწილებს სპეკულატურ ფასებში ჰყიდიან სახელმწიფო, კოოპერატიულ, სამეურნეო ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებზე.

ავტომანქანების ნაწილებისა და ცალკე აგრეგატების დატაცების გარდა, ამგვარადვე ნიავდება ასი ათას მანეთობით სახელმწიფო და საკოლმეურნეო სახსრები. წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო-ქედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ სატვირთო ავტომანქანაში კერძო პირს მისცა 105 ათასი მანეთი, ხოლო ყვარლის რაიონი სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მანქანაში 80 ათასი მანეთი გადაიხადა, საქართველოს სსრ კვებმრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ 1943 წლის ივლისიდან 1 44 წლის ივლისამდე 65

ათას მანეთზე მეტი დახარჯა სპეკულანტებისაგან საავტომობილო სათადარიგო ნაწილების შეძენაში.

საქმამანკომბინატის ჩხარის რაიონულმა განყოფილებამ და სახელმწიფო შრომითი რეზერვების № 6 სახელოსნო სასწავლებელმა უკანონოდ ააწყვეს სხვადასხვა ნაწილებისა და აგრეგატებისაგან ჩამოწერილი ავტომანქანები; გორის რაიაღმასკომმა გორის სამალარიო სადგურის კუთვნილი ჩამოწერილი სატვირთო ავტომანქანა უკანონოდ გადასცა სოფელ ახალი უბნის კოლმეურნეობას და ნება დართო მას აღედგინა იგი; კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტმა ცალკეული აგრეგატებისა და ნაწილებისაგან ააწყო მ—1 მარკის ავტომანქანა; თიანეთის რაიონის სოფელ თოლენჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ცალკეული ნაწილებისა და აგრეგატებისაგან ააწყო „გაზ—აა“ მარკის სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც სხვა ავტომანქანის ნომერი მიაკრა და საეჭვოლოტაციოდ გადასცა.

დადასტურებულია აგრეთვე მრავალი ფაქტი, როცა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კოლმეურნეობანი კერძო პირებისაგან ყიდულობენ საწვავ მასალას სპეკულაციურ ფასებში.

„გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორას და ბევრი საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს არ შეუსრულებიათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 ოქტომბრის № 1750 და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 22 ნოემბრის № 1773 დადგენილებანი „ჩამოწერილი ავტომობილების ცალკეული ნაწილებისა და აგრეგატების „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ ადგილობრივი კანტორებისათვის სავ ლდებულო ჩაბარების შესახებ, რამაც ხელი შეუშყო დანაშაულებრივი ელემენტების მიერ ავტომანქანების ნაწილებისა და აგრეგატების დატაცებას.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მხრივ სუსტი კონტროლი ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციისა და ტექნიკური მდგომარეობისადმი, სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის სათანადო აღრიცხვის უქონლობა, მილიციის ორგანოებისა და პროკურატურის მიერ ბრძოლის შესუსტება სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის სპეკულაციის ფაქტებისა და ჩამოწერილი ავტომანქანების უკანონოდ აღდგენის შემთხვევების წინააღმდეგ, აგრეთვე ის გარემოება, რომ შესრულებული არ არის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 26 მაისის № 787 დადგენილება და სსრ კავშირის მილიციის მთავარ სამმართველოსა და პროკურატურის 1942 წლის 19 სექტემბრის მითითება ავტომანქანების გამოყენების საქმეში არსებულ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ხელს უწყობს დანაშაულებრივ ელემენტებს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების, საწვავი მასალის დატაცებისა და სპეკულაციის საქმეში.

იმის ნაცვლად, რომ მთელის სიმკაცრით გატარდეს ცხოვრებაში კანონი ჩამოწერილი ავტომობილების აწყობისა და აღდგენის საქმეში დაშვებულ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მოსდის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისა, კოლმეურნეობებისა და რაიაღმასკომებისაგან ბევრი შუამდგომლობა უკანონოდ აწყობილი ან აღდგენილი ავტომანქანების ექსპლოატაციის ნებართვის მიცემის შესახებ.

საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატმა დღემდეც ვერ შეასრულა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 4 მარტის № 235 და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 27 მარტის № 403 დადგენილებანი სატვირთო ავტოტრანსპორტის ცალიერი გარბენების გამოყენების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახალხო კომისრების, ცენტრალურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, საქალაქო, რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ საწვავი მასალის, ავტომანქანების ნაწილებისა და აგრეგატების შეძენა კერძო პირებისაგან, აგრეთვე ჩამოწერილი ავტომობილების აღდგენა ფაქტიურად სწარმოებს სახელმწიფოსათვის ამ მასალების მოპარვისა და ავტოპარკის გაძარცვის ხარჯზე, რაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

2. წინადადება მიეცეს სახალხო კომისრებს, ყველა დაწესებულებების, ორგანიზაციის, საწარმოს ხელმძღვანელებს, აგრეთვე რაიონული და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) უზრუნველჰყონ უცილობლივ შესრულება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 ოქტომბრის № 1750 და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 22 ნოემბრის № 1773 დადგენილებებისა ჩამოწერილი ავტომობილების ცალკეული ნაწილებისა და აგრეგატების „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ ადგილობრივი კანტორებისათვის სავალდებულო ჩაბარების შესახებ და შემდეგში არ დაუშვან ჩამოწერილი ავტომანქანების აღდგენა;

ბ) კატეგორიულად აუკრძალონ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს ავტომანქანების შეკეთება კერძო წესით, საწვავის, დეტალების, ნაწილებისა და აგრეგატების შეძენა კერძო პირებისაგან და არ გაანაღდონ ის ხარჯები, რომლებიც გაწეულია ამ ოპერაციებისათვის.

სამართალში მისცენ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, აგრეთვე მთავარი ბუხჰალტრები, რომლებიც ამ პუნქტს დაარღვევენ;

გ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის აღრიცხვას, შენახვასა და ხარჯვას, აგრეთვე ავტო-

ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობასა და ექსპლოატაციას, ამასთან უზრუნველჰყონ, რათა უცილობლივ შესრულდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 26 მაისის № 787 დადგენილება სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების საქმეში არსებული ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

3. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები, რომლებიც მხილებული იქნებიან ავტომანქანების მოპარული სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის ქერძო პირებისაგან შეძენაში;

ბ) კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმებისა და წლიური ანგარიშების განხილვისას გულმოდგინედ შეამოწმონ ავტოტრანსპორტის შეძენისა და შენახვის ხარჯების წყაროები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოს ერთი თვის განმავლობაში აღრიცხოს ყველა ავტომანქანა, რომლებიც კერძო პირებს ეკუთვნის, შეამოწმოს, რა გზით არის შეძენილი ეს მანქანები და რა წყაროებიდან ხდება მათთვის საწვავის მიცემა.

შემოწმების შედეგები წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ავტოინსპექციას (ამხ. მანსვეტოვს) „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველს (ამხ. ბელქანიას) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 ოქტომბრის № 1750 და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 22 ნოემბრის № 1773 დადგენილებანი ჩამოწერილი ავტომანქანების დეტალებისა და აგრეგატების „ავტოტრაქტოროსბიტის“ კანტორებისათვის სავალდებულო ჩაბარების შესახებ და პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელთაც ვერ უზრუნველჰყვეს საავტომობილო ნაწილებისა და აგრეგატების ჩაბარება „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ ადგილობრივი კანტორებისათვის დადგენილი წესით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (ამხ. ალავიძეს) და საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს (ამხ. ჰახონელიძეს) შეამოწმონ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოებში ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოების მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოების საქმის გაუმჯობესებას, როგორც საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემაში, ისე სხვა სახალხო კომისარიატების საწარმოებშიც.

7. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს მილიციის დარგში ამხ. ნაჭყებიას გააძლიეროს მილიციის ორგანოების ბრძოლა ჩამოწერილი ავტომანქანების უკანონოდ აღდგენის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ავტომანქანების დეტალების, ავტოსაბურავებისა და საწვავის დატაცებასა და სპეკულაციას ეწევიან.

8. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა და პროკურატურამ მისცენ მითითება ადგილობრივ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს, რათა მათ უმოკლეს ვადაში დაამთავრონ გამოძიება და თავის დროზე გაარჩიონ საქმეები ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებითა და საწვავით სპეკულაციის შესახებ, აგრეთვე ჩამოწერილი ავტომანქანების აღდგენის საქმეში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ.

9. დამტკიცდეს უვარგისი ავტომობილების დამწუნებელი და ჩამომწერი მუდმივი რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ი. ჯაში (კომისიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ავტოინსპექციის უფროსი და „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1284

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

შეშის მომარაგებისა და მისი გადმოზიდვისათვის საჭირო ვაგონების განაწილების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 14 ოქტომბრის № 1409 დადგენილებისა „შეშით მომარაგებისა და მისი გადმოზიდვისათვის საჭირო ვაგონების განაწილების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სარეალიზაციო შეშის რესურსები და მომხმარებელთა შეშით მომარაგების გეგმა 1944 წლის IV კვარტალისათვის 227,6 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით, აქედან: ძირითად ჩამბარებელთა ხაზით—71,9 ათასი კუბ. მეტრი, ძირითად თვითდამზადებელთა ხაზით—59,0 ათასი კუბ. მეტრი და ადგილობრივ დამზადებელთა და თვითდამზადებელთა ხაზით—96,7 ათასი კუბ. მეტრი, რაც განაწილდეს შეშის ცალკეულ დამზადებლებსა, ჩამბარებლებსა და მომხმარებლებს შორის, № 1 და 2 დანართების თანახმად.

2. დამტკიცდეს თბილისში შეშის შემოზიდვის 1944 წლის IV კვარატალის გეგმა 82,8 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით, რაც განაწილდეს შეშის ჩამბარებელთა და მომხმარებელთა შორის, № 2 დანართის თანახმად.

3. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბლესის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს ამხ. კვიცარიძეს, თბილსათბობის მმართველს ამხ. ბუაძეს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს, საქსარეწტყეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯებაშვილს და აგრეთვე ბათუმის ჭალაქსათბობის, ცხაკაიას და

ხობის რაიაღმასკომებისა და ფოთის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატების ხელმძღვანელებს:

ა) სამი დღის განმავლობაში მიამაგრონ შეშის მომხმარებელნი ჩამბარებლებს და მისცენ მათ განრიგები შეშის მიღებაზე დამტკიცებული ფონდების ფარგლებში;

ბ) უწინარეს ყოვლისა უზრუნველჰყონ შეშით გამოყოფილი ფონდების ფარგლებში საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები, სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, უმაღლესი ხასწავლებლები, საბავშვო ბაგები, საავადმყოფოები და ევაკოჰოსპიტლები;

გ) ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომყოლ ყოველ ათ რიცხვს წარუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ცნობები წლის დამდეგიდან მზარდი შედეგებით შეშის დამზადების, გამოზიდვისა და რეალიზაციის გეგმების შესრულებისა და აგრეთვე ტყეში, სამრეწველო პუნქტებსა და რკინიგზის ხაზთან სააღრიცხვო თვის დამლევისათვის დარჩენილი შეშის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილმბრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს:

ა) აბასთუმნის სამკურნალო დაწესებულებათა ჯგუფის შეშის კვარტალური მოთხოვნილება (აბასთუმნის საკურორტო სამმართველოსი—350 კუბ. მეტრი, აბასთუმნის ტუბინსტიტუტისა—300 კუბ. მეტრი, სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს აბასთუმნის ჰოსპიტლისა—400 კუბ. მეტრი, სპეცსამანსამმართველოს აბასთუმნის დასასვენებელი სახლისა—30 კუბ. მეტრი და აგრეთვე საქვაჭრობის აბასთუმნის განყოფილებისა—100 კუბ. მეტრი და აბასთუმნის ობსერვატორიისა—30 კუბ. მეტრი) 1944—45 წლის სათბობ სეზონში დააკმაყოფილოს აბასთუმნის საკურორტო სატყეო მეურნეობის დამზადებიდან და დააჩქაროს შეშის დამზადება 1944 წლის IV კვარტალში 1945 წლის დამზადების გეგმის ანგარიშში;

ბ) გარღვევის დასაფარავად აბასთუმნის დაწესებულებათა შეშის წლიურ მოთხოვნილებასა და აბასთუმნის საკურორტო სატყეო მეურნეობის დამზადებიდან შეშის გაცემის შესაძლებლობას შორის მოაწყოს შეშის დამზადება ადიგენის სატყეო სამრეწველო მეურნეობასა და ადიგენის სატყეო მეურნეობაში და ეს შეშა მიაწოდოს მომხმარებლებს ფრანკო-გზატკეცილი.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს (ამხ. ბერაძეს), აბასთუმნის ტუბინსტიტუტს (ამხ. უშვერიძეს), სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს

ჰოსპიტლების სამმართველოს (ამხ. ყურაშვილს) და საქვაბროობას (ამხ. ხუნწარიას) მხედველობაში მიიღონ, რომ მომავალში შეშის გაცემა აბასთუმნის სატყეო მეურნეობიდან მნიშვნელოვნად შემცირდება და უზრუნველყონ სათბობთა გადაყვანა სხვა სახის სათბობის გამოყენებაზე და შეშის შეზოზიდვა ადიგენის სატყეო მეურნეობიდან.

6. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომს დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მუშახელითა და ჰაპანზიდვის ტრანსპორტით აბასთუმნის სამკურნალო დაწესებულებათა ჯგუფის შეშით უზრუნველყოფის საქმეში.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ჯაბუას):

ა) უზრუნველჰყოს 1944 წლის IV კვარტალში შეშის მიზიდვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბლესის“ რელსისპირა საწყობებში 30,0 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით;

ბ) ნება დართოს რიონჰესის მუშათა მომარაგების განყოფილებას გამოზიდოს ტყიდან და გადმოგზავნოს დამხმარე მეურნეობის ნაკვეთების ამოძირკვის დროს მის მიერ დამზადებული 350 კუბ. მეტრი შეშა.

8. დამტკიცდეს ვაგონების განაწილების გეგმა შეშის გადმოსაზიდად 1944 წლის IV კვარტალისათვის, № 3 დანართის თანახმად.

დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს ამხ. ტაბატაძეს უზრუნველჰყოს ცალიელი ვაგონების თავის დროზე მიწოდება შეშის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის შეშის გადაზიდვის 1944 წლის IV კვარტალის გეგმის უცილობლივ შესასრულებლად და არ დაშალოს გზაზე მავალი 4 შეშის მზიდავი ტრიალა.

9. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბლესის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს ამხ. კვიცარიძეს, თბილსათბობის მმართველს ამხ. ბუაძეს და საქსარეწტყეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯებაშვილს ქალაქ თბილისში არსებული და ამ დადგენილებით გაუთვალისწინებელი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შეშის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ წვრილი ბითუმის ფონდებიდან.

10. ქალ. თბილისში შემოზიდული შეშის სრული დაცვის უზრუნველყოფისა და გზაში სპეციალური დაცვის მოწყობის მიზნით, ნება დაერთოს დროებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბლესის“ საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს და თბილსათბობის ტრესტს დახარჯონ 5 მანეთამდე თითო კუბ. მეტრი

შეშისათვის შეშის სხვა ხარჯების ეკონომიიდან მისი გასაყიდი ფასის გაუდიდებლად.

11. აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ფრონტის საბინარ-საექსპლოატაციო განყოფილების შეშის თვითდამზადების ტყესაკაფი ფონდით სრული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1944 წლის 31 ოქტომბრის № 1253-ს დადგენილებით წინადადება მისცა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამოჰყონ დამატებითი ტყესაკაფები.

12. აღინიშნოს, რომ ამ დადგენილებით ამოიწურება ყველა ის ვალდებულება სახალხო კომისარიატებისა და უწყებებისათვის შეშის მიწოდების დარგში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ წინათ გამოტანილი დადგენილებებითა და განკარგულებებით 1944 წლის IV კვარტალისათვის, და 1944 წლის 1 ოქტომბრიდან წარმოებული შეშის ჩაბარება ჩაითვალოს 1944 წლის IV კვარტალის ფონდში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/XI
№ 1284 დადგენილების დანართი № 1

რ ე ს უ რ ს ე ბ ი

სარეალიზაციო შეშისა 1944 წლის IV კვარტალისათვის (სასაწყობო კუბ. მეტრობით)

ძირითადი ჩამბარებლები

საქართველოს სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი . .	27.000
სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბლესის" რესპუბლიკური სამმართველო	43.900
ამიერკავკასიის რკინიგზის სატყეო განყოფილება . . .	1.000
სულ ძირითად ჩამბარებელთა ხაზით .	71.900

ძირითადი თვითდამამზადებლები

სსრ კავშირის შინსახკომი	15.000
სსრ კავშირის კვების მრეწვ. სახ. კომისარიატი . . .	3.000
თავდაცვის სახალხო კომისარიატი—ამიერკავკასიის ფრონტის საბინაო-საექსპლოატაციო განყოფილება . .	41.000
სულ ძირითად თვითდამამზადებელთა ხაზით .	59.000

ადგილობრივი დამამზადებლები და თვითდამამზადებლები

თბილსათბობი	41.500
საქსარეწტყეკავშირი	15.000
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო	13.500
ბათსათბობი	4.000
ხობის რაიონული სამრეწველო კომბინატი	4.500
ცხაკაიას „ „ „	3.000
ფოთის საქალაქო „ „	2.600
ჭუთაისის „ „ „	3.000
სარეწაო კავშირი	2.000
საქ. სსრ კომუნ. მეურნ. სახ. კომისარიატი	2.000
საქაბრეშუმტრესტი	500
მთავარი საგზაო სამმართველო	1.000
ცეკავშირი	1.000

„კავსტროიმატერიალი“	500
რაჭის დარიშხანა	800
ცანის დარიშხანა	800
„კარობირედმეტი“	1.000

სულ ადგილობრივი დამამზადებლებისა და თვითდამამზადებლების ხაზით . . .	96.700
სულ შეშის რესურსები 1944 წლის IV კვარტალისათვის საქართველოს სსრ-ში	227.600

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. რუხტიაშვილი.**

შეშის მომხმარებელთა დასახელება	ჩამბარებელთა							
	სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გლავსნაბლესის რესპ. სამმართველო		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისის	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისის	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისის	ს/ს ვაგონი	აქედან თბილისის
1	2	3	4	5	6	7	8	9
ა/კ-ის ფრონ.ის საბინაო-საექსპლოატაციო განყ-ბა	1000	—	—	—	—	—	—	—
ჯავშანსატანკო ქარხანა	100	100	—	—	—	—	—	—
სამხედრო-საზღვაო ფლოტი—შავიზღვის ფლოტის სათბობი განყოფილება	5000	—	—	—	2900 ა)	—	—	—
სამხედრო-საზღვაო ფლოტი—ნახიმოვის სასწავლებელი	500	500	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ შინსახკომი—სსრ კავშირის შინსახკომის განწესებით	—	—	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ შინსახკომი—გზატკეცილების სამმართველო	—	—	—	—	200	200	—	—
საქ. სსრ შინსახკომი—სამეურნეო სამმართველო	500	200	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ შინსახკომი—სპეცგაპრობა	300	300	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ შინსახკომი—სამხედრო მომარაგების სამოლქო სამმართველო	2400	500	200	—	—	—	200	—
საქ. სსრ შინსახკომი—საავიაციო მშენებლობის სამმართველო	—	—	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ სახუშაოების სახალხო კომისარიატი	500	300	—	—	200 ბ)	200	—	—
„ზაკვეისტროი“	400	100	—	—	—	—	—	—
ფოთის წყალქვეშელთა განსაკუთრებული დამკვრელი დივიზიონი—წყალქვეშელთა ოჯახებისათვის	500	—	—	—	—	—	—	—

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/XI-ის
№ 1284 დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲐ

1944 წლის IV კვარტალისათვის

დასაბეჭდება											
ფოთის საქალაქო სამრეწვ. კომბინატი		ცხაკაიას რაიონული სამრეწვ. კომბინატი		ხობის რაიონული სამრეწველო კომბინატი		საკურორტო ტყეების სამმართველო		თვითდამზადებლები		სულ	
ც/ს ფ	აქედან თბილისის	ც/ს ფ	აქედან თბილისის	ც/ს ფ	აქედან თბილისის	ც/ს ფ	აქედან თბილისის	ც/ს ფ	აქედან თბილისის	ც/ს ფ	აქედან თბილისის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	41000	—	42000	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	1600 [1]	—	—	—	9500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	500
—	—	—	—	—	—	—	—	15000	—	15000	—
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	300	200
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	600	200
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	300	300
—	—	—	—	—	—	200	—	—	—	3000	500
—	—	100	—	—	—	—	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	700	500
100	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	ჩამბარებელთა							
	სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გლავსნაბჭესის რესპ. სამმართველო		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ს/წ	აქედან თბილისის	ს/წ	აქედან თბილისის	ს/წ	აქედან თბილისის	ს/წ	აქედან თბილისის
1	2	3	4	5	6	7	8	9
ავიაბაზა—მე-4 სამხედრო საზღვაო საავიაციო სასწავლებელი	—	—	—	—	—	—	—	—
გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ფოთის ქარხანა № 201 .	300	—	—	—	—	—	—	—
გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ბათუმის ქარხანა № 201	200	—	—	—	—	—	—	—
საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ქარხანა № 31	500	500	—	—	—	—	—	—
საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი—თბილისის ავიატექნიკუმი	50	50	50	50	—	—	—	—
სახ. მატ. რეზერვების სამმართვ.—საქტერსამმართველო, საწარმოთათვის	100	100	—	—	—	—	—	—
სახ. მატ. რეზერვების სამმართვ., საბრეზერვი . .	1450	—	—	—	—	—	—	—
ჯანსახკომი—ევაკოჰოსპიტლებისათვის	700	700	500	300	—	—	200	—
ორულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო—ევაკოჰოსპიტლებისათვის	300	—	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—რკინიგზა	13000[3]	5000	3200	1300	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—„ცუქელდორსტროი“	3500	—	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა . . .	100	100	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—„მოსტოტრესტი“	—	—	—	—	—	—	—	—
გზათა სახალხო კომისარიატი—მშენებლობა № 3								

დასახელება

ფოთის საქალაქო სამრეწვ. კომბინატი		ცხაკაიას რაიონული სამრეწვ. კომბინატი		ხობის რაიონული სამრეწველო კომბინატი		საკურორტო ტყეების სამმართველო		თვითდამხადებლები		სულ	
ს/ფული	აქედან თბილისის	ს/ფული	აქედან თბილისის	ს/ფული	აქედან თბილისის	ს/ფული	აქედან თბილისის	ს/ფული	აქედან თბილისის	ს/ფული	აქედან თბილისის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	300[1]	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	300	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	500
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1450	—
—	—	1300	1000	1500	—	300	—	—	—	4500	2000
—	—	200	—	—	—	1500[2]	—	—	—	2000	—
—	—	300	—	500	—	—	—	1000	—	18000	6300
—	—	—	—	—	—	2000	—	—	—	5500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	800[1]	—	—	—	800	—

შეშის მომხმარებელთა დასახელება	ჩამბარებელთა							
	სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გლავსნაბდესის რესპ. სამმართველო		საქსარწყ-ტყეკავშირი		თბილისათბობი		ბათსათბობი	
	ს/წ	აქედან თბილისის	ს/წ	აქედან თბილისის	ს/წ	აქედან თბილისის	ს/წ	აქედან თბილისის
1	2	3	4	5	6	7	8	9
ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	500	500	—	—	—	—	—	—
„კავსტროიმატერიალი“	—	—	—	—	—	—	—	—
„კავკველდორზიივპრომი“	—	—	—	—	—	—	—	—
ელექტრომრეწველობის სახ. კომისარიატი —ქარხანა № 712	500	500	—	—	—	—	—	—
ელექტრომრეწველობის სახ. კომისარიატი—ქარხანა № 173	50	50	50	50	—	—	—	—
ელექტროსადგურების სახ. კომისარიატი—საქენერგო	60	60	—	—	—	—	—	—
ელექტროსადგურების სახ. კომისარიატი —ჰიდროენერგოპროექტი	—	—	—	—	—	—	—	—
ქვანახშირის მრეწველობის სახ. კომისარიატი—საქნახშირგამოკვლევა	—	—	—	—	10	10	—	—
ქვანახშირის მრეწველობის სახ. კომისარიატი—„ზაკსნაფუგოლი“	—	—	—	—	15	15	—	—
ნავთის მრეწველობის სახ. კომისარიატი – საქნავთი	—	—	30	30	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის სახ. კომისარიატი—„სოიუზნევტეპროვოდი“	50	—	—	—	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის სახ. კომისარიატი —თბილისის ნავთის ტექნიკუმი	—	—	30	30	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის სახ. კომისარიატი — საკგუბრინი	—	—	30	—	—	—	—	—
ნავთის მრეწველობის სახ. კომისარიატი—გასამხედროებული დაცვა № 108	20	20	—	—	—	—	—	—
ზესტაფონის ფეროქარხანა და ჰიათურაძარგანეცი—სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო								

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ფოთის საქალაქო სამრეწვ. კომბინატი		ცხაკაიას რაიონული სამრეწვ. კომბინატი		ხობის რაიონული სამრეწველო კომბინატი		საკურორტო ტყეების სამმართველო		თევითდამამზადებლები		ს უ ლ	
ჯ ა მ ი	აქედან თბილისის	ჯ ა მ ი	აქედან თბილისის	ჯ ა მ ი	აქედან თბილისის	ჯ ა მ ი	აქედან თბილისის	ჯ ა მ ი	აქედან თბილისის	ჯ ა მ ი	აქედან თბილისის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	100	—	—	—	—	—	—	—	600	500
—	—	—	—	—	—	—	—	500	500	500	500
—	—	—	—	—	—	100	—	—	—	100	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	500
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60
50	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15	15
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20

შეშის მომხმარებელთა დასახელება	ჩამბარებელთა							
	სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გლავსნაბდესის რესპ. სამმართველო		საქსარეწყტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ს/ფ ხ ვ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ ხ ვ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ ხ ვ	აქედან თბილისისთვის	ს/ფ ხ ვ	აქედან თბილისისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
კომისარიატის განწყობით	500	—	—	—	—	—	—	—
„სანაჩერმეტის“ თბილკანტორა	—	—	60	60	—	—	—	—
„გლავეტორჩერმეტი“	—	—	—	—	10	10	—	—
„სოიუზპრომმეტიზსბტი“	—	—	—	—	10	10	—	—
„გლავმეტალოსბიტი“	—	—	20	20	50	50	—	—
თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმი	—	—	60	60	—	—	—	—
შავი მეტალურგიის სახ. კომისარიატის „გიპრომეზი“	—	—	100	100	—	—	—	—
ფერადი ლითონების სახ. კომისარიატი — „კარობირედმეტი“	—	—	—	—	—	—	—	—
საქფერლითგამოკვლევა	—	—	—	—	10	10	—	—
საქფერლითგამოკვლევა — „ვტორცვეტმეტის“ საკანტორა	—	—	—	—	20	20	—	—
საქფერლითგამოკვლევა — ფერლითგასაღება	—	—	—	—	10	10	—	—
საქფერლითგამოკვლევა — საკოკრო	—	—	—	—	20	20	—	—
საქფერლითგამოკვლევა — სპილენძსატკეცი ქარხანა	—	—	10	10	—	—	—	—
ქიმიური მრეწველობის სახ. კომისარიატი—რაჭის დარიშხანა	—	—	—	—	—	—	—	—
ქიმიური მრეწველობის სახ. კომისარიატი—ცანის დარიშხანა	—	—	—	—	—	—	—	—
ქიმიური მრეწველობის სახ. კომისარიატი—ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა	1000	—	400	—	—	—	—	—
ქიმიური მრეწველობის სახ. კომისარიატი — „გლავხიმსბიტის“ თბილკანტორა	—	—	—	—	30	30	—	—
დაზგათმშენებლობის სახ.								

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის საქალაქო სამრეწვ. კომბინატი		ცხაკაიას რაიონული სამრეწვ. კომბინატი		ხობის რაიონული სამრეწველო კომბინატი		საკურორტო ტყეების სამმართველო		თევითდამამზადებლები		სულ	
ს/ფ	აქედან თბილისის	ს/ფ	აქედან თბილისის	ს/ფ	აქედან თბილისის	ს/ფ	აქედან თბილისის	ს/ფ	აქედან თბილისის	ს/ფ	აქედან თბილისის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	70	70
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	1000	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	10
—	—	—	—	—	—	—	—	800	—	800	—
—	—	—	—	—	—	—	—	800	—	800	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1400	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	30	30

შეშის მომხმარებელთა დასახელება	ჩამბარებელთა: სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გლავსნაბლესის რესპ. სამმართველო		საქსარეწტყეკავშირი		თბილსათბობი		ბათსათბობი	
	ს ვ ნ ა	აქედან თბილისისთვის	ს ვ ნ ა	აქედან თბილისისთვის	ს ვ ნ ა	აქედან თბილისისთვის	ს ვ ნ ა	აქედან თბილისისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
კომისარიატი—კიროვის სახ. ქარხანა	200	200	—	—	—	—	—	—
დაზგათმშენებლობის სახ. კომისარიატი — ქარხანა „ცენტროლიტი“ . . .	100	100	—	—	—	—	—	—
დაზგათმშ ნებლობის სახ. კომისარიატი — ქარხანა „სტანოკი“	80	80	—	—	—	—	—	—
დაზგათმშენებლობის სახ. კომისარიატი—დაზგათ მომარაგების თბილკანტორა	—	—	—	—	20	20	—	—
სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახ. კომისარიატი—სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო	1500	300	—	—	—	—	—	—
სამშენებლო მასალათა მრეწველობი სახ. კომისარიატი — კასპის ცემენტის ქარხანა	50	—	—	—	—	—	—	—
საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი—ბათუმისა და ფოთის საეკსპრო ნავსადგურებისათვის—საზღვაო ფლოტის სახ. კომისარიატის განწყესით .	900	—	—	—	—	—	—	—
მშენებლობის სახ. კომისარიატი	500	—	—	—	—	—	—	—
მშენებლობის სახ. კომისარიატი—განსაკუთრებული სამშენებლო—სამონტაჟო სამმართველო—5	—	—	60	60	—	—	—	—
მშენებლობ ს სახ. კომისარიატი—განსაკუთრებული სამშენებლო სამონტაჟო ნაწილი—56 . . .	—	—	60	60	—	—	—	—
მშენებლობის სახ. კომისარიატი—განსაკუთრებუ-								

დასაწყისი

ფოთის საქალაქო სამრეწვ. კომბინატი		ცხაკაიას რაიონული სამრეწვ. კომბინატი		ზობის რაიონული სამრეწველო კომბინატი		საკურორტო ტყეების სამმართველო		თვითდამზადებლები		სულ	
ს ვ ლ	აქედან თბილისის	ს ვ ლ	აქედან თბილისის	ს ვ ლ	აქედან თბილისის	ს ვ ლ	აქედან თბილისის	ს ვ ლ	აქედან თბილისის	ს ვ ლ	აქედან თბილისის
10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	200	200
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	80	80
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	20
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1500	300
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	50	—
600	—	—	—	—	—	—	—	—	—	1500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	500	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	60	60

შეშის მომხმარებელთა დასახელება	ჩამბარებელთა							
	სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გლავსნაბლესის რესპ. სამმართველო		საქსარეწ-ტყეკავშირი		თბილსათ-ბოზი		ერთიანული გათსათბო-ბი	
	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის	ჯ/ვ ს	აქედან თბილისისთვის
1	2	3	4	5	6	7	8	9
ლი საპროექტო-სამონტაჟო სამმართველო—35	—	—	60	60	—	—	—	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი	200	200	—	—	100	100	50	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი—ტრიკოტაჟკომბინატი	—	—	—	—	80	80	—	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი—საქტრიკოტაჟის ფაბრიკა	—	—	—	—	40	40	—	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი — ბეროის სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკა	—	—	—	—	100	100	—	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი—„სოიუზკალოშტრესტი“	—	—	—	—	20	20	—	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი—თბილისის ტყავ-ფეიგრეულობის ბაზა	—	—	10	10	—	—	—	—
საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი—ფაბრიკა „სოიუზუტილი“	60	60	—	—	—	—	—	—
საქ. სსრ საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატი	—	—	100	100	—	—	—	—
საქაბრეშუმტრესტი	—	—	—	—	20	20	—	—
მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი	—	—	—	—	20	20	—	—
საქ. სსრ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი	8400	4700	440	410	310	310	300	—
აგპაულის შამპანკომბინატი	—	—	180	40	—	—	—	—
საქ. სსრ ხორცრძემრეწველობის სახ. კომისარიატი	2000	800	—	—	—	—	—	—
დამზადებათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამ-								

დასაწყება

ფოთის საქალაქო სამრეწვ. კომბინატი		ცხაკაიას რაიონული სამრეწვ. კომბინატი		ხობის რაიონული სამრეწველო კომბინატი		საკურორტო ტყეების სამმართველო		თვითმდამბალები		სულ	
ც/ს წელ	აქედან თბილისის	ც/ს წელ	აქედან თბილისის	ც/ს წელ	აქედან თბილისის	ც/ს წელ	აქედან თბილისის	ც/ს წელ	აქედან თბილისის	ც/ს წელ	აქედან თბილისის
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სატყეო მეურნეობების მიერ დასამზადებელ და საბოლოო პუნქტებზე გასაყიდ შეშაზე გავრცელდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 22 სექტემბრის № 1381 დადგენილებით დამტკიცებული გასაყიდი ფასები და ნაპობ ტკეჩზე—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 2 ნოემბრის № 1556 დადგენილებით დამტკიცებული ფასები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 30 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1289

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ბაზრებში ზედმეტად მიღებული შემოსავლის ხარჯზე საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და ქვემოჩამოთვლილ რაიაღმასკომებს დახარჯონ 1944 წელს საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობისათვის ბაზრებში ერთჯერადი გამოსაღებისა და სამომსახურეო ქირის გეგმის გადამეტებით შემოსულ თანხებიდან 535 ათასი მანეთი, აქედან:

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკას	150	ათასი მან.
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს .	30	„ —„
ბოლნისის რაიონს	20	„ „
შორჩალოს „	30	„ „
ვანის „	20	„ „
გეგეჭკორის „	30	„ „
ზუგდიდის „	30	„ „
ყარაიის „	12	„ „
ბაშქიჩეთის „	15	„ „
ლანჩხუთის „	15	„ „
მაიაკოვსკის „	13	„ „
თელავის „	40	„ „
ხაშურის „	30	„ „
ხობის „	15	„ „

წულუკიძის რაიონს . . . . . 30 ათასი მან.
ჩხარის „ . . . . . 20 „ „
თიანეთის „ . . . . . 15 „ „
წყალტუბოს „ . . . . . 20 „ „

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი

დადგენილება № 1290

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დატოვებულ იქნას უშედეგოდ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საჩივარი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის 1944 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაზე საქსარეწმარაგდამზადებას სარჩელისა გამო საქართველოს ხის დამუშავების ტრესტისა და მცხეთის ასანთის ფაბრიკისადმი 61.710 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/1069); ტრესტ საქტყედამზადებისა და გინძა-ეწრის სატყეო მეურნეობისადმი 4.378 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/793); ტრესტ საქტყედამზადებისა და ჯალაბეთის სატყეო მეურნეობისადმი 2.474 მან. 50 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/794); ტრესტ საქტყედამზადებისა და თელავის სატყეო მეურნეობისადმი 9.356 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/784).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1291

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქუთაისი—წყალტუბოს წყალსადენის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს განაგრძოს ქუთაისის წყალსადენის მშენებლობა იმ პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რაც დამტკიცებულია 1940 წელს სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ, ამასთან გაითვალისწინოს კურორტ წყალტუბოს უზრუნველყოფა სასმელი წყლით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას 1944 წლის 15 დეკემბრისათვის შეიტანოს სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ქ. ქუთაისის წყლით მომარაგების პროექტში დამატებანი და ცვლილებანი, რაც გამოწვეულია № 131 ქარხნის მშენებლობის კონსერვაციით, კურორტ წყალტუბოს წყლით მომარაგების უზრუნველყოფის აუცილებლობით და ელექტრომომარაგების ახალი სქემით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1292

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1945 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის რაოდენობის გამორკვევის შესახებ

იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ოქტომბრის № 1452 დადგენილება „1945 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის რაოდენობის გამორკვევის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოირკვეს საქართველოს სსრ-ში პირუტყვის რაოდენობა 1945 წლის 1 იანვრისათვის:

ა) კოლმეურნეობებში № 24 ფორმით შედგენილი და ჯოგის ასაკობრივი შემადგენლობის მაჩვენებლებით შევსებული მეცხოველეობის მდგომარეობის 1944 წლის დეკემბრის ანგარიშის საფუძველზე;

ბ) საბჭოთა მეურნეობებში, დამხმარე მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში — 1945 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის არსებული რაოდენობის ანგარიშის საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმით;

გ) კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში — კომლობრივ წიგნებში ჩანაწერებისა და 1945 წლის 1 იანვრისათვის შედგენილი სასოფლო საბჭოების ანგარიშის საფუძველზე, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც კომლობრივ წიგნებს არ აწარმოებენ, პირუტყვის რიცხვობრივი რაოდენობის სპეციალური აღრიცხვის საფუძველზე.

2. დაევალოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე და კოოპერატიული მეურნეობების დირექტორებს პირადად შეამოწმონ, თუ რამდენად სწორია საანგარიშო ცნობები 1945 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის რაოდენობის შე-

სახებ და შემოწმებული ცნობები წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საქალაქო ან რაიონულ ინსპექტურას მეურნეობის სამყოფელ ადგილას არაუგვიანეს 1945 წლის 2 იანვრისა.

წინადადება მიეცეს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს დააწესონ კონტროლი და უზრუნველჰყონ პირუტყვის რიცხვობრივი რაოდენობის ანგარიშების სწორად შედგენა კოლმეურნეობათა მიერ.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და რაიაღმასკომებს მიიღონ საჭირო ზომები სასოფლო საბჭოების კომლობრივი წიგნების თავის დროზე და ზუსტად შევსებისა და სასოფლო საბჭოების მიერ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო ადგილებში მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა კუთვნილი პირუტყვის რიცხვობრივი რაოდენობის ცნობათა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტურაში წარდგენისათვის არაუგვიანეს 1945 წლის 11 იანვრისა. ამ მიზნით:

ა) არაუგვიანეს 1944 წლის 25 დეკემბრისა ჩაატარონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა და მდივანთა საინსტრუქციო თათბირი კომლობრივ წიგნებში ჩაწერის მოწყობისა და კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში პირუტყვის რიცხვობრივი რაოდენობის გამორკვევის საკითხებზე;

ბ) მოაწყონ სასოფლო საბჭოებში დამხმარე კომისიები მეურნეობათა შემოვლაში მონაწილეობისათვის და საჭირო შემთხვევებში კომლობრივი წიგნების შევსებასა და პირუტყვის აღრიცხვაში ჩაბან სასოფლო საბჭოების დეპუტატები და რწმუნებული პირნი სასოფლო საბჭოს აქტივიდან;

გ) მიამაგრონ სასოფლო საბჭოებს კომლობრივ წიგნებში ჩაწერის მოსაწყობად და პირუტყვის რიცხვობრივი რაოდენობის გამორკვევის საქმეში დახმარების აღმოსაჩენად რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები და აგრეთვე მოანგარიშე მუშაკები;

დ) ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტორებს სასოფლო საბჭოებისაგან პირუტყვის რიცხვობრივი რაოდენობის ცნობათა თავის დროზე მიღების საქმეში და წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში შეჯამებული ცნობები რაიონების მიხედვით: წინასწარი ცნობები—დეკემბერში 1945 წლის 20 იანვრისათვის და საბოლოო—არაუგვიანეს 1945 წლის 5 თებერვლისა.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების

აღმასკომებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონსპექტორებთან ერთად, ჩაატარონ 1945 წლის 1-დან 10 იანვრამდე ქალაქის მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის აღრიცხვა 1945 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს უზრუნველჰყოს პირუტყვის ინვენტარიზაციის თავის დროზე ჩატარება კოლმეურნეობებში და მათ შორის იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც პირუტყვს საზამთრო საძოვრებზე მიერეკებიან და აღმოუჩინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონსპექტორებს ყოველგვარი დახმარება 1945 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის რიცხვობრივი რაოდენობის გამოსარკვევი მუშაობის ჩატარების საქმეში.

6. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში იმ მიზნით, რომ შემოწმებულ იქნას სასოფლო საბჭოების კომლობრივ წივნებში კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირუტყვის რაოდენობის ჩანაწერებისა და აგრეთვე ქალაქებში პირუტყვის აღრიცხვის ცნობების სისწორე და ხარისხი, ჩაატაროს კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა კომლების 10%-ის საკონტროლო შემოვლა, ხოლო რაიონულმა და საქალაქო აღმასკომებმა გამოჰყონ ამ მიზნისათვის საჭირო რაოდენობის მომზადებული მუშაკები და უზრუნველჰყონ ისინი სამიმოსვლო საშუალებებით.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს შეჯამებული ცნობები პირუტყვის რაოდენობისა საქართველოს სსრ-ში 1945 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, არაუგვიანეს 1945 წლის 10 მარტისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1293

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ფოთის საქალაქო აღმასკომის, მახარაძისა და ცხაკაიას რაიაღმასკომების შუამდგომლობა 1944 წლის ბიუჯეტით ზედმეტად შემოსულ სახსრებიდან ქალაქების კეთილმოწყობის გადაუდებელ ღონისძიებებისათვის სახსრების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს დამატებით დახარჯონ მიმდინარე წლის 1944 წლის ბიუჯეტით ზედმეტად შემოსულ თანხებიდან ქალაქთა ქუჩების, ტროტუარების, ხიდებისა და სხვა ობიექტების რემონტისა და კეთილმოწყობისათვის: მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს—250 ათასი მანეთი, მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომს—700 ათასი მანეთი და მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომს —300 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1294

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თეატრების კაპიტალური რემონტისათვის სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საშეღისაველო ნაწილის გადამეტებით შესრულების ანგარიშში დახარჯონ IV კვარტალში თეატრების კაპიტალური რემონტისათვის შემდეგი სახსრები:

ქუთაისის	დრამატიული თეატრისათვის	34	ათასი	მან.
ლანჩხუთის	„ „	20	„	„
ფოთის	„ „	43	„	„
ზესტაფონის	„ „	30	„	„
ჭიათურის	„ „	30	„	„
ტყიბულის	„ „	30	„	„
მახარაძის	„ „	30	„	„
ბორჯომის	საკოლმეურნეო „	22	„	„
სიღნაღის	„ „	36	„	„
ახალციხის	„ „	23	„	„
ჩოხატაურის	„ „	25	„	„
ლაგოდეხის	„ „	27	„	„
ყვარლის	„ „	23	„	„

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

დადგენილება № 1295

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჩაის ფაბრიკის, ნავთსაქაჩი სადგურისა და სუფსის რკინიგზის სადგურის წარეცხვისაგან დასაცავად მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ პირველი რიგის ნაპირსაცავმა სამუშაოებმა, რაც 1941 წელს ჩატარდა მდინარე სუფსაზე სუფსის ჩაის ფაბრიკის რაიონში 170 გრძივი მეტრის მანძილზე, დადებითი შედეგები მოგვცა და შესწყვეტა ნგრევა აღნიშნულ უბანზე. მაგრამ იმის გამო, რომ ტექნიკური პროექტით გათვალისწინებული ნაპირსაცავი სამუშაოები მთლიანად არ ყოფილა განხორციელებული, მდინარე სუფსა, რომელიც ინტენსიურად რეცხავს მარჯვენა ნაპირს, ამჟამად წელეკვით ემუქრება სუფსა-მახარაძის გზატკეცილს, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებსა და სახლებს, აგრეთვე ნავთსაქაჩ სადგურს, რკინიგზის ვაკისს და თვით სუფსის რკინიგზის სადგურს.

იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას შემდგომი წარეცხვისაგან მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირი და თავიდან იქნას აცილებული რკინიგზის ვაკისის, ნავთსაქაჩი სადგურისა და სუფსის ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლების წაღეკვა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას წინადადება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს მეორე რიგის ნაპირსაცავი სამუშაოები მდინარე სუფსაზე იმ ტექნიკური პროექტის თანახმად, რომელიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს მოეპოვება.

წინადადება მიეცეს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ზამბახიძეს, მდინარე სუფსის კალაპოტის შეცვლასთან დაკავშირებით, ორი კვირის ვადაში შეიტანოს სათანადო კორექტივები ტექნიკურ პროექტში.

2. დაწესდეს მდინარე სუფსის ნაპირსამაგრი სამუშაოების ხარჯების მოცულობა 300 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან 100 ათასი მანეთს გაიღებს ტრესტი „საქართველოს ჩაი“, 100 ათას მანეთს—ბაქო—ბათუმის ნავთსადენი და 100 ათას მანეთს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო.

3. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. კიკნაძეს წილობრივი ფულადი მონაწილეობის ანგარიშში (100 ათასი მანეთი) დაამზადოს თავის კარიერებში და სუფსის სადგურზე მიიტანოს 2000 კუბ. მეტრი მოტეხილი ქვა, აქედან მიმდინარე წლის დამლევამდე—1.000 კუბ. მეტრი და 1945 წლის იანვარ-თებერვალში—1.000 კუბ. მეტრი.

4. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას მდინარე სუფსის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის გამოუყოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს კოლხიდის დაბლობში ტყ საკაფი 400 კუბ. მეტრი მაქნისი ხე-ტყისა და 860 კუბ. მეტრი წნელის დასამზადებლად.

5. მდინარე სუფსის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება დავიკისროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს იმ ანგარიშით, რომ მთელი სამუშაოები დამთავრდეს 1945 წლის 1 აპრილისათვის.

6. წინადადება მიეცეს ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მანწკავას უზრუნველჰყოს მუშახელისა და სატრანსპორტო საშუალებათა თავის დროზე გაყვანა მდინარე სუფსის ნაპირსამაგრ სამუშაოებზე წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის განკარგადების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი**.

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1296

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქ ქუთაისში ამხანაგ სტალინის მონუმენტის დადგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დახარჯოს მიმდინარე წელს ქ. ქუთაისში ამხანაგ სტალინის მონუმენტის დადგმის დაპროექტებისა და მოსამზადებელი სამუშაოებისათვის (ქვის დამზადება) 150 ათასი მანეთი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს 1944 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადამეტებით შესრულების ანგარიშში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1297

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ზოგიერთი საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს შემდეგი საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფაქტიური კონტინგენტის მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით იმ ნორმების თანახმად, რაც დაწესებულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშებისათვის:

აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოდორის ხე-ტყის სახერხი ქარხნისა, კალდახვრის ხე-ტყის სახერხი ქარხნისა, გაგიდის ხე-ტყის სახერხი ქარხნისა (ხე-ტყის დაკურება), სამშენებლო მასალათა ქარხნისა ქ. სოხუმში; აჭარის ასსრ: ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბათუმის ქიმიური ქარხნისა, ბათუმის აგურ-კრამიტის ქარხნისა; ქუთაისის საქალაქო სამრეწველო კომბინატის მექანიკური ქარხნისა; ზესტაფონის რაისამრეწველო კომბინატის ტევრის აგურის ქარხნისა; წულუკიძის რაიმრეწვკომბინატის ხე-ტყის სახერხი ქარხნისა და აეიჯის ფაბრიკისა; ჩხარის რაიმრეწვკომბინატის მეტლახისა და მოსაპირკეთებელი ფილების ქარხნისა; მახარაძის რაიმრეწვკომბინატის აგურ-კრამიტის ქარხნისა; ცხაკაიას რაიმრეწვკომბინატის აგურ-კრამიტის ქარხნისა;

ლანჩხუთის რაიმრეწვკომბინატის აგურ-კრამიტის წარმოებისა: საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ხაშურის აგურის ქარხნისა, ზუგდიდის აგურის ქარხნისა, სამტრედიის აგურის ქარხნისა, სურამის კირის ქარხნისა, ცაიშის ცარცის წარმოებისა, მეტეხის კრამიტის ქარხნისა, ეკლარ-კვახჭირის წარმოებისა და ხუდონის ალაბასტრის წარმოებისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როხტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

დადგენილება № 1298

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქ გორში სამკითხველოს შენობის მშენებლობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1945 წლის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის პროექტით გაითვალისწინოს 500 ათასი მანეთი ქალაქ გორის სამკითხველოს შენობის მშენებლობისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ქურდიანს ჩაატაროს საჭირო საძიებელი სამუშაოები და მოაწყოს ქ. გორის სამკითხველოს შენობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ამასთან გაითვალისწინოს რამდენიმე ოთახი მუზეუმისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს ა/წ IV კვარტალში მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ქალაქ გორის სამკითხველოს შენობის დასაპროექტებლად 60 ათასი მანეთი იმ სახსრებიდან, რაც გათვალისწინებულია 1944 წლის ბიუჯეტით კაპიტალური მშენებლობისათვის.

4. დაევალოს საქართველოს კომუნალური ბანკის მმართველს ამხ. კვიცარიძეს უზრუნველჰყოს ქალაქ გორის სამკითხველოს შენობის მშენებლობის საპროექტო-საძიებელი სამუშაოების შეუფერხებლივ დაფინანსება, ამ დადგენილების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1299

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებისა და საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღინიშნოს სარეწაო კოოპერაციისა და რაიონული მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში (ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ავეჯისა და სხვა საოჯახო საგნების რემონტი, საპარიკმახეროები, სამრეცხაოები და სხვ.).

სარეწაო კავშირის სისტემაში საყოფაცხოვრებო რემონტისა და მომსახურების სახელოსნოების ქსელი 1940 წელს არსებული 1245 წერტილიდან 909 წერტამდე შეცირდა 1944 წელს, ხოლო რაიონული მრეწველობის საწარმოებმა სრულიად შესწყვიტეს მოსახლეობის მომსახურება ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ბრიგ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაუწესდეს ა/წ IV კვარტალისათვის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დავალება სარეწაო კავშირს, საქინკოოპკავშირსა და საქსარეწტყეკავშირს 12.768,6 ათასი მანეთის მოცულობით, ამასთან აღნიშნული დავალება განაწილდეს სისტემებისა და სახეების მიხედვით, №№ 1—3 დანართების თანახმად.

2. დაევალოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს, საქინკოოპკავშირის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს და საქსარეწტყეკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ჯებაშვილს:

ა) გაფართოონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და აიყვანონ იგი 1945 წელს 1200 წერტამდე სარეწაო კავშირის ხაზით, 277 წერტამდე საქინკოოპკავშირის ხაზით და 49 წერტამდე საქსარეწტყეკავშირის ხაზით, ამასთან განაწილდეს საწარმოები სახეების მიხედვით, № 4 დანართის თანახმად;

ბ) უზრუნველჰყონ მოსახლეობის მიერ რემონტის შესახებ მიცე-

მული შეკვეთების დროულად და კეთილხარისხოვნად შესრულება, რისთვისაც მოიყვანონ საყოფაცხოვრებო მომსახურების სარემონტო წერტები და საწარმოები კულტურულ მდგომარეობაში, მოამარაგონ ისინი ინვენტარით, მოწყობილობითა და ინსტრუმენტით, ამასთან დააკომპლექტონ მუშახელით, ახალი კვალიფიციური მუშების მიზიდვის, აგრეთვე მოწყობის მნიშვნელოვნად გაფართოების ხარჯზე;

გ) რემონტის საჭიროებისათვის გამოიყენონ, აუცილებლობის მიხედვით, ნედლეულის, მასალებისა და ნარჩენების მთელი იმ ფონდების 50%-მდე, რაც გამოყოფილია ფართო მოხმარების ნაწარმის დასამზადებლად.

3. წინადადება მიეცეს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს ამხ. აბაიშვილს:

ა) მიმდინარე წლის დეკემბრიდან აღადგინოს ქიმიური წმენდის შეკვეთების მიღება ყველა იმ წერტის მუშაობა, რომლებიც წინათ არსებობდა ქალ. თბილისში, და ამასთან უზრუნველჰყოს 1945 წელს მოსახლეობისათვის ქიმიური წმენდის სამუშაოების მოცულობის შესრულება არანაკლებ 100 ტონა ტანსაცმლისა და თეთრეულისა;

ბ) მოაწყოს ქ. თბილისში საათების რემონტი შემკვეთელთა ბინაზე, რისთვისაც გამოჰყოს 10 კვალიფიციური ოსტატი.

4. დაევალოს საქსარეწტყეკავშირს—ამხ. ჯგებაშვილს:

ა) მიმდინარე წლის IV კვარტალიდან გაადიდოს კალაპოტების გამოშვება 600 ცალამდე და ჩააბაროს ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოებისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—200 ცალი (რაიონული მრეწველობისათვის), სარეწაო კავშირს—300 ცალი და საქინკოოპკავშირის—100 ცალი;

ბ) ა. წ. IV კვარტალიდან მოაწყოს ქ. თბილისში ავეჯის რემონტი შემკვეთთა ბინაზე, რისთვისაც გამოჰყოს 5 კვალიფიციური ოსტატი.

5. წინადადება მიეცეს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს—ამხ. აბაიშვილს და საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმს—ამხ. შაფაქიძეს უზრუნველჰყონ მოსახლეობის შეუფერხებელი მომსახურება ტანსაცმლისა და თეთრეულის დაუთოების საქმეში, რისთვისაც ყველა სამკერვალო სახელოსნოსთან გამოჰყონ დასაუთოებელი კუთხეები.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას:

ა) თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან ერთად შეამოწმოს თბილისის ჰიგიენის სახლის და თბილისის აბანოების და სამრეცხაოების ტრესტის სასტერილიზაციო წარმოების მუშაობა და გააუმჯობესოს მათი საქმიანობა. მოაწყოს ჰიგიენის სახლთან ფეხსაცმლის სარემონტო და საწმენდი

საამქროები, აგრეთვე ტანსაცმლის დაუთოება და რემონტი და უზრუნველჰყოს ფუნჯების შეუფერხებლივ მიღება საპარიკმახეროებისაგან სტერილიზაციის ჩასატარებლად;

ბ) უზრუნველჰყოს ქ. თბილისის დიდ აბანოებთან ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დასაუთოებელი და წვრილი სარემონტო საამქროების მოწყობა;

გ) უზრუნველჰყოს ქალაქის ყველა დიდ სასტუმროსთან საპარიკმახეროების, აგრეთვე ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სარემონტო წერტილების მოწყობა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს მისცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს თბილისის აბანოებისა და სამრეცხაოების ტრესტის სასტერილიზაციო წარმოებისათვის 0,5 ტონა შესახვევი ქაღალდი.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს:

ა) გაითვალისწინოს 1945 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტით სარეწაო კოოპერაციისა და რაიონული მრეწველობის სისტემების მიერ რემონტის წარმოების გაფართოება;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ყოველკვარტალური გეგმებით გაითვალისწინოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საჭირო მასალებისა და ნედლეულის, აგრეთვე საპარიკმახეროების მოსაწყობად ბამბის ქსოვილის შესაძლებელი რაოდენობის გამოყოფა სარეწაო კოოპერაციისა და რაიონული მრეწველობის სისტემებისათვის.

9. დაევალოს:

ა) აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი, გაითვალისწინონ სარემონტო წერტილების (ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა, ავეჯისა და სხვ.) და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების (საპარიკმახეროები და სხვ.) მოწყობა რაიმრეწკომბინატებთან და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებთან იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებების სათანადო მომსახურება;

ბ) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ (ამხ. ტაბატაძემ) შეამოწმოს რკინიგზის დიდ სადგურებზე მგზავრთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და უზრუნველჰყოს რკინიგზელთა

და მგზავრთა კონტინგენტის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და სარემონტო წერტების სათანადო მოწყობა (ფეხსაცმლის რემონტი, ტანსაცმლის დაუთოება, ტანსაცმლის წვრილი რემონტი, საპარიკმახეროები და სხვ.).

10. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ—ამხ. ალავიძემ თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

1944 წლის IV კვარტალისათვის სარეწაო კავშირის საბჭოს სისტემის მიერ რემონტის ჩატარებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა

რემონტის სახეები	საზომი ერთეული	IV კვარტალის გეგმა
I. საყოფაცხოვრებო რემონტი	ათას მან.	1.900,0
აქედან:		
1. შავი თუნუქის ვედროების რემონტი	ათასი ცალი	3,0
2. თეთრი „ „ „	„	3,0
3. მოთუთიებული რკინის „	„	1,0
4. საბავშვო აბაზანების „	„	2,0
5. შავი თუნუქის ტაშტების რემონტი	„	3,0
6. მოთუთიებული რკინის ტაშტების რემონტი . . .	„	3,0
7. შავი თუნუქის ღუმელების რემონტი	„	4,0
8. საღუმელო მილების დამზადება	ათასი გრ. მტ.	1,0
9. 20×20 სანტიმ. მუხლების დამზადება	ათასი ცალი	0,5
10. მოთუთიებული რკინის პირისაბნების რემონტი .	„	1,0
11. თეთრეულის გამოსახარში ჰურჭლისათვის ძირისა და ტარის გამოცვლა	„	0,8
12. სხვადასხვა ბოჭკლომის რემონტი	„	10,0
13. ნავთქურების რემონტი	„	—
ა) ძირის გამოცვლა	„	2,0
ბ) საპატრუქეს „	„	3,0
გ) სანათურის „	„	3,0
დ) საჰაერო მილის „	„	1,0
ე) საჰაერო ჩარჩოს „	„	5,0
14. ლამპების რემონტი	„	5,0
15. მონიკელება	ათ. კვტ. მტ.	0,1
16. მოკალვა	„	0,2
17. სხვადასხვა საგნის მიკავშირება	„	1,6
18. ელექტროქურების რემონტი		
ა) სპირალის გამოცვლა	ათასი ცალი	5,0
ბ) კორპუსის „	„	2,0
19. ქრომირება	ათასი კვ. მტ.	0,1
II. ტანსაცმლის რემონტი	ათასი მან.	2.400,0 *)
III. ფეხსაცმლის რემონტი	„	2,337
იგივე	ათასი წყვ.	850,0

*) აქედან სამოქ. 800 ათ. მან.

რემონტის სახეები	საზომი ერთეული	IV ეტაპის ღირებულება
IV. სასარაჯო ნაწარმის რემონტი	ათასი მან.	50,0
V. ტრიკოტაჟის რემონტი	„	65,0
VI. ტანსაცმლის ქიმიური წმენდა	„	250,0 *)
VII. საპარიკმახეროები	„	2.000,0
VIII. ფოტოგრაფია	„	170,0
IX. ფეხსაცმლის გაწმენდა	„	300,0
X. ტანისამოსის რეცხვა	„	120,0 **)
ს უ ლ	ათას მან.	9.592

*) აქედან სამოქ. 20 ათასი მან. (8 ტონა).

**) აქედან სამოქალაქო მოსახლეობისაგან—15,0 ათასი მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/XI
№ 1299 დადგენილების დანართი № 2

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

1944 წლის IV კვარტალისათვის საქინკოოპკავშირის სისტემის მიერ რემონტის ჩატარებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა

	საზომი ერთეული	დაგეგმება 1944 წლის IV კვარტალისათვის
1. ლითონის ნაწარმის რემონტი	ათასი მან.	980,0
აქედან: საწოლების რემონტი	ცალი	150
ელექტროსათბობი ხელსაწყოების რემონტი	„	2000
ელექტრომოტორების რემონტი	„	50
მომკალველი საამქროები	კვ. მეტ.	1000,0
თუნუქის ჯურჭლის რემონტი	ათასი მან.	600,0
აღალის რემონტი	„	150,0
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონ.	„	50,0
კანალიზაცია	„	50,0
ავტოგენური შედუღება	„	50,0
2. ფეხსაცმლისა და კალოშების რემონტი	ათასი მან.	755,0
აქედან: ფეხსაცმელი	ათასი წყვ.	150,0
კალოში	„	4,0
3. მუსიკალური ინსტრუმენტების რემონტი	ათასი მან.	10,0
4. საათების რემონტი	„	200,0
5. სამღებრო საამქროები	„	80,0
6. ავეჯის რემონტი	„	100,0
7. ტანსაცმლის რემონტი	„	80,0
8. სპარიკმახეროები	„	500,0
9. ფეხსაცმლის გაწმენდა	„	50,0
ს უ ლ	„	2755,0

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

1944 წლის IV კვარტალისათვის საქსარეწტყეკავშირის სისტემის მიერ რემონტისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა

რ ე მ ო ნ ტ ი ს ს ა ხ ე	საზომი ერთეული	1944 წლის IV კვარტალის გეგმა
ავეჯის რემონტი და რესტავრაცია	ათასი მან.	250,0
აღლის რემონტი	„	128,8
კასრების „	„	24,0
მუსიკ. ინსტრუმენტ. რემონტი	„	18,8
ს უ ლ	—	421,6

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ხ. **როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/XI
№ 1299 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო საბჭოს აღგილობრივი მრეწვ. განყოფილების სისტემის მიერ ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა

რ ე მ ო ნ ტ ი ს ს ა ხ ე	საზომი ერთეული	IV კვარტლის გეგმა
ფეხსაცმლის რემონტი	ათასი წყვ.	450,0
„ „	ათასი მან.	22,0
ტანსაცმლის „	„	35,0
ავეჯის „	„	20,0
ქიმიური წმენდა და სხვა სახის რემონტი	„	70,0
ს უ ლ	ათასი მან.	147,0

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10/XI
№ 1299 დადგენილების დანართი № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

1945 წლისათვის სარემონტო ქსელისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის მოწყობისა

აყვანილ იქნას ქსელი 1945 წლის 1 იანვრისათვის

რემონტისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეები	სარეწაო კვლები	საქსარწყ-ტყვეებო	ინკოოპერ-ბირი
საყოფაცხოვრებო რემონტი	130	—	75
მუსიკალური ინსტრუმ. რემონტი	—	2	1
აღალის რემონტი	—	11	—
კასრების რემონტი	—	7	—
ავეჯის რემონტი	—	29	11
ფეხსაცმლის რემონტი	610	—	120
ტანსაცმლის „	150	—	6
ტრიკოტაჟის „	10	—	—
სასარაჯო ნაწარმის რემონტი	20	—	—
ქიმიური წმენდა და შეღებვა	20	—	12
საპარიკმახეროები	150	—	32
ფოტოწერტები	60	—	—
ფეხსაცმლის ვაწმენდა	50	—	20
ს უ ლ	1200	49	277

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

დადგენილება № 1300

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ხორცის მრეწველობის საწარმოთა განკარგულებაში იმ მოგების 50%-ის დატოვების შესახებ, რასაც ეს საწარმოები ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის დამზადების შედეგად ღებულობენ

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 31 ოქტომბრის № 1534 დადგენილებისა „ხორცის მრეწველობის საწარმოების განკარგულებაში იმ მოგების 50%-ის დატოვების შესახებ, რასაც ეს საწარმოები ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის დამზადების შედეგად ღებულობენ“, აგრეთვე იმ მიზნით, რომ განვითარდეს ხორცის მრეწველობაში ფართო მოხმარების საქონლის დამზადება ნარჩენებისაგან და გაძლიერდეს საწარმოთა დაინტერესება ამ საქმით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დატოვებულ იქნას საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხორცის გადამმუშავებელი საწარმოების განკარგულებაში იმ მოგების 50%, რასაც ისინი არაასაკვები სამრეწველო ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის დამზადების შედეგად ღებულობენ.

2. დაწესდეს, რომ საწარმოს განკარგულებაში დატოვებული მოგების ზემოაღნიშნულ ნაწილს საწარმოს დირექტორი შემდეგნაირად იყენებს:

ა) ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელი საამქროების გასაფართოებლად, აგრეთვე გამომუშავებული ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და გარეგანი გაფორმებისათვის—25%-დან 50%-მდე;

ბ) საწარმოს გეგმის გარეშე კაპიტალური დაბანდებისათვის—25%-დან 50%-მდე;

გ) საწარმოს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოებისა და მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის 25%-ის რაოდენობით.

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 1944 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1301

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოსათვის ექსპერტიზის ასანაზღაურებელი და არქიტექტურული საბჭოს შესანახი სახსრის მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს 1944 წლის IV კვარტალში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს 17 ათასი მანეთი ექსპერტიზის ანაზღაურებისა და არქიტექტურული საბჭოს შენახვისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1302

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსათვის ქ. ბათუმში სასკოლო შენობების შესაკეთებლად 100 ათასი მანეთის დამატებით დახარჯვის ნებართვის მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის ბიუჯეტით ზედმეტად შემოსულ სახსრებიდან დამატებით დახარჯოს ა/წ IV კვარტალში 100 ათასი მანეთი ქ. ბათუმში სასკოლო შენობების შეკეთებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1303

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის დიდი-ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მსმენელთა მიღების დამატებითი გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება მიეცეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1944 წელს დამატებით მიიღოს მსმენელები ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის დიდი-ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 60 კაცის რაოდენობით, აქედან 30 კაცი საბუხჰალტრო-ეკონომიურ განყოფილების 1-ლ კურსზე და 30 კაცი — მეხილეობა-მებოსტნეობის მე-2 კურსზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1304

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თბილისის საპროტეზო ქარხნის მიერ საპროტეზო ნაწარმთა დამზადების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ოქტომბრის № 1465 დადგენილებისა „1944 წილს IV კვარტალში მოკავშირე რესპუბლიკების საპროტეზო საწარმოთა მიერ საპროტეზო ნაწარმთა დამზადების შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1944 წლის IV კვარტალისათვის შემდეგ საპროტეზო ნაწარმთა დამზადების გეგმა საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თბილისის საპროტეზო ქარხანაში:

ა) მუდმივი და პირველადი პროტეზები 1100 ცალი;

ბ) საპროტეზო-ორთოპედიული ფეხსაცმელი 1200 წყვილი.

2. წინადადება მიეცეს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—ამხ. ელისაბედაშვილს მიიღოს საჭირო ზომები და უზრუნველჰყოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ოქტომბრის № 1465 დადგენილებით გამოყოფილი მასალების თავის დროზე შემოზიდვა თბილისის საპროტეზო ქარხნის საჭიროებისათვის 1944 წლის IV კვარტალში, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

იმ მასალებისა, რომლებიც გამოეყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ოქტომბრის № 1465 დადგენილებით საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატის საპროტეზო ქარხანას 1944 წლის IV კვარტალისათვის

	საზომი ერთეული	მასალის დასახელება	ჩამბარებლები
საბანდაჟე რეზინი	ათას მეტრ.	2,4	სსრ კავშირის მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი
საპროტეზო რეზინი . . .	„	3,0	„
ბაშმაკის ზონარი	„	25,0	„
ჰოჰონაქები	მილ. ცალი	30,0	„
ქუსლის ლურსმანი	კგ	100	„
თ ე ქ ა	ტონა	0,8	„
მანქანის ტექსი	„	0,05	„
ბუფერები	ათ. ცალ.	1,6	სსრ კავშირის რეზინის მრეწვ. სახ. კომისარიატი
რეზინის მტვრევები . . .	„	0,15	„
ყავარჯნის თავები	„	6,0	„
რეზინის წებო	ტონა	0,1	„
კორპის ქერქი საიმპორტო	„	0,3	სსრ კავშირის კვების მრეწ. სახ. კომისარიატი
ლითონის ნახვევარფაბრიკატები	ათ. მ.	40,0	რსფსრ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატი
საპროტეზო ლაქი	ტონა	0,3	სსრ კავშირის ქიმიური მრეწვ. სახ. კომისარიატი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1305

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამტრედიის რაიაღმასკომის შუამდგომლობა ქალაქის კეთილმოწყობისა და სოცკულტურული ღონისძიებებისათვის 1944 წლის შემოსავლის გადამეტებით მიღებულ სახსრებიდან დამატებითი ხარჯების გაწევის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომს ქალაქის კეთილმოწყობასა და სოცკულტურულ დაწესებულებათა რემონტზე დამატებით დახარჯოს მიმდინარე წელს 165,0 ათ. მანეთი 1944 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 9 თვის გადამეტებით შესრულების ანგარიშში თანახმად, დანართისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ.
14/XI № 1305 დადგენილების დანართი

ნუსხა

სამტრედიის რაიონის 1944 წლის ბიუჯეტის დამატებითი ხარჯებისა
(ათ. მან.)

ქუჩების, ტროტუარების, ხიდებისა და ქალაქის კეთილმოწყობის სხვა ობიექტების რემონტი . . .	75,0 ათ. მან.
სასპორტო დარბაზის რემონტი	50,0 ათ. მან.
სასოფლო საბჭოების შენობების რემონტი	30,0 ათ. მან.
სოფლად საექიმო პუნქტების რემონტი	10,0 ათ. მან.
ს უ ლ	165,0 ათ. მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1306
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქედის რაიონში სტიქიურ მოვლენათა შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ ქედის რაიონში უახლოეს დროში ლიკვიდირებულ იქნას 1944 წლის 14 ოქტომბრის ქარიშხლისა და ნიაღვრისაგან მიყენებული ზარალი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ქედის რაიონის კომუნალურ ნაგებობათა აღსადგენად და გადაუდებელ სარემონტო სამუშაოთა ჩასატარებლად დახარჯოს 450 ათასი მანეთი 1944 წლის სახ. ბიუჯეტის გადამეტებული შემოსავლით შექმნილი წყაროების ანგარიშში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ჯაბუას) ნება დართოს ქედის რაიაღმასკომს დაამზადოს ხულოს რაიონის ტყეებში 150 კუბ. მეტრი ქერქიჭამიათი დაზიანებული წიწვიანი ჯიშის ხე-ტყე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს (ამხ. გომელაურს) ნება დართოს ქედის რაიაღმასკომს ნამადხევში არსებულ დამზადებულ ხე-ტყიდან შეარჩიოს 100 კუბ. მეტრი წიწვიანი ჯიშის მორები და გაიხმაროს ისინი ყავრის დასამზადებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახ. საგეგმო კომისიას (ამხ. ალავიძეს) მიმდინარე წლის დეკემბერში გამოუყოს ქედის რაიაღმასკომს ერთი ვაგონი (16 ტონა) ცემენტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1308

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1945 წლისათვის გერანის დარგვის მომზადების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავისა და ბორჩალოს რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს:

1) შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში, თუ რამდენად მზად არიან სათბურები გერანის კალმების გამოსაზამთრებლად, და უზრუნველჰყონ მათი სრული მოწესრიგება მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე, რისთვისაც:

ა) ყველა უმინო ჩარჩოში ჩასვან მინები; ამისთვის სრულიად გამოიყენონ კოლმეურნეობებში არსებული მინის ჩამონაჭრების მთელი მარაგი, და ჩარჩოების ცალკეულ თვლებში ჩასვან ფირფიტარები და თხელი ფიცრები იმ ანგარიშით, რომ ყოველ ჩარჩოში მათ მიერ დაფარული არე არ აღემატებოდეს მინიანი ფართობის ერთ მეათედ ნაწილს;

ბ) სათბურებში წყლის ჩასვლისა და სიცივის შესვლის თავიდან ასაცილებლად, ჩარჩოებში ყველა მინა დაამაგრონ საგოზავით, ამოავსონ ჰუჰრუტანები სათბურებში და მიაყარონ მათ მიწა;

გ) გულმოდგინეთ გასწმინდონ მთელი წყალსარინი და სადრენაჟო ქსელი სასათბურო ნაკვეთებზე;

დ) არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა უზრუნველჰყონ დასათბუნებელი მასალის (ჩელტები, ჩალა, ისლი და სხვ.) მიზიდვა სათბურებთან იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება კალმების გამოზამთრების მთელი პერიოდისათვის;

ე) პირუტყვის მიერ სათბურების დამტვრევისა და კალმების გაფუჭების თავიდან ასაცილებლად ყველა სასათბურო ნაკვეთს შემოავლონ ზღუდეები;

2. მეგერანეობის ყველა კოლმეურნეობაში მიმაგრებულ იქნას გამოცდილ კოლმეურნეებზე გერანის სათბურები კალმების გამოყვანის მთელს პერიოდში.

ყვარლისა და თელავის რაიონების გერანის პლანტაციებში გერანის კალმებზე გაჩენილი სოკოს დაავადების (მეჭეჭის) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დაევალოს ამ რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) მოაწყონ გერანის კალმების სისტემატური მეთვალყურეობა სათბურებში და, დაავადებული კალმების აღმოჩენის შემთხვევაში, მოაშორონ ისინი სათბურებს და დასწვან.

ბ) კალმების დაფესვიანებისთანავე ჩაატარონ ყველა სათბურში კალმების 1-პროცენტიანი ბორდოს სითხით მოსხურება იმ ანგარიშით, რომ ბორდოს სითხით მოირწყას კალმების (ღეროებისა და ფოთლების) მიწის ზედა მთელი არე. განმეორებული მოსხურება ჩაატარონ 20 დღის გასვლისას 1-ლი მოსხურების შემდეგ და მესამე მოსხურება—30 დღის გასვლისას მეორე მოსხურების შემდეგ.

4. რადგან მიმდინარე წელს გერანის თითქმის ყველა პლანტაციაში ადგილი ჰქონდა ბუჩქების მნიშვნელოვან დაზიანებას ფესვის სიდამპლისაგან, ხოლო ყვარლისა და თელავის რაიონებში—სოკოს (მეჭეჭის) დაავადებისაგანაც, ჩატარდეს გერანის ყველა ფართობის გამოცვლა, რისთვისაც დაევალოს მეგერანეობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) უზრუნველჰყონ საუკეთესო მიწების გამოყოფა გერანის დასარგავად 1945 წელს; ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გამოჰყონ სავალდებულო წესით სარწყავი ნაკვეთები;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გერანისათვის გამოყოფილ მთელს ფართობზე ჩაატარონ მზრალად ხვნა, ხნულის ხარისხისა და საჭირო სიღრმის დაცვით;

დააწესონ ყოველ კოლმეურნეობაში მზრალად მოხვნის კალენდარული გეგმა და უზრუნველჰყონ ხვნის დამთავრება არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1-ლი დეკემბრისა;

გ) მოაწყონ ორგანულ სასუქთა დამზადება და მათი მიზიდვა ნაკვეთებთან გერანის დარგვისას ფოსოებში შესატანად და დაამთავრონ სასუქთა მიზიდვა არაუგვიანეს 1945 წლის 1 აპრილისა.

II. ეთხოვოს სსრ კავშირის მიწსახკომს:

ა) გერანის კალმების გამოზამთრების უზრუნველსაყოფად გამოუყოს საქართველოს სსრ მიწსახკომს 20.000 კვ. მეტრი მინა, 10.000 ცალი სასათბურო ჩარჩო და 2 ტონა ლურსმანი;

ბ) გერანის ფართობის გასანაყოერებლად 1945 წელს მისცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს მინერალური სასუქები: 700 ტონა გოგირდმჟავა ამონიუმი, 800 ტონა სუპერფოსფატი და 350 ტონა კალიუმის მარილი, რაც შემოზიდოს არაუგვიანეს თებერვლისა.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ქ. ჩარქვიანი.**

1944 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1310

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის 1945 წლისა და 1945 წლის I კვარტალის შემოსავალ-გასავლის ბალანსთა პროექტების წარდგენის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1945 წლისა და 1945 წლის I კვარტალის შემოსავალ-გასავლის ბალანსთა პროექტები სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 22 ივლისის დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ., № 47, მუხ. 373) დაწესებული ფორმის მიხედვით, რომელთაც დაურთონ პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1314

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სამხატვრო პერსონალის ხელფასის განაკვეთების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 1 სექტემბრის № 17768-გ განკარგულების შესაბამისად, 1944 წლის 1 სექტემბრიდან გაუდიდდეს ხელფასი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მუშაკებს და დაუწესდეს მათ შემდეგი განაკვეთები:

ოპერის არტისტებს

1. უმაღლესი კატეგორია	—	2.500	3.000
2. პირველი კატეგორია	1.500	1.700	2.000
3. მეორე კატეგორია	900	1.100	1.300
4. მესამე კატეგორია	600	700	800

ბალეტის არტისტებს

1. უმაღლესი კატეგორია	2.000	2.500	3.000
2. პირველი კატეგორია	1.300	1.500	1.800
3. მეორე კატეგორია	800	900	1.100
4. მესამე კატეგორია	500	600	700

გუნდის არტისტებს

1. პირველი კატეგორია	—	900	1.000
2. მეორე კატეგორია	—	700	800
3. მესამე კატეგორია	—	450	600

ძირითადი ორკესტრის არტისტებს

1. პირველი კატეგორია	1.100	1.200	1.800
2. მეორე კატეგორია	800	1.000	1.100
3. მესამე კატეგორია	—	600	700

სასცენო-სასულე ორკესტრის არტისტებს

1. პირველი კატეგორია	600	700
2. მეორე კატეგორია	500	600
3. მესამე კატეგორია	400	500

მიმანსის არტისტებს

1. პირველი კატეგორია	300	400
2. მეორე კატეგორია	—	250

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—ამხ. ეგაძეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ცალკეული მუშაკებისათვის ხელფასის დაწესებისას მტკიცედ დაიცვას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ინსტრუქცია „სატარიფო კატეგორიებზე თეატრის მუშაკთა მიკუთვნების წესის შესახებ".

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს მიმდინარე წლის დამატებითი ხარჯები, რაც დაკავშირებულია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მუშაკებისათვის ხელფასის მომატებასთან, დაფაროს საქართველოს სსრ 1944 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1315

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა საბრუნავი სახსრების შესავსებად ქუთაისის სამშენებლო კანტორისათვის თანხების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმდინარე წლის ბიუჯეტით ზედმეტად შემოსული თანხების ანგარიშში მისცეს ქუთაისის სამშენებლო კანტორას 100 ათასი მანეთი საბრუნავი სახსრების შესავსებად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1316

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის შეადგომლობა 1944 წლის ბიუჯეტით დამატებითი ხარჯების გასაწევად სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს 1944 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ეკონომიის ანგარიშში გასწიოს დამატებითი ხარჯები 250 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან:

1. საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისათვის	100	ათასი მანეთი
რაიონულ ცენტრ ლენინგორთან მდინარე ქსნის ხიდის კაპიტალური რემონტისათვის	35	— „
სტალინირის მედტექნიკუმის შენობის რემონტისათვის	15	— „
ქ. სტალინირის სამკურნალო დაწესებულებათა რემონტისათვის	20	— „
ყიზლარში ცხვრის ფარის გარეკვასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის	20	— „
საბჭოების სახლის საიჯარო ჭირის დავალიანების დასაფარავად	50	— „

სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობებისათვის საოლქო აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშების შესაძენად 10 ათასი მანეთი

2. განემარტოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რომ კერძო მფლობელთა სახლების კაპიტალური რემონტისათვის სახსრები ბიუჯეტიდან არ გაიცემა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 15 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1317

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებისათვის საშემოდგომო ხორბლის ჯიშიანი სათესლე მასალის მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქსახჯიშფონდის მმართველს ამხ. გ. ნ. ცინცაძეს მისცეს გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებს სახჯიშფონდის რესურსებიდან ჩვეულებრივ მარცვალზე გადაცვლის წესით საშემოდგომო ხორბლის — „დოლის პურის“ ჯიშიანი სათესლე მასალა 200 ცენტნერის რაოდენობით.

2. ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველომ გამოჰყოს საქსახჯიშფონდის განკარგულებაში 2 დახურული ვაგონი სათესლე ხორბლის გადასაზიდად სადგურ გორიდან და კასპიდან სადგურ მუკუზნამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 16 ნოემბერი.

დადგენილება № 1320

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მინდვრის თაგვების წინააღმდეგ ბრძოლის ჩასატარებლად საჭირო შხამმახალის გამოსასყიდად საქართველოს სსრ მიწსახკომისათვის სახსრების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს დამატებით მისცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს ა/წლის IV კვარტალში 2 მილიონი მანეთი მინდვრის თაგვების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებისათვის (შხამმასალის გამოყიდვა, ავიაციის გამოყენების ხარჯების ანაზღაურება).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1321

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სტიქიური უბედურებით დაზარალებულ თელავის რაიონის კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და დამტკიცდეს მის მიერ წარმოდგენილი სია სტიქიური უბედურებით დაზარალებული 123 მეურნეობისა, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 26-ე მუხლის საფუძველზე მიენიჭოს 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათები 85.895 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1322

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჩოხატაურის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის რაიონული საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე, განთავისუფლებულ იქნან 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან, წარმოდგენილი სიის თანახმად, შემდეგ ხელმძღვანელ მუშაკთა მეურნეობანი:

1. ლეონიდე ვლადიმერის-ძე ჩხიკვიშვილისა
2. ნიკიფორე იპოლიტეს-ძე კილასონიასი
3. გიორგი ერმილეს-ძე სიხარულიძისა
4. გური მიხეილის-ძე ანთიძისა
5. მიხეილ ევსევის-ძე ჩხიკვაძისა
6. სერაფიონ ბეგლარის-ძე სიხარულიძისა
7. ილია თომას-ძე სიხარულიძისა
8. ფარნაოზ ლუკას-ძე მახარაძისა
9. გრიგოლ ფილიპეს ძე სიხარულიძისა
10. ანტონ სოლომონის-ძე გურგენიძისა
11. ვლადიმერ ილარიონის-ძე ლომთათიძისა
12. შალვა რომანის-ძე კეკელიძისა
13. ვასილ მალაქიას-ძე კუთალაძისა
14. ვასილ ლუკას-ძე კოტრიკაძისა
15. ალექსანდრე ვარდენის-ძე ზამბახიძისა
16. გრიგოლ ანტონის-ძე შალამბერიძისა
17. ნიკოლოზ სევასტის-ძე ცინცაძისა

18. ფრანც ყარამანის-ძე ჩხიკვაძისა
19. დიმიტრი ვასილის-ძე კუტუბიძისა
20. რაფიელ მალაქიას-ძე გიორგაძისა
21. გრიგოლ ილარიონის-ძე მამალაძისა
22. დიმიტრი კონსტანტინეს-ძე შარაშენიძისა
23. აფთონ ბესარიონის-ძე ცინცაძისა
24. შოთა ივანეს-ძე თავბერიძისა
25. აფთონ იაგორის-ძე ცინცაძისა
26. ზაქარია ევსევის-ძე დოლიძისა
27. პანტელეიმონ ევსევის-ძე დუმბაძისა
28. კარლო ვლადიმერის-ძე ტყეშელიაძისა
29. ვლადიმერ ნესტორის-ძე ღამბაშიძისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 ნოემბერი.

დადგენილება № 1323

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ფართო მოხმარების ნაწარმის ფასების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ფართო მოხმარების შემდეგი ნაწარმის გასაცემი და საცალო ფასები:

1. თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისა და ინკოოპკავშირის სისტემის არტელ „ცის ნამის“ მიერ დამზადებული ფართო მოხმარების ქიმიკატებისა, № 1 დანართის თანახმად.

2. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „ელექტრომეტალისა“ და ცეკავშირის სარემონტო-სამშენებლო კანტორის მიერ დამზადებული ფართო მოხმარების ლითონის ნაწარმისა, № 2 დანართის თანახმად.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს და ჩხარის რაიმრეწვკომბინატის მიერ დამზადებული კერამიკული ნაწარმისა, № 3 დანართის თანახმად.

4. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის დამატებითი სახის საკვები ნაწარმისა, № 4 დანართის თანახმად.

5. სამხვაჭრობის კომბინატის მიერ დამზადებული ლითონის ღილებისა და მუყაოს კუბებისა, № 5 დანართის თანახმად.

6. ინკოოპკავშირის სისტემის არტელ „ინკონომიის“ მიერ დამ-

ზადებული აბრეშუმის ცხვირსახოცებისა, № 6 დანართის თანახმად.

7. საქინკოპკავშირის სისტემის არტელ „პირველი მაისის" მიერ უვარგისი ფოტოფირფიტებისაგან დამზადებული მრგვალი სარკეებისა, № 7 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტი

ფასებისა ფართო მოხმარების დამატებითი სახის ჭიმიკატებზე

I. თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგ. მრეწველობის განყოფილება	გასაყიდი ფასი
ფეხსაცმლის საკრიალებელი 100-გრამიან კოლოფებში უპურპლოდ	6 მან. 70 კ.
ფეხსაცმლის საკრიალებელი 50-გრამიან კოლოფებში უპურპლოდ	3 მან. 35 კ.
ფეხსაცმლის საკრიალებელი წვრილწონით, ერთი კილოგ.	67 მან.

II. ინკოოპკავშირის სისტემის არტელი „ცის ნამი“	საცალო ფასი
ფეხის ოფლის საწინააღმდეგო პუდრი 25-გრამიან პაკეტებში, 1 პაკეტი	3 მან. 40 კ.

შენიშვნა: 1. პუდრის აღნიშნული ფასები წესდება 30.000 პაკეტ პუდრზე.

2. ფასდაკლება სავაჭრო ხარჯების დაზღვევად შეფარდებულ უნდა იქნას სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1940 წლის 29 აპრილს დამტკიცებული კოსმეტიკურ ნაწარმთა ფასების პრეისკურანტის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 16/XI
№ 1323 დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტი

ვასაყიდი ფასებისა ფართო მოხმარების დამატებითი სახის ლითონნაწარმებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

I. სარეწაო კავშირის სისტემის არტელი „ელექტრომეტალი"

საფხეკელები კონსერვის უვარგისი ქილებისაგან . . . 1 ცალი 6 მ.

II. ცეკავშირის სარემონტო-სამშენებლო კანტორა

დურგლის საჭედელა საიმპორტო ფოლადისაგან, ხის ტარით 400×65 მმ, 1 ცალი . . . . . 17 მან.

ბაღის ხერხუნა საიმპორტო ფოლადისაგან, ხის ტარით 300×50 მმ, 1 ცალი . . . . . 16 მან.

გაბმული ხერხი საიმპორტო ფოლადისაგან, ყურებით 710×30 მმ, 1 ცალი . . . . . 15 მან.

ასეთივე ხერხი 710×12 მმ, 1 ცალი . . . . . 14 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება II ხარისხზე შეფარდებულ უნდა იქნას აღნიშნული ფასების 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16/XI
№ 1323 დადგენილების დანართი № 3

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გახაყიდი ფასებისა ახალი სახის კერამიკულ ნაწარმსა და გრიფელის დაფებზე

I. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო

კერამიკული ფილები ცეცხლგამძლე თიხისაგან, დიამ. 160 მმ, 1 ცალი . . . . . 10 მან.

ჩაისა და ღვინის მოჭიქული ჭიქები (დიდი ზომისა), 1 ც. 2 მან.

გრიფელის დაფები სახურავი ფიქალისაგან ფრანკო-ვაგონი სადგ. თელავი:

250×200 მმ,	1 ცალი	4 მან. 50 კაპ.
250×180 მმ,	1 „	4 მან.
240×150 მმ,	1 „	3 მან. 45 კაპ.
240×200 მმ,	1 „	4 მან. 30 კაპ.
240×180 მმ,	1 „	3 მან. 85 კაპ.
240×150 მმ,	1 „	3 მან. 25 კაპ.
230×200 მმ,	1 „	3 მან. 70 კაპ.
230×175 მმ,	1 „	3 მან. 50 კაპ.
220×200 მმ,	1 „	3 მან. 40 კაპ.
220×175 მმ,	1 „	3 მან. 50 კაპ.
200×200 მმ,	1 „	3 მან. 60 კაპ.
200×175 მმ,	1 „	3 მან. 15 კაპ.

II. ჩხარის რაიონული სამრეწველო კომბინატი

მეტლახის 4-კუთხოვანი ფილები	10×10 ს., 1 ც.	1 მან. 20 კაპ.
„ „ „	3×3 „ .	— 30 კაპ.
მოსაპირკეთებელი მოჭიქული ფილები	10×10 ს. 1 ც.	2 მან. 50 კაპ.
„ „ „	15×15 ს. „	5 მან.
მეტლახის 8-კუთხოვანი ფილები	10×10 ს. „	1 მან. 20 კაპ.
ორნე 50-ლიტრიანი ტევადობით,	1 ცალი . . .	140 მან.
კეცი 1 ლიტრიანი	„ 1 ცალი . . .	6 მან.

სააფთიაქო მოუჭიქავი 50-გრამიანი ქილები . . . 50 კაპ.
„ მოჭიქული „ „ „ . . . 80 კაპ.
„ „ 20-გრამიანი „ . . . . 40 კაპ.
„ „ 250-გრამიანი „ . . . . 3 მან.

შენიშვნა: დასდაკლება II ხარისხზე დაწესდეს აღნიშნული ფასების 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16/XI
№ 1323 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

საცალო ფასებისა საქართველოს სსრ ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმოების ახალი სახის საკვებ ნაწარმზე

საკატლეტე ფარში სოიას რძის გამომუშავების ნარჩენებისაგან, 1 კილოგრამი . . . . . 2 მან. 50 კ.

შენიშვნა: ფასდაკლება სავაჭრო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ უნდა იქნას დაწესებული რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16/XI
№ 1323 დადგენილების დანართი № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა სამხვაჭრობის კომბინატის წარმოების ლითონის ღილებსა და მუყაოს კუბებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

თითბრის ღილები უვარგისი ჰილზებისაგან სამხედრო ნიმუშისა, დიამეტრით 14 მმ, 1 ცალი . . . . 45 კაპ.
„ „ „ 18 მმ, „ . . . . 60 კაპ.
„ „ „ 22 მმ, „ . . . . 70 კაპ.

შენიშვნა: აღნიშნული ფასები წესდება მხოლოდ საბაზრო ფონდის ღილებზე.

მუყაოს კუბები 50×50×50 მმ, სურათებით, მუყაოს კოლოფში, 6 ცალი . . . . . 1 კომპლექტი 16 მ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

პრეისკურანტი

ხაცალო ფასებისა ინკოოპკავშირის სისტემის არტელ „ეკონომიის" აბრეშუმის ბაღდადებზე

აბრეშუმის ბაღდადი აბრეშუმის ძაფისაგან 63|3, ქსელის სისქე 80 ძაფი, მისაქსელი 70 ძაფი 5 სანტიმეტრზე, წონით 168 გრ., სიგრძით 87 სმ., სიგანით 78 სმ, უჯრედები ბამბის ძაფის დამატებით . . . . . 1 ც. 100 მ.

შენიშვნა: ფასდაკლება ხარისხიანობის მიხედვით და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ 1939 წლის 5 იანვარს დამტკიცებული აბრეშუმის ძაფის ფასების პრეისკურანტის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. ოსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16/XI
№ 1323 დადგენილების დანართი № 7.

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გახაყიდი ფასებისა სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირის არტელ „პირველი მაისის“ დამატებითი სახის სარკის ნაწარმზე

ჯიბის ორმაგი მრგვალი სარკეები უვარგისი ფოტოფირფიტებისაგან, ლითონის რკალურით, 1 ცალი . 10 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება II ხარისხზე დაწესდეს აღნიშნული ფასის 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1326

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

სამარცვლეულო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების დამზადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, ქარხნების დირექტორებს: თბილისის საიარაღოსი—ამხ. ხითარიშვილს, კალინინის სახელობისა—ამხ. მეშველიანს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა—ამხ. ჰავჰანიძეს, სარემონტო-მექანიკური ქარხნისა—ამხ. სულთანოვს და საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს დაამზადონ და თანაბარ პარტიებად ჩააბარონ „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას სამარცვლეულო მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები ნომენკლატურით გათვალისწინებულ ვადებში და დანართში აღნიშნული რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს:

ა) ორი კვირის განმავლობაში მისცეს სამარცვლეულო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების დამამზადებელ ქარხნებს საჭირო ნახაზები, ტექნიკური პირობები და ნიმუშები;

ბ) დასდოს ხელშეკრულებები ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული ქარხნების მიერ სამარცვლეულო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების დამზადებაზე, თავის დროზე აუნაზღაუროს სასყიდელი და წაიღოს მზა მანქანები და დეტალები.

3. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს დაამზადოს და 1944 წლის დამლევამდე ჩააბაროს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის გათვალისწინებულ ჩაბარებათა

შემცირების ხარჯზე, 50 ცალი ნავთურა და 500 ცალი საწონი სხვადასხვა წვრილსაწონი სასაქონლო სასწორებისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების 1945 წლის I კვარტალის გეგმაში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის საჭირო მასალების გამოყოფა სამარცვლეულო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჯაფარიძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ა. ჩარკვიანი.**

1944 წლის 18 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 18/XI № 1326 დად-
გენილების დანართი

ნუსხა

იმ სამარცვლეულო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილებისა, რომლებიც მზადდება საქართველოს სსრ საწარმოებში „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორისათვის

დამამზადებელი ქარხნების დასახელება	სამარცვლეულო მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების დასახელება	დასამზადებელი რაოდენობით ცალობით	დამზადების ვადა
საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა	სალაბორატორიო წისქვილები	40	1945 წ. I კვ.
	სანიავებლის ბერკეტები	150	„ „
	სანიავებლის ბარბაცა	100	„ „
	სანიავებლის კრონშტეინი ლილვაკით	100	„ „
	სიმინდსაფშვნელი კეტები ტრიერის მუშტა	150	„ „
	კბილანები	150	„ „
	„ვიმისი“ გირგოლაჭი ლილვაკით	50	„ „
	რკინის ნაჩვრეტებიანი ცხრილები, დიამ. 14—16 მმ. ზომით 700×360 მმ,	80	„ „
	იგივე, დიამ. 12 მმ, ზომით 400×500 მმ	100	„ „
საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატის თბილისის საიარაღო ქარხანა	ბიუჭსები მარცვლისათვის 2×4 სმ	400	„ „
	იგივე სიმინდისათვის 4×5 სმ	300	„ „
საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის კალინინის სახ. ქარხანა	საკისარა სამაგრით, ლილვის დიამეტრი—40 მმ	15	„ „
საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სარემონტო-მექანიკური ქარხანა	სანიავებლები	25	არსებულ მარაგიდან
საქინკოოპკავშირი	კანადის გამყოფი	10	1944 წ. 15 დეკემბრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1327

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

კოლმეურნეობებში საგაზაფხულო მარცვლეული კულტურებისა და საკვები ბალახების თესლის გამოყოფის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საგაზაფხულო მარცვლეული კულტურებისა და საკვები ბალახების თესლის გამოყოფა მიმდინარეობს სრულიად არადამაკმაყოფილებლად. მიუხედავად თავთავიანი კულტურების სათესლე ფონდების გამოყოფის ვადის დამთავრებისა და სიმინდის გამოყოფის დამთავრების ვადის მოახლოებისა, 1944 წლის 10 ნოემბრისათვის ყველა მარცვლეული კულტურის სათესლე ფონდებში გეგმით გათვალისწინებული 385.633 ცენტნერის ნაცვლად გამოყოფილია მხოლოდ 136.671 ცენტნერი ანუ 35,4% მრავალწლიანი ბალახების სათესლე ფონდების გამოყოფის გეგმა შესრულებულია 17,7%-ით და ერთწლიანებისა—29,5%-ით. მარცვლეული კულტურების სათესლე ფონდების გამოყოფას სრულიად არ შესდგომიან აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, ხაშურის, გორის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, თელავის, ყარაიის, ბორჩალოს, ბოლნისის, ბაშქიჩეთის, ახაშის, ცხაკაიას, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, ქუთაისის, სამტრედიის, წულუკიძის, ამბროლაურის, ცაგერისა და სხვა რაიონები.

ასეთივე მდგომარეობაა საკვები ბალახების სათესლე ფონდების გამოყოფის მხრივაც. ბალახის მთესავი 51 რაიონიდან სათესლე ფონდების გამოყოფას შეუდგა მხოლოდ 7 რაიონი. საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების მთესავი ძირითადი რაიონები ჯერჯერობით ვერ აფასებენ სათესლე ფონდების გამოყოფის თავის დროზე დამთავრების მნიშვნელობას და მეტისმეტად აგვიანებენ ამ საქმეს. მა-

გალითად, ახალქალაქის რაიონმა მიმდინარე წლის 10 ნოემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 54.356 ცენტნერის ნაცვლად გამოჰყო მხოლოდ 39.000 ცენტნერი თავთავიანი კულტურების თესლი, ბოგდანოვკის რაიონმა, ნაცვლად გეგმით დასახული 36.218 ცენტნერისა — 27.450 ცენტნერი, წალკის რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 32.776 ცენტნერის ნაცვლად — 6.600 ცენტნერი. ასეთივე მდგომარეობაა ბევრ სხვა რაიონშიაც.

საგაზაფხულო მარცვლეული კულტურებისა და ბალახების მაღალხარისხოვანი სათესლე მასალით ყველა კოლმეურნეობის სრული უზრუნველყოფის მიზნით და იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 9 ნოემბრის დადგენილება“ კოლმეურნეობებში თესლის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

1. უზრუნველჰყონ სათესლე ფონდების გამოყოფა ყოველ კოლმეურნეობაში იმ რაოდენობით, რაც საჭიროა საგაზაფხულო თესვის შესასრულებლად, მაგრამ არანაკლებ იმ რაოდენობისა, რაც დაწესებულია რაიონისათვის საქართველოს სსრ მიწსახკომის გეგმით.

იმ შემთხვევაში, თუ სათესლე ნაკვეთებიდან მიღებული მოსავალი ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა მთელ მოთხოვნილებას, ჩაატარონ სათესლე ფონდების გამოყოფა საერთო ნათესებიდან კოლმეურნეობათა მიერ პურის დამზადების გეგმის სრული შესრულების შემდეგ.

2. საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა და ბალახების სათესლე ფონდების გამოყოფა დამთავრდეს უახლოეს დღეებში, ხოლო სიმინდისა — არაუგვიანეს 1944 წლის 15 დეკემბრისა.

3. ბეღლებში ჩაყრამდე მთელი სათესლე მასალა გაიწმინდოს, დახარისხდეს, გაშრეს და აყვანილ იქნას სათესლე კონდიციებამდე. არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული არაკონდიციური, დაუარეველიანებული და დატენიანებული თესლის გამოყოფა ბეღლებში.

4. სათესლე ფონდები შენახულ იქნას მხოლოდდამხოლოდ შეკეთებულ, დასუფთავებულ და დეზინფექცირებულ სადგომებში; ამასთან ყოველი ჯიშისა და ერთიდაიმავე ხარისხის სხვადასხვა კატე-

გორიის თესლი შენახულ იქნას ცალცალკე და აღნიშნულ იქნან ისინი ეტიკეტით.

5. სათესლე ფონდების გამოყოფა და შენახვა გაფორმებულ იქნას კოლმეურნეობის თავმჯდომარის, მეკუჭნავისა და კოლმეურნეობაზე მიმაგრებული აგრონომის მიერ ხელმოწერილი აქტებით; აქტში აღინიშნოს სათესლე მასალის ჯიში, რაოდენობა და აგრეთვე ხარისხი და გამოყოფილი თესლი ჩაბარდეს შესანახად მეკუჭნავეს ხელწერილით.

6. გამოყოფილი სათესლე ფონდების გაფუჭების თავიდან აცილებისა და მათი მდგომარეობისათვის სისტემატური კონტროლის გაწევის მიზნით, მიემაგროს ყოველ აგრონომს კოლმეურნეობათა ჯგუფი და დაევალოს მას, კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებთან ერთად, თვეში ერთხელ მაინც ჩაატაროს შენახული სათესლე ფონდების მდგომარეობის შემოწმება. სათესლე ფონდების განიავებისა და ვაფუჭების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ზომები, ხოლო დამნაშავენი სათესლე ფონდების დატაცებაში მისცეს პასუხისგებაში.

7. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სათესლე ბალახების სასწრაფოდ გალეწვას, მათს გაწმენდას და სათესლე ფონდებში გამოყოფას; ამასთან მიღწეულ იქნას საგაზაფხულო თესვის გეგმის სრული უზრუნველყოფა ყველა კოლმეურნეობაში საკუთარი თესლით.

8. წალკის, ბოგდანოვკისა და ბაშქიჩეთის რაიონების რაიკომების მდივნებმა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებმა მიიღონ გადამწყვეტი ზომები სათესლე ნაკვეთებიდან აღებული მოსავლის გალეწვის დაუყოვნებლივ დამთავრებისათვის და უზრუნველჰყონ სათესლე ფონდების გამოყოფის გეგმის უცილობელი შესრულება დაწესებული ვადისათვის.

9. კოლმეურნეობათათვის სათესლე ფონდების გამოყოფის დამთავრების საქმეში დახმარების აღმოსაჩენად და შესანახად გამოყოფილი სათესლე ფონდების მდგომარეობის შესამოწმებლად, მიმაგრებულ იქნან კოლმეურნეობებზე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს მიავლინოს თავისი მუშაკები რაიონებში თესლის გამოყოფის მიმდინარეობისა, გამოყოფილი თესლის შენახვისა და აგრეთვე მისი ხარისხის შესამოწმებლად და საორგანიზაციო დახმარების აღმოსაჩენად კოლმეურნეობათათვის ამ მუშაობის დაჩქარებაში.

11. დაევალოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს მიმდინარე წლის 1 დეკემ-

რისათვის წარმოადგინონ ანგარიში საგაზაფხულო მარცვლეული კულტურებისა და საკვები ბალახების გალეწვისა, გაწმენდისა, სათეს კონდიციებამდე აყვანისა და სათესლე ფონდების გამოყოფისათვის საჭირო მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო 15 დეკემბრისათვის—სრული ანგარიში თესლის გამოყოფისათვის წარმოებული მუშაობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
მ. ჯაში.

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 18 ნოემბერი.

დადგენილება № 1328

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენისათვის გაჯის ქარხანაში დასადგამად ნოსირის აგურის ქარხნიდან საშრობი დოლის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ნოსირის აგურის ქარხანაში გამოუყენებელი საშრობი დოლი გადაცეს სსრ კავშირის შინსახკომის ა/კ-ის მეტალურგმშენს.

2. დაევალოს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენს ამ დადგენილების თანახმად გადაცემული საშრობი დოლი დადგას იმ გაჯის ქარხანაში, რომელიც შენდება ამჟამად რკინიგზის სადგურ გარდაბანის მახლობლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 21 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1329

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ბოსტნეულის საცალო ფასების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამხმარე მეურნეობათა ორგანიზაციის განვითარების სტიმულირებისა და მათი უზარალო მუშაობის უზრუნველყოფისათვის დაწესდეს საქართველოს სსრ-ში ბოსტნეული პროდუქციის შემდეგი ერთიანი საცალო ფასები მისი მიღების ყველა წყაროს მიხედვით:

(1 კილოგრამისათვის)

კომბოსტო	1 მ. 50 კაპ.	ბადრიჯანი	3 მან.
პომიდორი	2 მ.	საზამთრო	1 მან.
თავიანი ხახვი	4 მ.	ნესვი	2 მან.
ჭარხალი	1 მ. 50 კაპ.	თვის ბოლოკი	2 მან.
სტაფილო	2 მ.	მწვანე ლობიო	3 მან.
ისპანახი	2 მ. 50 კაპ.	სხვადასხვა მწვანილი	3 მან.
კიტრი 1-ლი ხარისხისა	3 მან.	ტარხუნა	5 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 21 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1331

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ტყიბულის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობაზე დამატებითი ხარჯების გაწევის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ადგენს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის რაიონული საბჭოს აღმასკომს საკოლმეურნეო ბაზრების ერთჯერადი გამოსაღებისა და მომსახურების საფასურის გეგმის გადამეტებით შემოსულ თანხებიდან დამატებით დახარჯოს ბაზრების კეთილმოწყობაზე 20 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ნოემბერი.

3. დაევალოს რაიაღმასკომებს უზრუნველჰყონ ამ დადგენილებით გამოყოფილი სიმინდის მიყიდვა იმ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის, რომლებიც წესიერად ასრულებენ სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის ჩაბარების ვალდებულებებს და სასურსათო პურს საჭიროებენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1337

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში მომუშავე სამედიცინო მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 15 ნოემბრის № 21440-გ განკარგულების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაუწესდეს 1944 წლის 1 ნოემბრიდან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების აპარატში მომუშავე სამედიცინო მუშაკებს შემდეგი რაოდენობის თანამდებობრივი განაკვეთები:

ა) საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამმართველოების, დამოუკიდებელი განყოფილებების, ჯგუფებისა და სექტორების უფროსებს თვიურად 900 მანეთი.

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ჯანსახკომების, საოლქო ჯანგანყოფილებისა და რესპუბლიკური ქვემდებარების ქალაქთა საქალაქო ჯანგანყოფილებების სამმართველოების, დამოუკიდებელი განყოფილებების, ჯგუფებისა და სექტორების უფროსებს თვიურად 800 მანეთი.

გ) რაიონული (საქალაქო) ჯანგანყოფილებების დამოუკიდებელ განყოფილებათა და ჯგუფთა უფროსებს იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 200.000 კაცამდეა, თვიურად 700 მან.

2. დადგენილ იქნას, რომ 1 პუნქტში აღნიშნულ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში მომუშავე უმაღლესი და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე ინსპექტორები იღებენ იმ განაკვეთს, რაც მიკუთვნებული აქვს მათს თანამდებობას, მაგრამ არანაკლებ იმ განაკვეთებისა, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 13 დეკემბრის № 1974 დადგენილებით „სამედიცინო მუშაკთა ხელფასის მომატების შესახებ“ სამედიცინო ეჩმებისა (მე-2 პუნქტი კარისა „სამედი-

ცინო დაწესებულებათა ექიმები") და ფერშლებისათვის (მე-2 პუნქტი კარისა „საშუალო სამედიცინო პერსონალი").

3. საქართველოს სსრ ჯანსახკომმა და ფინსახკომმა ორი კვირის განმავლობაში მოიყვანონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების აპარატში მომუშავე სამედიცინო მუშაკთა განაკვეთები ამ დადგენილების შესაბამის მდგომარეობაში და უზრუნველჰყონ განაკვეთთა განსხვავების გადახდა 1944 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ჯ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1339

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ 1945 წლის I კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალების დამზადების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 5 ნოემბრის № 1552 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, ავტოტრანსპორტის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ჯოხონელიძეს, საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსს ამხ. ჩხეიძეს და ქარხნების დირექტორებს: 26 კომისრის სახელობისა—ამხ. მელაძეს, კალინინის სახელობისა—ამხ. მეშველიანს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა—ამხ. ჭავჭანიძეს, თბილისის საიარაღოსი—ამხ. ხითარიშვილს, თბილისის ავტოსარემონტოსი—ამხ. რთველაძეს, თავდაცვის სახალხო კომისარიატის № 302—ამხ. ჯიქიას, ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 712—ამხ. კანკავას, საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სასალტო-სარემონტო სახელოსნოს—ამხ. მელიქიშვილს, საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს ამხ. რობიტაშვილს, საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნოს უფროსს ამხ. ტუჩაშვილს, თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების № 1 ქარხნის დირექტორს ამხ. მიხაილოვს, საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს და სახელოსნო სასწავლებელთა დირექტორებს: № 6—ამხ. ცურკოვსა და № 7 (ბორჯომი)—ამხ. არჯევანიძეს დაამზადონ და ჩააბა-

რონ თანაბარ პარტიებად „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორას 1945 წლის I კვარტალში ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები № 1 დანართში გათვალისწინებული რაოდენობითა და ნომენკლატურით.

2. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს და ქარხნების დირექტორებს: კიროვის სახელობისა—ამხ. სარიშვილს, კალინინის სახელობისა—ამხ. მეშველიანს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა—ამხ. ჭავჭანიძეს, № 247 „სტანოკისა“—ამხ. ბოკერიას, № 201 (ბათუმის ფილიალი)—ამხ. პიშჩენკოს, № 9 სალიანდაგო-სარემონტო მექანიკური ქარხნისა—ამხ. მაისაშვილს, თბილისის წყალსადენის მექანიკური სახელოსნოების დირექტორს ამხ. თავბერიძეს, აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიასა და ამიერკავკასიის ფრონტის № 92 ავტო-სარემონტო სახელოსნოების უფროსს ამხ. ტარანოვს დაამზადონ და ჩააბარონ თანაბარ პარტიებად საქსოფლმეურნმომარაგებას 1945 წლის I კვარტალში სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები № 2 დანართში გათვალისწინებული რაოდენობითა და ნომენკლატურით.

3. დაევალოს საქსოფლმეურნმომარაგების მმართველს ამხ. იგითხანოვს მისცეს საწარმოებს 1945 წლის I კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად ჩამოსასხმელი თუჯი და კოქსი № 3 დანართში გათვალისწინებული რაოდენობით.

4. წინადადება მიეცეს „გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. რუსიას მისცეს № 9 სალიანდაგო-სარემონტო მექანიკურ ქარხანას სახნისის დასამზადებლად 120 კილოგრამი ქარბიდი საქმომარაგების ტრესტის IV კვარტალში კუთვნილი რაოდენობის ხარჯზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს გაითვალისწინოს მასალების გამოყოფა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამამზადებელ საწარმოთათვის 1945 წლის I კვარტალში № 4 დანართში გათვალისწინებული რაოდენობით.

6. წინადადება მიეცეს საქენერგოს მმართველს ამხ. დევიძეს და თელასის დირექტორს ამხ. ბახტაძეს არ დაუშვან გამორთვა და უზრუნველჰყონ ელექტროენერგიით 1945 წლის I კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი საწარმოები.

7. დაევალოს „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს

კანტორის მმართველს ამხ. ბელქანიას და საქსოფლმეურნმომარაგების კანტორის მმართველს ამხ. იგითხანოვს უზრუნველჰყონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი საწარმოები საჭირო ნიმუშებითა და ნახაზებით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს.—ამხ. თავაძეს კონტროლი გაუწიოს და თვეში ერთხელ მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით მიაქცევენ სახალხო კომისრების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და ქარხნების დირექტორების ყურადღებას იმას, რომ სოფლის მეურნეობისათვის ამ დადგენილებით დაწესებული სათადარიგო ნაწილების ჩაბარების გეგმის შესრულება უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სამეურნეო ამოცანაა და წინადადებას აძლევენ მათ პირადად განახორციელონ მისი შესრულების ყოველდღიური კონტროლი.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 23 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1944 წლის 23/XI № 1339 დადგენილების დანართი № 1

ნუსხა

ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებისა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სსრ საწარმოები 1944 წლის I კვარტალში

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	1945 წლის I კვარტალში დასამზადებელ დეტალთა რაოდენობა
1. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი	1. სარქველის მბრეუნავის თითა	286	ცალი	500
ა) 26 კომისრის სახ. ქარხანა	2. მოსაბრუნი მუშტის თითა	14	„	500
	3. საჭიდი მუფთის დისკო	423	„	500
	4. ვენტილატორის კრონშტეინის ლილვაკი	250	„	500
ბ) კალინინის სახ. ქარხანა	1. ქვედა შკივი (მექდამუშავებით)	452	„	200
	2. საჭიდი მუფთის ცალუღი	441	„	300
გ) სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა	1. კბილანას მორგვი (სხმული)	62	„	300
დ) თბილისის საიარაღო ქარხანა	1. კბილანა I წი ა	63	„	250
	2. „ II „	64	„	500
	3. „ III „	65	„	500
	4. ბარბაცას სამაგრი	204	„	1000
	5. ტივტივა კამერის კორპუსი	320	„	500
	6. ფილტრის კორპუსი	381	„	—
	7. მაგნეტოს ბოგირის მილისა	382	„	—
	8. მაგნეტოს ლილვი	384	„	—
	9. ამწოვი საკისრის მილისა	444	„	1000

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	1945 წლის I კვარტალში დასამზადებელი დეტალების რაოდენობა
დ) თბილისის საიარაღო ქარხანა	10. საჰიდი მუფთის ლილვი	446	ცალი	350
	11. მუფთის ბახჩიკი	446 ა	„	10000
	12. ჩანგალი I-II წრინა	58	„	—
	13. „ III „	60	„	—
2. საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი	1. დგუშის თითა	211 ა	„	1500
ა) თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	2. თითა სტბ ნატი	ა04—10	„	500
ბ) სასაღლტო-სარემონტო სახელოსნოები	3. „ V-I	03—14	„	1500
	1. ვენტილატორის ღვედი	461	„	2000
	2. დინამოს ღვედი	645	„	500
	3. მილყელი სტბ	522	„	1000
	4. „ გაზ ნატი	ა—8260	„	500
	5. „ „	ა—8286	„	500
	6. ღვედი „	ა—8620	„	500
	7. შემამჭიდროებელი რგოლი	169	„	3000
3. სსრ კავშირის ელექტრომრეწვ. სახ. კომისარიატის № 712 ქარხანა	1. მაგნეტოს გარეპირი	404—405	„	1500
	2. მორბედი	5057	„	500
	3. მწყვეტის დეტალები	(1—16)	კომპ.	400
4. თავდაცვის სახ. კომისარიატის № 302 ქარხანა	1. ნემსა-სარქველი	328	ცალი	1000
	2. ნემსა-სარქველის კორპუსი	329	„	500
	3. მამტვერებელი სტბ	340	„	1000
	4. მამტვერებელი უ-2	16—23/25	„	500
5. საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნოები	1. პია კბილანის კოლოფი	545	„	60
	2. პია-კბილანის საკისარი	548	„	100
	3. სამტვერებლის ხუფი	2174	„	300

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	ერთეულის ფასი 1 ივლისის 1945 წლის დასტურად ფ.
6. საქინკოოპკავშირის არტელი „შრომის გმირი“	1. აწყობილი მწყვეტი	ს—62	ცალი	400
7. თბილისის საქალაქო საბჭოს ადგ. მრეწვ. განაოფილების ქარხანა № 1	1. გამშვები მაჩქარებელი	პუ—4646	„	5000
8. საქ. სსრ შრომითი რეზერვების სამმართველო				
ა) სახელოსნო სასწავლებელი № 6	1. კბილანის მორგვი (მექდამუშავება)	62	„	300
ბ) სახელოსნო სასწავლებელი № 7 (ბორჯომი)	1. ქვედა შკივი	254	„	300

საქ. სსრ საბჭომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 23/XI № 1339 დადგენილების დანართი № 2

ნუსხა

სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სსრ საწარმოები 1945 წლის 1 კვარტალში

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	სიხშირე	1945 წლის I კვარტალში დასამზადებელი დეტალების რაოდენობა
1. ქარხანა № 247 „სტანოკი“	1. II წმენდის ვენტილატორის ლილვის კბილანა	ჟმ— 60	ცალა	50
	2. მთავარი ბიტერის კბილანა	„ 66	„	50
	3. ჩალის ტრანსპორტერის ჯაჭვის კბილანა	„ 68	„	50
	4. მკვებავი ტრანსპორტერის კბილანა.	„ 170	„	50
	5. პირველი ბიტერის კბილანა	„ 74	„	50
	6. II წმენდის კბილანა	„ 104	„	50
	7. ყრუ სექცია დოლის ფართო ნაწილს ქვეშ	„ 138	„	50
	8. II წმენდის ცხრილის საკიდარი	„ 166	„	50
	9. მკვებავი ტრანსპორტერის წამყვანი ლილვის შკივი	„ 149	„	50
	10. ავტომატის დისკო	II— 8	„	50
	11. უკანა თვლის მილისა	II— 13		
2. საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატის კალინინის სახ. ქარხანა	1. ჩელხის ტრანსპორტერის კბილანა	ჟმ— 75	„	100
	2. მოტ. ლილვის კბილანა	954	„	100
	3. გამოსატვირთი უსასრულო ხრახნის კბილანა	„ 1945	„	100
	4. II წმენდის ვენტილატორის მორგვი	„ 2093	„	100

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	1945 წლის I კვარტალში დასამზადებელი დეტალების რაოდენობა	ადგილობრივი მნიშვნელობის
2. საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატის კალინინის სახ. ქარხანა	5. თავთავიანი უსასრულო ხრახნის კბილანა	ჟმ 51	ცალი	100	
	6. წამყვანი ტრანსპორტერის კბილანა	„ 53	„	100	
	7. ჩელხის ტრანსპორტერის კბილანა (დიდი)	„ 64	„	100	
	8. მთავარი ბიტერის კბილანა შიდა, მარცხენა	„ 65	„	100	
	9. I წმენდის უსასრულო ხრახნის კბილანა	„ 106	„	100	
	10. II წმენდის ტრანსპორტერის კბილანა	„ 73	„	100	
	11. ჩალის ტრანსპორტერის ზედა და ქვედა სამაგრი	„ 42164/65	„	100	
	12. კარდანის საბსრის კბილანა	„ 189	„	100	
	13. თავთავიანი უსასრულო ხრახნის კბილანა	„ 40	„	100	
	14. I წმენდის ვენტილატორის კბილანა	„ 82	„	100	
	15. კარდანის საბსრის საცვლელი კბილანა	„ 952	„	100	
	16. გადამცემი კოლოფის საცვლელი კბილანა	„ 959	„	100	
3. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა	1. ავტომატის კორპუსი	რ— 1	„	250	
	2. მილისას ხუფი	II— 5	„	200	
	3. ავტომატის გორგოლაჭი	II—14	„	200	
4. კიროვის სახ. ქარხანა	2. სახნისები	II—1037	„	500	
5. თბილისის წყალსადენის მექანიკური სახელოსნოები	1. უკანა თვლის ხუფი	II—11	„	200	

დამამზადებელი საწარმოები	დეტალების დასახელება	დეტალების №№	საზომი ერთეული	1961 წლის დასაწყისში ნაშთების სავარაუდო რაოდენობა
6. № 201 ქარხნის ბათუმის ფილიალი	1. გუთნის დგარი	II—1036	ცალი	500
7. აგარის შაქრის ქარხანა	1. საკვლე თვლის მილისა	II— 2	„	300
8. სალიანდაგო-სარემონტო მექანიკური ქარხანა № 9 (ნავთლუღი)	1. სახნისები	II—1037	„	500
9. ა/კის ფრონტის ავტოსარემონტო სახელოსნოები № 92	1. ტილოს ბაქნის კბილანა	ემ— 76	„	200
	2. გაფართოებული დოლის დეკა	„— 107	„	100
	3. გაფართოებული დოლის უკანა დეკა	„— 108	„	100
	4. ბიტერისა და მოტოვილის კბილანა	„— 103	„	—
	5. ხუფი გუთნისა ტპ—4	ტ— 103	„	200
	6. კომბაინის შტიფტი	—	„	2000

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 23/XI № 1339 დადგენილების დანართი № 3

უწყისი

მასალებისა, რომლებსაც აძლევს საქსოფლმეურნმომარაგება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამამზადებელ საწარმოებს 1945 წლის I კვარტალში

დამამზადებელი საწარმოები	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა
საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანას	ჩამოსასხმელი თუჯი	ტონა	4,5
	კ ო ქ ს ი	„	2,0
საქ. სსრ ადგ. ნრეწვ. სახ. კომისარიატის კალინინის სახ. ქარხანას	ჩამოსასხმელი თუჯი	„	8,5
	კ ო ქ ს ი	„	3,5
საქ. სსრ შინსაკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკურ სახელოსნოს	ჩამოსასხმელი თუჯი	„	2,2
	კ ო ქ ს ი	„	1,0
აგარის შაქრის ქარხანას	ჩამოსასხმელი თუჯი	„	2,8
	კ ო ქ ს ი	„	1,2
საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის თბილისის საიარაღო ქარხანას	ჩამოსასხმელი თუჯი	„	2,8
	კ ო ქ ს ი	„	1,2
№ 247 ქარხანა „სტანოკს“	ჩამოსასხმელი თუჯი	„	2,2
	კ ო ქ ს ი	„	1,0
№ 7 სახელოსნო სასწავლებელს (ბორჯომი)	ჩამოსასხმელი თუჯი	„	3,0
	კ ო ქ ს ი	„	1,3
ა/კ-ის ფრონტის № 92 ავტოსარემონტო სახელოსნო	თ უ ჯ ი	„	5,0
	კ ო ქ ს ი	„	1,7

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. ბ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 23/XI № 1339 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყისი

მასალებისა, რომლებიც უნდა გამოეყოს საქართველოს სსრ საწარმოებს I კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად

დამამზადებელი საწარმოები	დასახელება	საზომი ერთეული	1945 წლის I კვარტალში გამოსაყოფი რაოდენობა
საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის 26 კომისარიის სახ. ქარხანა	საკონტრაქტაციო ფოლადი	ტონა	3,0
	ფურცლოვანი ფოლადი	„	3,3
საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის თბილისის საიარაღო ქარხანა	საკონსტრუქციო ფოლადი	„	13,2
	მთლიანწეული მილები	„	1,0
საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატის თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	საკონსტრუქციო ფოლადი	„	3,0
ტბილისის საძალაფო საბჭოს ადგ. მრეწვ. განყოფილების ქარხანა № 1	ფურცლოვანი ფოლადი	„	3,5
	საკონსტრუქციო ფოლადი	„	1,7
	დეკაპირებული რკინა	„	0,1
	ფოლადის ლენტი	„	0,25
სალიანდაგო-სარემონტო მექანიკური ქარხანა № 9 (ნავთლუღი)	ფურცლოვანი ფოლადი	„	3,0
ქარხანა № 201 (ბათუმის ფილიალი)	ფურცლოვანი ფოლადი 7—9 მმ	„	3,0

დადგენილება № 1340

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის ადმინისტრატიული სახლის რემონტის შეხახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება მიეცეს ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომს მიმდინარე წლის ბიუჯეტის გადამეტებით მიღებულ შემოსავლიდან დახარჯოს 70 ათასი მანეთი ადმინისტრატიული სახლის შესაკეთებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1341

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ქუთაისის საქალაქო აღმასკომისა და ჩხარის, ქუთაისის, სიღნაღისა და თელავის რაიაღმასკომების სამრეწველო კომბინატების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სიღნაღის რაიაღმასკომისა და ქუთაისის საქალაქო აღმასკომის სამრეწველო კომბინატები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

სიღნაღის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატმა საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა შეასრულა 85,0%-ით, ამასთან დიდი დანაკლისი აქვს მას აგურ-კრამიტის წარმოების, თამბაქოს ფაბრიკისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულებაში.

ქუთაისის საქალაქო აღმასკომის სამრეწველო კომბინატმა საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა შეასრულა 98,8%-ით. გეგმა მნიშვნელოვნად არის შეუსრულებელი აგურის, კრამიტის, სამეთუნეო, შუშეულობის, ტრიკოტაჟისა და ავეჯეულობის წარმოების დარგში. ქიმიური და შუშეულობის ქარხნების საწარმოო სადგომები საავარიო მდგომარეობას განიცდიან, მათ რემონტი არ უკეთდებათ, მოწყობილობის მოვლა კომბინატის საწარმოებში არადამაკმაყოფილებელია. მექანიზებული აგურის ქარხანაში არ არის ათვისებული კაპიტალური მშენებლობისა და რემონტისათვის მიცემული სახსრები.

ქუთაისის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატმა საერთო პროდუქციის 9 თვის გეგმა შეასრულა 108,5%-ით. გეგმა შეუსრულებელია აგურ-კრამიტის, კერამიკისა და სამშენებლო-საკარეტო წარმოების დარგში.

ჩხარის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატმა საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა თუმცა 117,0%-ით შეას-

რულა (ძირითადად ღვინის წარმოების ხარჯზე), მაგრამ მას არ შეუსრულებია აგეჯეულობის, ფეხსაცმლისა და კერამიკული წარმოების, აგრეთვე ცარცის მოპოვების გეგმა.

თელავის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატმა 1,3%-ის გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გეგმა ძირითადად კერამიკის, კირის, ხე-ტყის სახერხი და სა"ჭედლო წარმოების დარგში, მაგრამ მას არ შეუსრულებია აგურის, აგეჯეულობისა და საკასრო პროდუქციის გამოშვებისა, ტყავნედლეულის გადამუშავებისა და ლიმონათის წარმოების გეგმა.

სამრეწველო კომბინატების ხელმძღვანელობა არასაკმაოდ ზრუნავს ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გადიდების საკითხებზე ადგილობრივი სანედლეულო რესურსების გამოყენებით, არ ატარებს საწარმოო შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობათა რემონტს და ნაკლებად ზრუნავს მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

რაიაღმასკომებისა და საქალაქო აღმასკომების თავმჯდომარეები და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები ჯერ კიდევ არ აქცევენ საკმაო ყურადღებას სამრეწველო კომბინატების მუშაობას და არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისა და გეგმის შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველობის სამმართველო არასაკმაო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს რაიონულ სამრეწველო კომბინატებსა და ადგილობრივ განყოფილებებს.

სამმართველოს შტატი დაკომპლექტებული ჯერაც არ არის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს ქუთაისის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. ჩირაძეს მიმდინარე წლის დამლევამდე ჩაატაროს შემდეგი სამუშაოები:

ა) ქიმიურ ქარხანაში: საწარმოო სადგომის, ელექტრომეურნეობისა და მოწყობილობის კაპიტალური რემონტი, აღადგინოს წისქვილი, დაამთავროს ამწოვი ვენტილაცია საამქროებში და გამოჰყოს საამქროებიდან სასაწყობო მეურნეობა მზა პროდუქციისა და ნედლეულის დასაწყობად.

გაადიდოს ფართო მოხმარების საგნების წარმოება: მინერალური საღებავებისა (ჟანგმიწა, მუმია)—30 ტონამდე, ფეხსაცმლის საცხისა—სულ ცოტა 3 ათას ქილამდე და დეკორატიული საღებავებისა—სულ ცოტა 15 ტონამდე;

ბ) შუშეულობის ქარხანაში: საწარმოო სადგომის, მზა პროდუქციისა და ნედლეულის საწყობის კაპიტალური რემონტი და აგრეთვე მეორე გამოსაწვავი ღუმელის (წევადის) მშენებლობა.

მიიღოს ზომები საავტომობილო და სამეურნეო ჰურჭლის, ლამპის შუშების, სამელნეებისა და დროტების დამზადების გეგმის შესასრულებლად;

გ) მექანიზებულ აგურის ქარხანაში: 1 აპრილამდე დაამთავროს ჰოფმანის მეორე ღუმელი, მოაწყოს დრენაჟი ჰოფმანის ღუმელის გარშემო, ჩაატაროს მოწყობილობისა და საშრობი ფარდულების კაპიტალური რემონტი გამოშვებული აგურის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და აგრეთვე მოაწყოს ღრუ კერამიკული ჰოჰონაქების წარმოება და 1945 წლის 1 იანვრამდე დამზადოს არანაკლებ 100 კერამიკული კოჰისა საცდელი მიზნებისათვის.

დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტს დახმარება აღმოუჩინოს სამრეწველო კომბინატს ღრუ კერამიკული ჰოჰონაქების წარმოების ორგანიზაციისა და კოჰების დამზადების საქმეში;

დ) სამეთუნეო წარმოებაში: განაახლოს სამეთუნეო ნაწარმის გამოშვება, შემოიღოს მექანიზაცია და შეუდგეს სათანადო კადრების მომზადებას.

2. დაევალოს სიღნაღის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. შაიშმელაშვილს:

ა) 1945 წლის სეზონისათვის შეაკეთოს აგურის გამოსაწვავი ღუმელი და ააგოს დამატებით საველე ღუმელი კომბინირებული საცეცხლით მაზუთისა და ქვანახშირისათვის იმ ანგარიშით, რომ აგურის გამოშვება სამრეწველო კომბინატში აყვანილ იქნას წელიწადში 500 ათას ცალამდე;

ბ) მიმდინარე წლის დამლევამდე დაამთავროს ყოფილი საკონდიტრო ფაბრიკის სადგომების რემონტი და გადაიყვანოს მასში ლიმონათის წარმოება;

გ) 1945 წლის I კვარტალის დამლევამდე მოაწყოს კირის წარმოება. წარმოების სიმძლავრე განსაზღვროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად.

3. დაევალოს ქუთაისის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. აბულაძეს:

ა) კერამიკულ წარმოებაში: 1945 წლის I კვარტალში დაათბუნოს საშრობი განყოფილება, მიაშენოს მზა პროდუქციისა და ნედლეულის საწყობები, ააგოს ფარდული ქვანახშირის შესანახად, დადგას დამატებით ფიცარნაგები ნაწარმის გასაშრობად, მოაწყოს სოლარეველა განყოფილება და დადგას თიხის სარეველა და ცხენამძრა-

ვი. პროდუქციის ასორტიმენტში შეიტანოს მოჰიქული ნაწარმი;

ბ) აგურ-კრამიტის ქარხანაში 1945 წლის სეზონისათვის სატუნელიაში არსებული „ბოკის“ სისტემის აგურის გამოსაწვავი დაუმთავრებელი ღუმელი გადააკეთოს საველე ტიპის ორკამერიან ღუმელად იმ ანგარიშით, რომ აგურის გამოწვება სამრეწველო კომბინატში აყვანილ იქნას წელიწადში 300 ათას ცალამდე; შესაბამისად გაადიდოს ალიზის საშრობი ფარდული, გადახუროს თიხის სარეველის ფარდულის სახურავი და დაათბუნოს კრამიტის წარმოების საშრობი განყოფილება;

გ) ჟონეში წისქვილის ქვის წარმოებაში: მიმდინარე წლის დამლევამდე გაიყვანოს სავაგონეტო ლიანდაგი კარიერიდან მდინარე რიონამდე კარიერის სისტემატური გაწმენდისათვის ნამტვრევებისაგან. 1945 წლის I კვარტალის დამლევამდე კარიერთან ააგოს მსუბუქი ტიპის სადგომი კანტორისა და საწყობისათვის.

4. დაევალოს ჩხარის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. მხეიძეს:

ა) სამეთუნეო და მეტლახის ფილების წარმოებაში დაამთავროს მიმდინარე წლის IV კვარტალში მოსაჰიქავი და თიხის მოსამზადებელი საამქროების მოწყობილობის დადგმა. 1945 წლის I კვარტალში მოაწყოს ანალიზური საცდელი ლაბორატორია და სამეთუნეო მხატვრულ ნაწარმთა დასამზადებელი საამქრო.

გაადიდოს ნაწარმის ასორტიმენტი, გააუმჯობესოს მისი ხარისხი და უფრო კოხტად გამოიყვანოს იგი;

ბ) მიმდინარე წლის დამლევამდე დაამთავროს ახალი სამჭედლო სახელოსნოს მშენებლობა და ნახშირის მექანიკური საცერის დადგმა მდ. ძვერულაზე;

გ) 1945 წლის I კვარტალიდან გააფართოოს კირის წარმოება და გამოუშვას წელიწადში არანაკლებ 200 ტონისა.

5. დაევალოს თელავის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. აივაზაშვილს:

ა) 1945 წლის 1 აგვისტომდე ააგოს აგურის ქარხანა 2 მილიონი ცალის წლიური სიმძლავრით.

ბ) გააფართოოს კირის წარმოება და გამოუშვას წელიწადში არანაკლებ 1000 ტონისა;

გ) არსებულ კერამიკულ წარმოებას თავი მოუყაროს 1945 წელს ერთ ადგილას მცირე მექანიზაციის შემოღებით წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში და პროდუქციის გამოშვება აიყვანოს წელიწადში 40 ათას ლიტრამდე, მათ შორის მოჰიქული ნაწარმი გამოუშვას არანაკლებ 10 ათასი ლიტრისა;

დ) 1945 წლის 1 აპრილამდე გააფართოოს ავეჯეულობის წარმოება წელიწადში 50 ათას მანეთამდე უცვლელი ფასებით.

6. დაევალოს ქუთაისის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. ჩირაძეს, სიღნაღის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. შაიშმელაშვილს, ქუთაისის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. აბულაძეს, ჩხარის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. მხეიძეს და თელავის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. აივაზაშვილს დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე წლის IV კვარტალის გეგმის შესრულებას, და გაითვალისწინონ წინა კვარტალების გარღვევის დაფარვა პროდუქციის ყველა ასორტიმენტის მიხედვით.

7. დაევალოს ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლომიძეს მიმდინარე წლის დამლევამდე გაანთავისუფლოს ქუთაისის საქალაქო სამრეწველო კომბინატის სატრიკოტაჟო ფაბრიკის შენობის ზედა სართული და გადასცეს სატრიკოტაჟო ფაბრიკას.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლუდ-ღვინოთის ტრესტის დირექტორს გამოუყოს ქუთაისის საქალაქო და თელავისა და სიღნაღის რაიონული სამრეწველო კომბინატების ლიმონათის ქარხნებს საჭირო რაოდენობის შართი, სახარისი და ნახშირჟანგა გაზი უალკოჰოლო სასმელების გამოშვების გეგმის შესასრულებლად.

9. დაევალოს საქთამბაქნედლეულის ტრესტის მმართველს ამხ. ჯაშაკიძეს მისცეს 1944 წლის IV კვარტალში სიღნაღის რაიონული სამრეწველო კომბინატის თამბაქოს ფაბრიკას გადასამუშავებლად 20 ტონა თამბაქო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კუთვნილი ფონდიდან.

10. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. კეცხოველს IV კვარტალსა და 1945 წლის I კვარტალში მისცეს სიღნაღის რაიონულ სამრეწველო კომბინატს საჭირო რაოდენობის მასალები 6 მილიონი ცალი პაპიროსის ჰილზის დასამზადებლად და შესაფუთავად.

11. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდუზიანს 1945 წლის 1 იანვრამდე აითვისოს წენხის დამზადება აგურის მშრალი დაწნეხისათვის საათში 50 ცალი აგურის ნაყოფიერებით მაინც, იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლის იანვრიდან გამოშვებულ იქნას ყოველთვიურად არანაკლებ 5 წნეხისა.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს (ამხ.

პუაჩიძეს) 1945 წლის 1 ივნისამდე მისცეს თელავის რაიონულ სამრეწველო კომბინატს 150 ათასი ცალი წითელი აგური აგურის გამოსაწვავი ღუმელის მშენებლობისათვის.

13. დაევალოს საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს (ამხ. კალანდაძეს):

ა) 1945 წლის I კვარტალის დამლევამდე ჩაატაროს თიხის დეტალური გეოლოგიური გამოკვლევა ქალაქ თელავის და რკინიზის სადგურის მახლობლად აგურ-კრამიტის წარმოებისათვის, მისი მარაგისა და ხარისხის გამოვლინებით;

ბ) 1945 წელს შეუდგეს და დაამთავროს მინერალური რესურსების—თაბაშირის, ქვარცის, მინდვრის შპატისა და ქვანახშირის საბადოების გეოლოგიური გამოკვლევა ჩხარის რაიონში მათი სამრეწველო მნიშვნელობის გამოვლინებით.

14. წინადადება მიეცეს თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების უფროსს ამხ. გალუსტოვს გაანთავისუფლოს და გაგზავნოს სამი თვის ვადით გაჯის ქარხნის მექანიკოსი ამხ. სუხოტინი ქუთაისის საქალაქო აღმასკომის განკარგულებაში ღრუ კერამიკული ჭოჭონაქების წარმოების მოწყობაზე სამუშაოდ.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს გაითვალისწინონ ამ დადგენილებისა და სამრეწველო კომბინატების საწარმოო გეგმების შესასრულებლად საჭირო მასალების, მოწყობილობის, ნედლეულისა და სათბობის გამოყოფა რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატებისათვის.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1342

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

დუშეთის რაიონის ხევსურთა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ კავკასიის დაცვის დღეებში დუშეთის რაიონის ფშავ-ხევსურთა მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სათავდაცვო ნაგებობათა მშენებლობაში, აგრეთვე სამხედრო ნაწილებისათვის საჭირო სურსათისა და სამხედრო საქურვლის მიტანაში, ამას გარდა, ხევსურეთის მამაკაცთა მოსახლეობა ჩაბმული იყო ყოფილ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთი მხრით, ამ ღონისძიებათა გატარებაში მონაწილეობამ, მეორე მხრით კი სეტყვამ მნიშვნელოვნად გააუარესა ფშავ-ხევსურთა მოსახლეობის ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო კეთილდღეობა.

მიუხედავად ამისა, დუშეთის რაიაღმასკომი და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომი საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ ხევსურთა შორის პოლიტიკურ-მასობრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, შეასუსტეს მათი საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება.

ბარისახოს, ბაცალიგის, არხოტისა და შატილის სასოფლო საბჭოების 16 დაწყებით სკოლიდან კადრებით დაკომპლექტებულია მხოლოდ 11 სკოლა. სკოლებს არა აქვთ საკუთარი შენობები, არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით (შატილის სკოლაში 10 მოსწავლეზე მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო მოდის).

აღნიშნული სასოფლო საბჭოების სამედიცინო დაწესებულებანი მოთავსებულია შეუფერებელ სადგომებში, მათი უმრავლესობა და-

კომპლექტებული არ არის კადრებით, არ არის უზრუნველყოფილი მედიკამენტებითა და ინვენტარით.

ხევსურთა მოსახლეობა ცუდად მარაგდება მარილით, ნავთით და სამრეწველო საქონლით.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. კუპრაძეს:

ა) ორი დეკადის ვადაში დააკომპლექტოს ხევსურეთის სკოლები კვალიფიციური პედაგოგებით და უზრუნველჰყოს ისინი საჭირო სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ხელსაწყოებით;

ბ) მიიღოს ზომები სკოლების უზრუნველსაყოფად სათანადო სადგომებით და ზამთრისათვის მათს მოსამზადებლად; არაუგვიანეს 1944 წლის ნოემბრის დამლევისა აღადგინოს ხახმატის დაწყებითი სკოლის შენობა;

გ) 1944 წლის ნოემბრის განმავლობაში დააკომპლექტოს ხევსურეთის ქოხ-სამკითხველოები კადრებით, უზრუნველჰყოს სამკითხველოები პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, აგრეთვე საჭირო ინვენტარით;

დ) 1945/46 სასწავლო წლისათვის გაითვალისწინოს სადგომების მშენებლობა შატილისა და ბაცალიგის დაწყებითი სკოლებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსაკომს—ამხ. ხელიძეს:

ა) 1944 წლის 25 ნოემბრამდე მისცეს ხევსურეთის სამკურნალო დაწესებულებებს საჭირო რაოდენობის ბინტი, მარლა, ჰიგროსკოპიული ბამბა, ინდივიდუალური პაკეტები;

ბ) იმავე ვადაში შეიტანოს ბარისახოს საავადმყოფოსათვის: საწოლები, ზეწრები, პირსახოცები, ბალიშისპირები, საცვამი თეთრეული, ზამთრის საბნები და სამეურნეო საპონი საჭირო რაოდენობით;

გ) ერთი დეკადის ვადაში დააკომპლექტოს ხევსურეთის ყველა სასოფლო საექიმო უბანი გამოცდილი ექიმებით;

დ) 1945 წელს გაითვალისწინოს სადგომების მშენებლობა არხოტისა და ბაცალიგის სასოფლო საბჭოების სამედიცინო პუნქტებისათვის.

3. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას:

ა) 1944 წლის ნოემბრის დამლევამდე შეიტანოს ბარისახოში იმ სოფლების მოსახლეობისათვის, რომლებიც სეტყვისაგან დაზარალდნენ, 70 ტონა მარცვალი, აგრეთვე ზამთრის მარაგი (1945

წლის მაისამდე ჩათვლით) ნორმირებული ხორბლის ფქვილისა და საბაზრო ფონდის მარცვლისა ხევსურეთის მოსახლეობისათვის;

ბ) ამავე დროისათვის შეიტანოს: 5 ტონა ნავთი, 10 ტონა მარილი და 30 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი (ტანსაცმელი, თეთრეული, ცელები, ცხენის აკაზმულობა და სხვ.).

4. სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს ხსრ-ში ამხ. კვირკველიამ 1944 წლის 15 ნოემბრამდე გასცეს რესპუბლიკის სარეზერვო ფონდებიდან დუშეთის რაიონის ხევსურთა მოსახლეობისათვის 70 ტონა მარცვალი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს: გამოუყოს საქართველოს სსრ განსახკომს დუშეთის რაიონის ბარისახოს საშუალო სკოლის ინტერნატისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციათა ფონდების ხარჯზე, IV კვარტალში: მანუფაქტურა იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება 100 ცალი ლეიბის, 100 ცალი ზეწრის, 100 ცალი საბნის, 200 ცალი პირსახოცის, 150 ცალი ბალიშისპირის, 250 წყვილი თეთრეულის და 200 ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დასამზადებლად.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს ამხ. გოგუას მოაწყოს ხევსურეთში მხატვრული კინოფილმების, კერძოდ ისეთი ფილმების რეგულარული ჩვენება, რომლებიც ასახავენ წითელი არმიის გმირულ ბრძოლას სამამულო ომის ფრონტებზე.

7. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა—ამხ. ჩხეტიანმა აღადგინოს სოფელ ბარისახოში სახალხო სასამართლო, რომელიც მომსახურებას გაუწევს ფშავ-ხევსურეთის 5 სასოფლო საბჭოს.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს—ამხ. გომელაურს შექმნას საშტატო ერთეულები ხევსურეთის ტყეების დასაცავად და უზრუნველჰყოს აღნიშნული ტყეების სათანადო დაცვა.

9. იმის გამო, რომ ხევსურეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, უგზოობის გამო, მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს, რაც გავლენას ახდენს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, დაევალოს საქართველოს სსრ საგზაო მშენებლობის სამმართველოს—ამხ. ბირკაიას შეისწავლოს ბარისახოდან შატილამდე გზის მშენებლობის საკითხი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

10. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების დუშეთის რაიონული საბჭოს აღმასკომს:

ა) 1944 წელს დაიწყოს ბარისახოს საშუალო სკოლის, ინტერნატისა და სასტუმროს შენობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. საქართველოს სსრ ფინსახკომმა—ამხ. ციმაკურიძემ უზრუნველჰყოს სარემონტო სამუშაოების დაფინანსება;

ბ) ორსული ქალებისა, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დროულად აღმოჩენის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, ხევსურეთის ყველა სასოფლო საბჭოში მოაწყოს მოსახლეობის აღწერა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერა და რეგისტრაცია.

11. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანს ამხ. ღუდუშაურს:

ა) მიიღოს ზომები ხევსურთა შორის პოლიტიკურ - მასობრივი და კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე გააუმჯობესოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება;

ბ) სისტემატურად ჩაატაროს მოსახლეობაში მოხსენებები და საუბრები საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო საკითხებზე და გამოიყენოს ამ მიზნისათვის პარტიული აქტივი, კვალიფიციური ლექტორები და რაიონის სპეციალისტები (აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები და სხვ.);

გ) გააძლიეროს მოწინავე ხევსურთა მიღება პარტიისა და კომკავშირის რიგებში და მუდამ იზრუნოს მათი პოლიტიკური ზრდისათვის, მოაწყოს პარტიაში ახალ შესულთათვის წრეები, სადაც ისინი შეისწავლიან ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, საკ. კ. პ. (ბ) წესდებასა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს;

დ) 1944 წლის 1 დეკემბრამდე შეამოწმოს ხევსურეთის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობა და შედეგები განიხილოს რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1343

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ნარაზნისა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების დაწვრილებითეულების შესახებ

ნარაზნისა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მეტისმეტი სიდიდის გამო და აღნიშნული საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს გაჰყოს ნარაზნის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ორ საბჭოთა მეურნეობად: ნარაზნისა და ზუგდიდის საბჭოთა მეურნეობებად და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ორ საბჭოთა მეურნეობად: ოჩხამურისა და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობებად.

2. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს ამხ. კეცხოველს და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორს ამხ. ჯიქიას:

ა) დააკომპლექტონ ახლად მოსაწყობი საბჭოთა მეურნეობები შესაბამისი კადრებით;

ბ) განსაზღვრონ ნატურით თვითეული ამ საბჭოთა მეურნეობის ფართობი და დაამთავრონ ყველა სამუშაო ზემოაღნიშნულ საბჭოთა მეურნეობების გაყოფის დარგში 1945 წლის 1 იანვრისათვის.

3. ზუგდიდის, ნარაზნის, ოჩხამურისა და ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების შტატების ნუსხა გაეგზავნოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საშტატო კომისიას.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1345

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულების და რაიონულ ორგანიზაციათა მიერ ფასიანი შრომითი საჭაპანო ბეგრის წესით ხე-ტყისა და შეშის დამზადების დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

აღინიშნოს, რომ ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულება ხე-ტყის დამამზადებელი ძირითადი ორგანიზაციების—საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის, საქსარეწტყეკავშირის, ინგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისა და თბილისის საქალაქო სათბობი განყოფილების ხაზით სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის ჩაშლის მთავარ მიზეზს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ზოგიერთი რაიონული ორგანიზაცია სისტემატურად არ ასრულებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებებს ხე-ტყის დამზადების, მიზიდვის, გამოზიდვისა და დაცურების შესახებ.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ გალის, ოჩამჩირის, საგარეჯოს, სოხუმის და ზოგიერთი სხვა რაიონი.

ზოგიერთი რაიონული ორგანიზაცია ვერ აფასებს ხე-ტყისა და შეშის დამზადებას, როგორც უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დავალებას, რის შედეგადაც ჩაშლის საფრთხე ემუქრება ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმოების (ბათუმის ცენტრალური ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხანა, მცხეთის ასანთის ფაბრიკა) მომარაგებას ნედლეულით, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს მომხმარებლების—ჰოსპიტლების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვ. მომარაგებას შეშით.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ხე-ტყის დამამზადებელ ზოგიერთ საწარმოს (საქარეწტყეკავშირს, თბილისის საქალაქო სათბობ განყოფილებას) არ დაუმყარებია საქმიანი კავშირი რაიონულ ორგანიზაციებთან და არ მიუღია საჭირო ზომები იმისათვის, რომ დაემაგრებინათ წარმოებაში მათთვის გადაცემული მუშახელი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებსა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) დაუყოვნებლივ განიხილონ რაიონში ხე-ტყისა და შეშის დამზადების მიმდინარეობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ხე-ტყისა და შეშის დამზადების მთელი იმ დავალების უცილობლივ შესრულებას მიმდინარე წლის დამლევამდე, რაც დაწესებულია 1944 წლისათვის;

ბ) ყოველ ხუთ დღეში ერთხელ მოაწოდონ ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულების სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

2. წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ზ/სვანეთისა და აბაშის რაიონების რაიკომების მდივნებმა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებმა უზრუნველჰყონ მუშახელისა და ჰაპანზიდვის ტრანსპორტის მიმაგრება ინგურის სატყეო სამრეწველო მეურნეობაზე იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 18 თებერვლის დადგენილებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას, საქარეწტყეკავშირს—ამხ. ჯებაშვილს, თბილისის საქალაქო სათბობ განყოფილებას—ამხ. ბუაძეს, ინგურის სატყეო სამრეწველო მეურნეობას—ამხ. კანდელაკს დაუყოვნებლივ მიავლინონ ადგილებზე ხელმძღვანელი მუშაკები ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის მთლიანად შესრულებამდე.

4. ხე-ტყისა და შეშის დამზადების 1944 წლის გეგმის შეუსრულებლობისათვის მიეთითოს შემდეგი რაიონების რაიკომების მდივნებსა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს: გალის რაიონისა—ამხ. ჩეზიასა და ცატავას, ოჩამჩირისა—ამხ. ქაჯაიასა და ტარბას, საგარეჯოსი—ამხ. ყუროაშვილსა და მუჩიაშვილს.

გაფრთხილება მიეცეს იმ რაიონების ხელმძღვანელებს, რომელთაც მიცემული აქვთ ხე-ტყის დამზადების, მიტანის, გამოზიდვისა

და დაცურების დავალება, რომ თუ ისინი არ შეასრულებენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებას ხე-ტყისა და შეშის დამზადების შესახებ, მათ მკაცრი სასჯელი დაედებათ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ა. ჩარკვიანი.**

1944 წლის 22 ნოემბერი.

დადგენილება № 1346

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

კურორტ წყალტუბოში პარკის გაშენების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს—ამხ. ბერაძეს შეუდგეს კურორტ წყალტუბოში პარკის გაშენების სრული პროექტის შედგენას იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დამთავრდეს არაუგვიანეს 1944 წლის 25 დეკემბრისა.

2. წინადადება მიეცეს კურორტ წყალტუბოს დირექტორს ამხ. ჩიქოვანს დარგას 30.000 ნერგი და მათ შორის 10.000 საბორდიურო ნერგი 1944 წელს მომავალი პარკის ტერიტორიაზე, უწინარეს ყოვლისა კინოთეატრის გარშემო, კურორტის შიდაგზებისა და ირგვლივი არხის გასწვრივ. ამასთან ერთად ჩაატაროს საჭირო სამუშაოები დაჭაობებული ადგილების ამოსაშრობად საკურორტო პარკის ტერიტორიაზე.

3. დაევალოს წყალტუბოს რაიაღმასკომს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს კურორტ წყალტუბოს პარკის გაშენებისა და სადრენაჟო სამუშაოთა ჩატარების საქმეში კოლმეურნეობებიდან მუშახელისა და ჰაპანზიდვის ტრანსპორტის გამოყოფით.

4. დაევალოს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას მისცეს წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს 10 ტონა მარცვალი კუთვნილი სამინდე გადასახადის 10%-იანი ანარიცხების ანგარიშში კურორტ წყალტუბოს პარკის მშენებლობის სამუშაოებში ჩაბმულ კოლმეურნეთათვის მისაყიდად.

5. სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. აბაიშვილმა დაამზადოს და მისცეს წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს 1000 ცალი ნიჩაბი, აქედან 1944 წლის დეკემბერში—500 ცალი და 1945 წლის I კვარტალში—500 ცალი.

6. დაეკალოს ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს მისცეს ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს 1944 წლის IV კვარტალში 400,0 ათასი მანეთი დენდროპროექტის შესადგენად, 30.000 ნერგის დასარგავად და პარკში ამოსაშრობ სამუშაოთა ჩასატარებლად.

7. დაევალოს წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს დირექტორს ამხ. ჩიქოვანს მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრას კურორტის ნარგავთა პირუტყვის მიერ გაფუჭების ფაქტები და უზრუნველჰყოს მთელი საპარკო მეურნეობის ჯეროვანი დაცვა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 24 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1348

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის კუთვნილი „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის კუთვნილი „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა გადაეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ავტოინსპექციის უფროსს ამხ. მანსვეტოვს „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა გაუფორმოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 28 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1349

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მწარმოებელი მოზვრების გამოზრდისა და კოლმეურნეობათათვის მიყიდვის შესახებ

იმისათვის, რომ განხორციელდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 1563 „მწარმოებელი მოზვრების გამოზრდისა და კოლმეურნეობათათვის მიყიდვის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს—ამხ. ს. ხოშტარიას და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის დირექტორს ამხ. ჯაფარიძეს მოაწყონ 1944-1945 წლის ზამთრის პერიოდის განმავლობაში ჯიშიანი მოზვრების გამოზრდა საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის ბაშქირეთის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში 70 სულის რაოდენობით, აქედან შვიცის ჯიშის 50 სულისა და სიმენტალის ჯიშის 20 სულისა კოლმეურნეობათათვის მისაყიდად 1945 წელს და კოლმეურნეობებში—შვიცის ჯიშის მოზვრების გამოზრდა 150 სულის რაოდენობით განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათათვის მისაყიდად 1945 წელს; დავალება კოლმეურნეობებში 150 მოზვრის გამოზრდის შესახებ განაწილდეს რაიონებს შორის დანართის თანახმად.

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ბაშქირეთისა და ბორჯომის რაისაბჭოების თავმჯდომარეებს დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე განთავისუფლებული რაიონებისათვის მოზვრების გამოზრდის დავალება 1944 წლის 5 დეკემბრამდე, ჩაატარონ კოლმეურნეობებში რაიმიწგანთა ზოოვეტკომისიების მონაწილეობით 1943 და 1944 წლებში შობილი მოზვრების

შერჩევა და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათს გამოზრდას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცხოველეობის ტრესტს (ამხ. ჯაფარიძეს) უზრუნველჰყოს 1944-1945 წლის ზამთრის პერიოდში შვიცის ჯიშის 50 სული ჯიშიანი მოზვრისა და სიმენტალის ჯიშის 20 სული ჯიშიანი მოზვრის გამოზრდა ბაშქიჩეთის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში კოლმეურნეობათათვის მისაყიდად 1945 წელს.

4. დაევალოს მიწსახკომს ერთი თვის განმავლობაში ჩაატაროს „ზაგოტჟივკანტორის“ საქგანყოფილების საშუალებით კოლმეურნეობებში შერჩეული მოზვრების კონტრაქტაცია და სისტემატურად აღევნოს თავალყური ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 28 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 28/XI
№ 1349 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

საქ. სსრ კოლმეურნეობებში შვიცის ჯიშის მწარმოებელი მოზვრების გამოზრდისა განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ს უ ლ თ ა ვ ი
1. ბაშჭირჩეთის	50
2. ბოგდანოვკის	40
3. ახალქალაქის	30
4. ბორჯომის	30

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. **როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1350

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის შენობის დასამთავრებლად 50 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომს 1944 წლის ბიუჯეტის შემოსავლის გადაჭარბებით მიღებულ თანხიდან მიმდინარე წელს დამატებით დახარჯოს 50 ათასი მანეთი შრომის საშუალო სკოლის შენობის დასამთავრებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 28 ნოემბერი.

დადგენილება № 1351
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ალაზანჰესის თელავის დამწევი ქვესადგურის მშენებლობისათვის 1,50 ჰექტარი მიწის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების თელავის რაისაბჭოს აღმასკომის 1944 წლის № 250 დადგენილება და გამოეყოს ალაზანჰესს თელავის 35|10 და 10|0,4 კილოვატიანი დამწევი ქვესადგურების მშენებლობისათვის სოფ. შალაურის კიროვის სახ. კოლმეურნეობიდან 1,50 ჰექტარი მიწა სათანადო კომპენსაციით.

ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ამ დადგენილების დამტკიცება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 28 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1352

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ცაგერის, დუშეთის, ჭიათურისა და ჩხოროწყუს რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების ცაგერის, დუშეთის, ჭიათურისა და ჩხოროწყუს რაისაბჭოთა აღმასკომების შუამდგომლობანი და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 27-ე მუხლის თანახმად განთავისუფლდნენ 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, წარმოდგენილი სიების მიხედვით, შემდეგ ხელმძღვანელ მუშაკთა მეურნეობანი:

ცაგერის რაიონში

1. მურცხვალაძე რაჟდენ იაკობის-ძე.
2. სილაგაძე სერგო ამბროსის-ძე.
3. ყურაშვილი სერგო დიანოზის-ძე.
4. ჩაკვეტაძე ესტატე ალექსის-ძე.
5. ხეცურიანი ელიკო გიორგის-ასული.
6. ლარცულიანი გრიშა სემინარის-ძე.
7. ხეცურიანი გრიშა იასონის-ძე.
8. ჩაკვეტაძე ვალიკო ანტონის-ძე
9. ფანჯარაძე დიმიტრი ილიას-ძე.
10. ჩორგოლიანი სოგრატ ლუკას-ძე.
11. ხეცურიანი გიორგი იოსების-ძე.
12. მუშკუდიანი გიორგი ივანეს-ძე.
13. ხვადაგიანი გედეონ ზაქარიას-ძე.
14. ბაკურაძე არჩილ იასონის-ძე.

15. საღინაძე დავით ალექსანდრეს-ძე.
16. ქლიბაძე ავთანდილ გიგოს-ძე.
17. ჩხეტიანი სამსონ ნესტორის-ძე.
18. ხეცურიანი რომანოზ მაქსიმეს-ძე.
19. სვანიძე ალექსანდრე ამბაკოს-ძე.
20. ჩაკვეტაძე იულო ივანეს-ძე.
21. ბაკურაძე ბიძინა ვარლამის-ძე.

დუშეთის რაიონი

1. ხუცურაული ალექსი მამუკას-ძე.
2. ყარმაზანაშვილი გრიგოლ იოსების-ძე.
3. გულაშვილი ნიკოლოზ ალექსის-ძე.
4. ბედუკაძე ვანო ანდრიას-ძე.
5. წიკლაური ივანე შიოს-ძე.
6. იოსებაძე შიო გიორგის-ძე.
7. ბუჩუკური მიხეილ დავითის-ძე.

ჭიათურის რაიონი

1. კუპატაძე ალექსანდრე ვლადიმერის-ძე.
2. ლაბაძე ბაგრატ არსენის-ძე.
3. ტყემალაძე ივანე არსენის-ძე.
4. ჯაოშვილი ტრიფონ გიორგის-ძე.
5. გაფრინდაშვილი იპოლიტე სერგოს-ძე.
6. ჭუმბურიძე გიორგი ბათლომეს-ძე.
7. ხარაიძე ალექსანდრე მალაქიას-ძე.
8. ტყემალაძე გიორგი ანტონის-ძე.
9. ლომიძე გრიგოლ სინოს-ძე.
10. ბლიაძე აკაკი ბაჭიას-ძე.
11. ღუღუნიშვილი ნიკოლოზ ილიას-ძე.
12. ჯაჯანიძე რაჟდენ ლუარსაბის-ძე.
13. მენაფირე სიმონ ისაიას-ძე.
14. სხირტლაძე პეტრე ისაიას-ძე.
15. გურული ვალერიან დავითის-ძე.
16. მოდებაძე დავით ნიკოს-ძე.

ჩხოროწყუს რაიონი

1. თოდუა ვარლამ პახუს-ძე.
2. ქებურია დანიელ დიმიტრის-ძე.
3. ჭითინავა თეოფანე ლევანის-ძე.
4. ქებურია კოლია სტეფანეს-ძე.

5. ქებურია სიმონ გახას-ძე.
6. ქვარცხავა სპირიდონ მიტოს-ძე.
7. პაპასქირი გიორგი გრიგოლის-ძე.
8. ჩიტაია იოსებ ივანეს-ძე.
9. სიჭინავა ელიზბარ სტეფანეს-ძე.
10. სოსელია ლეონტი ნესტორის-ძე.
11. შელია პიპიკო კოწიას-ძე.
12. შენგელია ესტატე გიგოს-ძე.
13. ცირდავა გერონტი რაჟდენის-ძე.
14. ჯიქია ერასტი კოსტას-ძე.
15. მალანია ალექსანდრე ვასილის-ძე.
16. თოლორდავა იროდი პეტრეს-ძე.
17. სიჭინავა ონისიმე დიმიტრის-ძე.
18. ბაძაღუა გრიშა ნესტორის-ძე.
19. თოდუა არჩილ ილიას-ძე.
20. ოთხოზორდია ერასტი კოწიას-ძე.
21. შენგელია ალექსი სიკოს-ძე.
22. ბერია ანტონ ილიას-ძე.
23. კვარაცხელია ვარლამ პავლეს-ძე.
24. ფარულავა ნესტორ დიმიტრის-ძე.
25. ქარჩავა არიადნა ანტონის-ასული.
26. თოდუა სანდრო ანდრიას-ძე.
27. ვეკუა არსენ ვასილის-ძე.
28. გულუა დათიკო კოწიას-ძე.
29. ბერია ტერენტი ივანეს-ძე.
30. სიჭინავა იონა ხოსიმეს-ძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 28 ნოემბერი.

დადგენილება № 1353

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქ. ჰიათურაში ი. ბ. სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ისტორიული სახლის რესტავრირების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების ჰიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1944 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შემოსავლის გადაჭარბებით მიღებულ თანხიდან მიმდინარე წელს დამატებით დახარჯოს 28 ათასი მანეთი ქალ. ჰიათურაში ი. ბ. სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ისტორიული სახლის (ტოლსტოის ქ. № 13) სარესტავრაციო რემონტის ჩატარებაზე და, გარდა ამისა, 99 ათასი მანეთი აღნიშნულ სახლში ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ გამოფენის მოწყობაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 28 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1355

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ახალი სატყეო მეურნეობების მოწყობის შესახებ

ტყეების დაცვის საქმის გაუმჯობესების, სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა გაძლიერების მიზნით და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 13 ოქტომბრის № 19.845-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს დამატებით 28 სატყეო მეურნეობა, აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში—25 სატყეო მეურნეობა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სისტემაში—3 სატყეო მეურნეობა; დამტკიცდეს მთლიანად სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სატყეო მეურნეობების ქსელი, დანართის თანახმად.

2. აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში სატყეო მეურნეობების მოწყობასთან დაკავშირებით დამტკიცდეს აჭარის სატყეო მეურნეობის ცენტრალური აპარატის შტატი 13 ერთეულის რაოდენობით და 5.571 მან. ხელფასის თვიური ფონდით და სამხრეთ-ოსეთის სატყეო მეურნეობის ცენტრალური აპარატის შტატი, ჯალაბეთის რაიონულ სატყეო მეურნეობასთან ერთად, 37 საშტატო ერთეულის რაოდენობით (აქედან ჯალაბეთის რაიონული სატყეო მეურნეობის შტატი 20 ერთეულით) და 10.510 მან. ხელფასის თვიური ფონდით.

3. სატყეო მეურნეობების იმ ობიექტებთან მიახლოების მიზნით, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ:

ა) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. ჯაბუამ გადაიტანოს თბილისის სატყეო მეურნეობის

კანტორა თიანეთში და ხაშურის სატყეო მეურნეობის კანტორა — ქარელში.

ამჟამად საჩხერეში არსებული ჭიათურის სატყეო მეურნეობის კანტორას უწოდოს საჩხერის სატყეო მეურნეობა;

ბ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსმა ამხ. გომელაურმა გადაიტანოს შოვის საკურორტო სატყეო მეურნეობის კანტორა ონში და დააკისროს ონის საკურორტო სატყეო მეურნეობას ონის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ტყის მომსახურება. სურამის საკურორტო სატყეო მეურნეობა გადაიტანოს ხაშურში და დააკისროს ხაშურის საკურორტო სატყეო მეურნეობას ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ტყის მომსახურება.

საირმის საკურორტო სატყეო მეურნეობას უწოდოს მაიაკოვსკის საკურორტო სატყეო მეურნეობა და დააკისროს მას მაიაკოვსკის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ტყის მომსახურება, გარდა აჯამეთის ნაკრძალისა. ატენის სატყეო მეურნეობას უწოდოს გორის საკურორტო სატყეო მეურნეობა და დააკისროს მას გორის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ტყის მომსახურება.

4. სატყეო ფონდის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს შორის უფრო რაციონალური განაწილების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას გადასცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში თბილისის, გორის, მცხეთის, ხაშურის, ონის, მაიაკოვსკის, დუშეთისა და ბორჯომის რაიონების ტერიტორიებზე განლაგებული ტყეები.

აღნიშნული ტყეების გადაცემა წარმოებულ იქნას მთელი სატყეო-სამეურნეო ინვენტარით, ქონებითა და შენობებით და აგრეთვე ამ ტყეების მომსახურე მუშაკთა პირადი შემადგენლობით 100 ერთეულის რაოდენობითა და 19.640 მან. ხელფასის ფონდით.

5. მაიაკოვსკის, ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული აჯამეთის მუხის ნაკრძალის ყველა ტყე დატოვებულ იქნას ქუთაისის სატყეო მეურნეობის გამგებლობაში და დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს

სახკომსაბჭოს სათანადო წინადადებანი აღნიშნული ნაკრძალის ჯეროვანი დაცვით უზრუნველყოფის შესახებ.

6. ამაშის, ხობისა და ცხაკაიას რაიონების ტყეების მომსახურება დაეკისროს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლხიდის სატყეო მეურნეობას, სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ტყეების მომსახურება—წულუკიძის სატყეო მეურნეობას და ჩხარის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ტყეებისა—ტყიბულის სატყეო მეურნეობას.

7. დაეკისროს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სისტემების სატყეო მეურნეობებს მომსახურება გაუწიონ შესაბამის ადმინისტრაციულ რაიონებში განლაგებულ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა ტყეს.

8. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს, აგრეთვე რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ერთი თვის განმავლობაში დაამთავრონ ახალი სატყეო მეურნეობების მოწყობა, ამ დადგენილების თანახმად, გამოუყონ მათ მოსათავსებლად შესაფერი სადგომები და დააკომპლექტონ შემოწმებული კვალიფიციური კადრებით.

9. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 13 ოქტომბრის № 19846-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ცენტრალურ აპარატთან მოეწყოს ტყისმომწყობი განყოფილებანი—თვითეული 9 საშტატო ერთეულით.

10. ამ დადგენილების შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 3 მარტის № 190 დადგენილებისა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხარაგოულის სატყეო მეურნეობის კუთვნილი სატყეო უბნის—„რიკოთის“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის

ტყეების სამმართველოს სურამის საკურორტო სატყეო მეურნეობისათვის გადაცემის შესახებ, და დატოვებულ იქნას იგი საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხარაგოულის სატყეო მეურნეობის გამგებლობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ნოემბერი.

ქ ს ე ლ ი

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სატყეო მეურნეობებისა

სატყეო მეურნეობების დასახელება	სატყეო მეურნეობების კანტორის ადგილსამყოფელი

საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის სატყეო მეურნეობები

1.	ოჩამჩირის	ქ. ოჩამჩირე
2.	გალის	ქ. გალი
3.	ზუგდიდის	ქ. ზუგდიდი
4.	წალენჯიხის	სოფ. წალენჯიხა
5.	ზემო-სვანეთის	სოფ. ხაიში
6.	ჩხოროწყუს	სოფ. ჩხოროწყუ
7.	კოლხიდის	ქ. ფოთი
8.	სალხინო-გეგეჭკორის	სოფ. სალხინო
9.	ცაგერის	დაბა ცაგერი
10.	ქვემო-სვანეთის	სოფ. ლენტეხი
11.	წულუკიძის	სოფ. გორდი
12.	ქუთაისის	ქ. ქუთაისი
13.	ტყიბულის	დაბა ტყიბული
14.	ამბროლაურის	დაბა ამბროლაური
15.	საჩხერის	დაბა საჩხერე
16.	ჭიათურის	ქალ. ჭიათურა
17.	ხორაგოულის	სოფ. მარელისი
18.	ლანჩხუთის	დაბა ლანჩხუთი
19.	მახარაძის	ქალ. მახარაძე
20.	ჩოხატაურის	სოფ. ჩოხატაური
21.	აჭარის	ქალ. ბათუმი
22.	ბათუმის	"
23.	ქობულეთის	ქალ. ქობულეთი
24.	ქედის	სოფ. ქედი
25.	ხულოს	სოფ. ხულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. სამხრეთ-ოსეთის . . . . . ქალ. სტალინირი
27. ზნაურის . . . . . სოფ. ზნაური
28. სტალინირის . . . . . ქალ. სტალინირი
29. ლენინგორის . . . . . ქალ. ლენინგორი
30. ქარელის . . . . . სოფ. ქარელი
31. კასპის . . . . . სოფ. წითელქალაქი
32. თიანეთის . . . . . „ თიანეთი
33. საგარეჯოს . . . . . დაბა საგარეჯო
34. თელავის . . . . . ქალ. თელავი
35. ყვარლის . . . . . სოფ. ყვარელი
36. გურჯაანის . . . . . დაბა გურჯაანი
37. სიღნაღის . . . . . „ სიღნაღი
38. წითელწყაროს . . . . . „ წითელწყარო
39. ლაგოდეხის . . . . . „ ლაგოდეხი
40. თეთრიწყაროს . . . . . „ თეთრიწყარო
41. ბოლნისის . . . . . „ ბოლნისი
42. ბორჩალოს . . . . . „ შაუმიანი
43. ბაშქიჩეთის . . . . . „ ბაშქიჩეთი
44. ყარაიის . . . . . სოფ. ყარატაფა
45. ახალხევის . . . . . „ ახალხევი

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს საკურორტო სატყეო მეურნეობები

46. ბორჯომის . . . . . ქალ. ბორჯომი
47. ბაკურიანის . . . . . დაბა ბაკურიანი
48. წაღვერის . . . . . „ წაღვერი
49. ახალდაბის . . . . . „ ახალდაბა
50. დვირის . . . . . სოფ. დვირი
51. აწყურის . . . . . სოფ. აწყური
52. ახალციხის . . . . . ქალ. ახალციხე
53. ასპინძის . . . . . სოფ. ასპინძა
54. ახალქალაქის . . . . . ქალ. ახალქალაქი
55. ადიგენის . . . . . სოფ. ადიგენი
56. აბასთუმნის . . . . . კურორტი აბასთუმანი
57. ხაშურის . . . . . ქალ. ხაშური
58. გორის . . . . . „ გორი
59. ჯავის . . . . . სოფ. ჯავა
60. დუშეთის . . . . . ქალ. დუშეთი
61. ყაზბეგის . . . . . სოფ. ყაზბეგი

62. მცხეთის . . . . . დაბა მცხეთა
63. თბილისის . . . . . ქალ. თბილისი
64. მანგლისის . . . . . დაბა მანგლისი
65. ზესტაფონის . . . . . ქალ. ზესტაფონი
66. ბახმაროს . . . . . სოფ. ბახმარო
67. ვანის . . . . . დაბა ვანი
68. მაიაკოვსკის . . . . . „ მაიაკოვსკი
69. წყალტუბოს . . . . . ქალ. წყალტუბო
70. ონის . . . . . „ ონი
71. კლუხორის . . . . . „ კლუხორი
72. იალბუზის . . . . . სოფ. ტეგენიკი
73. აფხაზეთის სატყეო მეურნ. . ქალ. სოხუმი
74. გაგრის . . . . . სოფ. გაგრა
75. ბზიბის . . . . . სოფ. ბზიბი
76. გუდაუთის . . . . . ქალ. გუდაუთი
77. სოხუმის . . . . . „ სოხუმი
78. გულრიპშის . . . . . სოფ. ზახაროვკა
79. ჩიალტინის . . . . . ქალ. ჩიალტა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. რუხტიაშვილი.

დადგენილება № 1357

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქ თბილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და ბორჯომში კომუნალური საცხოვრებელი სახლების რემონტის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა შეასუსტეს მუშაობა კომუნალური საცხოვრებელი ფონდის აღდგენის, დაცვის, სწორი ექსპლოატაციისა და სათანადო სანიტარული მდგომარეობაში შენახვისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ქალაქ თბილისსა, ქუთაისსა, სოხუმსა, ბათუმსა, ფოთსა და ბორჯომში ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა კომუნალური საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილის არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა.

აღნიშნული ქალაქების 6604 კომუნალური საცხოვრებელი სახლიდან, რომელთა ფართობი 1808,1 ათას კვ. მეტრს უდრის, 411 სახლი ავარიულ მდგომარეობაშია და დაახლოებით 2.900 სახლი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს.

მიუხედავად ამისა, საბინაო მეურნეობის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, სისტემატურად ვერ ითვისებენ კომუნალური საცხოვრებელი ფონდის აღსადგენად და დასაცავად გაღებულ სახსრებს, ხოლო ამ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი არადანიშნულებისამებრ იხარჯება.

მთლიანად საქართველოში 1943 წელს საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 46, 1%-ით

(გეგმით გათვალისწინებული 16.150,9 ათასი მანეთის ნაცვლად ფაქტიურად ათვისებულია 7448,6 ათასი მანეთი), ხოლო 1944 წლის პირველ ნახევარში—51,8%-ით (გეგმით გათვალისწინებული 8300,0 ათასი მანეთის ნაცვლად, ფაქტიურად ათვისებულია 4290,0 ათასი მანეთი).

მარტო ქალაქ სოხუმში, ქუთაისში, ფოთში და ქჭლაქ თბილისის მოლოტოვის სახელობისა და ბერიას სახელობის რაიონებში 1943 წლისა და 1944 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში არადანიშნულებისამებრ დაიხარჯა 300,0 ათასი მანეთი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის სახსრებიდან (ფოტოვიტრინების მოსაწყობად, სახალხო სასამართლოების სადგომების, კომუნალური ბანკის მიმღები სალაროს, ყრუმუნჯთა საზოგადოების კლუბის, პროკურატურის შენობების, შიდასაბინაო რემონტისა და სხვა საჭიროებისათვის).

ადგილი აქვს თვალისახვევის ფაქტებს სარემონტო სამუშაოების წარმოების დროს, საცხოვრებელი სახლების რემონტისას ფიქტიური და აშკარად გადიდებული ანგარიშების განაღდებას.

იმ დროს, როცა საერთოდ რემონტი არადამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით ცუდი ხარისხით სწარმოებს სახურავებისა და სანტექნიკური ნაგებობათა რემონტი, რის შედეგადაც ამ უკანასკნელებში წყალი ჩამოდის, რაც შენობების ნაადრევად გაფუჭებას იწვევს, ამას ერთგვარად ხელს უწყობს საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის გადებული სახსრების დაქსაქსვის არსებული პრაქტიკა.

იმის ნაცვლად, რომ ჩატარდეს სრული კაპიტალური რემონტი იმ ანგარიშით, რომ შეკეთებული სახლები კვლავ არ საჭიროებდნენ რემონტს რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც წესი, სწარმოებს ნაწილობრივი რემონტი, რაც იწვევს რამდენიმე კვირის შემდეგ განმეორებითი რემონტის აუცილებლობას (ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონში ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე სახლი № 4, ზასულიჩის ქუჩაზე მდებარე სახლი № 34/36, ცეტკინის ქუჩაზე მდებარე სახლი № 9, ქალაქ ფოთში ჯუღაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლები № 7 და № 28/30, ქალაქ ბათუმში კომინტერნის ქუჩაზე მდებარე სახლი №54 და სხვ).

საქალაქო და რაიონული საბინაო სამმართველოები და სარემონტო კანტორები, რომელთაც საკუთარი საწარმოო და მომარაგების ბაზები არ გააჩნიათ და რომლებიც იმედებს მთლიანად ცენტრალიზებულ მომარაგებაზე ამყარებენ, უურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი მასალების თვითდამზადების ორგანიზაციისა და ში-

ნაგანი რესურსების მობილიზაციის საქმეს.

ადგილი აქვს საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის გაცემული მასალების ხარჯვას არადანიშნულებისამებრ. 1943 წლისა და 1944 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჭუთაისსა, სოხუმსა და ბათუმში აღებულ იქნა 13 შენობა გამოსადეგი მასალების გამოსაყვლის შესახებ აქტის შეუდგენლად და ეს მასალები განიავებულია. დატაცებულია ის მასალებიც, რაც მიღებულ იქნა მოლოტოვის რაიონის ქ. თბილისის გარეუბანში თიხით შეღესილი შენობების, აგრეთვე ბერიას სახელობის რაიონში ლენინის ქუჩაზე მდებარე №10 სახლის აღების შედეგად.

სახლმმართველობათა არსებული ქსელი, მისი მცირე რაოდენობისა და იმის გამო, რომ სახლმმართველები დატვირთული არიან სხვადასხვა ფუნქციით, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება არა აქვთ სახლების მმართველობასთან, თავს ვერ ართმევენ საცხოვრებელი სახლების ნორმალური ექსპლოატაციისა და დროულად შეკეთების საქმეს.

საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის გაღებული სახსრების განიავების ერთერთ მიზეზს ის გარემოება წარმოადგენს, რომ საქართველოს სსრ კომუნალური ბანკი და მისი საქალაქო ფილიალები ვერ უზრუნველჰყოფენ სახსრების ხარჯვის სათანადო კონტროლს და არღვევენ კომუნალური საცხოვრებული სახლების რემონტის დაფინანსების დადგენილ წესს.

1944 წლის პირველ ნახევარში კომუნალურ ბანკს არ ჩაუტარებია ქალაქ თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონების არც ერთ კაპიტალურად შეკეთებული საცხოვრებელი სახლის ფაქტიურად შესრულებული სარემონტო სამუშაოების შემოწმება, ხოლო 1943 წელს ამ რაიონის 68 სახლიდან ფორმალურად აზომილია მხოლოდ 8 სახლი.

კომუნალური ბანკი სისტემატურად ღებულობდა სარემონტო კანტორების მიერ წარდგენილ ფიქტიურ, აგრეთვე აშკარად გადიდებულ აქტებს შესრულებული სარემონტო სამუშაოების შესახებ და ანაღდებდა ამ ანგარიშებს. მთელ რიგ შემთხვევებში სახლების რემონტის ანგარიშების ანაღდება შესრულებულ სამუშაოთა შესახებ შედგენილი აქტების წარმოუდგენლადაც კი ხდებოდა; ბანკი სარემონტო კანტორებს არ უკავებდა მასალებისათვის მიცემულ ავანსებს.

ქალაქ თბილისის სარემონტო კანტორებმა 1943 წელს, საქართველოს კომუნალური ბანკის მუშაკთა ხალშეწყობით, ზედმეტად გაიტანეს მუშათა ხელფასის ფონდი 900,0 ათას მანეთამდე, ხოლო

1944 წლის პირველ ნახევარში—400,0 ათასი მანეთამდე, ამასთან მუშათა ზედმეტ ხელფასს ბანკი იმ შემთხვევებშიაც აძლევდა, როცა სარემონტო კანტორებს ანგარიშებზე არ მოეპოვებოდათ სათანადო სახსრები.

ხელფასის ფონდის ზედმეტად მიღებული სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს ითვისებდა სარემონტო კანტორების ზოგიერთი თანამდებობის პირი იმ საბაბით, ვითომდა მათ მასალები კერძო პირებისაგან შეეძინეს.

დადასტურებულია, რომ კომუნალური ბანკის ცალკეული მუშაკები ეწეოდნენ კლიენტებისაგან ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა გამოძალვას.

საცხოვრებელი ფონდის მოვლის, ექსპლოატაციისა და შენახვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააუმჯობესონ საბინაო მეურნეობის საქალაქო და რაიონული სამმართველოების და მათი სარემონტო კანტორების მუშაობის ხელმძღვანელობა, გააძლიერონ ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი საცხოვრებელი სახლების რემონტისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რემონტის ხარისხსა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების დაცვას, ამასთან არ დაუშვან თანხების გადახარჯვა და სამუშაოთა მოკლულობის გადიდება.

2. დაწესდეს, რომ ქალაქ თბილისში კომუნალური საცხოვრებელი სახლების რემონტის ხარჯთაღრიცხვებს 10.000 მანეთამდე ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, ხოლო როცა რემონტის თანხა 10.000 მანეთს აღემატება, —მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება.

3. კაპიტალური რემონტის გეგმებისა და სატიტულო სიების დამტკიცებამდე უნდა მოხდეს საცხოვრებელი სახლების წინასწარი ტექნიკური დათვალიერება სატიტულო სიებში შესატანად იმ მოცულობით, რაც უზრუნველჰყოფს სრული კაპიტალური რემონტის ჩატარებას. სატიტულო სიებში შეტანილ იქნას პირველ რიგში ყველაზე დიდი სახლები, რომლებიც გადაუდებელ რემონტს მოითხოვენ.

4. იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას მერქანი გაფუჭებისაგან, საცხოვრებელი სახლების რემონტის ხარჯთაღრიცხვებში გაითვალისწინონ ხის კონსტრუქციების ანტისეპტაციის ხარჯები, ამასთან აეკრძალოს საბინაო მეურნეობის სამმართველოებს შეკეთებული სახ-

ლების მიღება და ანგარიშების განაღდება ისე, თუ წარმოდგენილი არ იქნა აქტები ანტისეპტაციის ხაზით შესრულებული სამუშაოების შესახებ.

5. საცხოვრებელი სახლების რემონტის გეგმის დამტკიცებასთან ერთად, დაუწესონ სარემონტო კანტორებს რემონტის გრაფიკები და სამშენებლო მასალის მომარაგების გეგმები, ამასთან არ დაუშვან მატერიალურ-ტექნიკური სახსრების დაქსაქსვა და რემონტის გაჭიანურება.

6. ყოველდღიურად შეამოწმონ და აღმასკომების სხდომებზე მოისმინონ საცხოვრებელი სახლების რემონტის გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ პირველ რიგში მოყვანილ იქნას წესრიგში სახურავები, წყალსადენი მილები, სახლებისა და ეზოს წყალსადენი და საკანალიზაციო ქსელი.

7. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიიღონ ზომები არსებული სარემონტო კანტორების განსამტკიცებლად, ამასთან იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მოაწყონ საქმიანი ეზოები საწარმოო სახელოსნოებით (საზეინკლო, სამჭედლო, სადურგლო და სხვა.);

ბ) მაქსიმალურად გააფართოონ სამშენებლო მასალების თვითდამზადება, მოაგვარონ მასალების ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა და კატეგორიულად აკრძალონ მასალების არადანიშნულებისამებრ ხარჯვა.

გ) დაავალონ სახლმმართველებს მიმდინარე რემონტისათვის გაღებულ ასიგნობათა ხარჯზე იყოლიონ სახლმმართველობათა შტატებში გადაუდებელი რემონტის ჩასატარებლად მეწყალსადენე ზეინკლები, მხურავები, დურგლები იმ რაოდენობით, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა სახლმმართველობათა ფინანსიური მდგომარეობა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, სარეწაო კავშირისა და საქინკოოპკავშირის სისტემის საწარმოთა 1945 წლის გეგმებით საფასონო, საკანალიზაციო და საწყალსადენო ნაწილების, არმატურის, რკინა კაეულის ნაწარმის, საღებავების, სახურავის, საღებავი და სხვა მასალების დამზადება საცხოვრებელი ფონდის რემონტისათვის.

9. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ქალაქ ბათუმის, სოხუმისა და ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მოაწყონ ქალაქ თბილისის მაგალითის მიხედვით საბინაო მეურნეობის სამმართველო აპარატის მოსამზადებელი კურსები საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროგრამით.

10. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ შეიქმნას მუშათა მუდმივი კადრი საბინაო სამმართველოთა სარემონტო კანტორებში;

ბ) მოაწყონ დამხმარე მეურნეობანი სარემონტო კანტორების მუშებისათვის, ამასთან გამოჰყონ ამ მეურნეობების მოსაწყობად მიწის სათანადო ნაკვეთები და სათესლე მასალა.

11. დაწვრილებითულდეს ქალაქებში არსებული სახლმმართველობანი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1937 წლის 17 ოქტომბერს „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ მიღებული დადგენილების შესაბამისად.

დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს განსახილველად სახლმმართველობათა დაწვრილებითული პროექტი.

12. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები სახლმმართველთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც დაავალონ საბინაო სამმართველოებისა და მილიციის ორგანოებს მინიმუმამდე შეამცირონ სახლის მმართველთა გამოძახება, ამასთან დააწესონ, რომ სახლის მმართველები სამსახურის საათებში, როგორც წესი, თავიანთ სახლმმართველობებში უნდა იმყოფებოდნენ.

13. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დააჯილდოონ სახლის მმართველები ყოველი ექვსი თვის განმავლობაში (თვიური ხელფასის ფარგლებში საცხოვრებელი სახლების კარგად შენახვისათვის, საზამთროდ დროული მომზადებისა და მაღალხარისხოვანი რემონტის ჩატა-

რებისათვის. დაჯილდოება მოხდეს იმ სახსრების ანგარიშში, რაც სახლმმართველობათა ხარჯთაღრიცხვების ეკონომიის შედეგად შეიქმნა.

14. კატეგორიულად აიკრძალოს კომუნალური საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის გაღებული სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვა.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიმდინარე წლის დეკემბერში, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე, მთლიანად აღადგინონ საცხოვრებელი სახლების რემონტის სახსრები, რაც 1944 წელს იქნა დახარჯული არადანიშნულებისამებრ.

15. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს და მის საქალაქო ფილიალებს:

ა) მტკიცედ დაიცვან კომუნალური საცხოვრებელი ფონდის რემონტის დაფინანსების დადგენილი წესი და შესწყვიტონ საცხოვრებელი სახლების რემონტის ანგარიშების უკონტროლოდ განაღდება;

ბ) გააძლიერონ კომუნალური საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის გაღებული სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლი. სისტემატურად შეამოწმონ საცხოვრებელი ფონდის რემონტის იმ ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხი, რაც ბანკში შემოდის; ამასთან არ დაუშვან ანგარიშების განაღდება საცხოვრებელი სახლების რემონტის სახსრებიდან სხვა სამუშაოებისათვის.

16. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარს ამხ. თავაძეს და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ანანიევს საქართველოს სსრ კომუნალური ბანკისა და სარემონტო კანტორების ცალკეულ მუშაკთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ არსებული მთელი მასალები გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა მისაცემად სასამართლო პასუხისგებაში.

ამხ. თავაძემ თვალყური ადევნოს საქმეების გამოძიებას და იმას, რომ ფაქტიურად იქნან პასუხისგებაში მიცემული ის პირები, რომელთაც ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

17. დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1358

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

წალკის რაიონული საავადმყოფოს მშენებლობის დამთავრებისათვის საჭირო სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს გასცეს წალკის საავადმყოფოს მშენებლობისათვის მთავარი კორპუსისა და სამზარეულოს დასამთავრებლად—50 ათასი მანეთი 1944 წლის IV კვარტალში ბიუჯეტის შესრულების წესით და 170 ათასი მანეთი გაითვალისწინოს 1945 წლის I და II კვარტალების ბიუჯეტში.

2. დაევალოს წალკის რაისაბჭოს აღმასკომს—ამხ. ზოსიმოვს 1945 წლის 1 აპრილამდე დაამთავროს და საექსპლოატაციოდ გადასცეს წალკის რაიონული საავადმყოფოს მთავარი კორპუსი და სამზარეულო.

3. წინადადება მიეცეს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მისცენ წალკის საავადმყოფოს მშენებლობას:

ა) საქართველოს სსრ ჯანსახკომმა—ამხ. ხელიძემ 200 კვ. მეტრი მინა;

ბ) საქმომარაგების ტრესტმა—ამხ. კვანტალიანმა—200 კილოგრამი სელის ზეთი, 100 კილოგრამი თეთრა და 400 გრძ. მეტრი სადანადგარო სადენი;

გ) „გლავმეტალოსბიტის“ თბილისის კანტორამ — ამხ. მემარნიშვილმა—100 კილოგრამი სახურავი რკინა 1945 წლის I კვარტალის ფონდების ანგარიშში.

4. დაევალოს:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს—განიხილოს წალკის საავადმყოფოს მშენებლობის დაზუსტებული განაცხადი და გაითვალისწინოს 1945 წლის I კვარტალის გახაწილების გეგმით საჭირო მასალების გაცემა აღნიშნული საავადმყოფოს მთავარი კორპუსის დასამთავრებლად;

ბ) საქართველოს სსრ ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს—ორი კვირის განმავლობაში დააზუსტოს წალკის რაიონული საავადმყოფოს მშენებლობისათვის გაწეული ხარჯები და სასჯელი დააღოს ჯანსახკომის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს წალკის საავადმყოფოს მშენებლობის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1359

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დამხმარე მეურნეობებიდან 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების გეგმის შესახებ

იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 28 ოქტომბრის № 1497 დადგენილება „დამხმარე მეურნეობებიდან 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნას დამხმარე მეურნეობებიდან მუშათა და მოსამსახურეთა მოსამარაგებლად კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების გეგმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა, განსახკომისა, ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატისა, სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტუეების სამმართველოს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოსა და თბილისის საქალაქო საბჭოსათვის (სახელმწიფოსათვის ჩაბარებისა და სათესლე ფონდის გამოყოფის გარეშე) 2835 ცენტნერი კარტოფილისა და 12.720 ცენტნერი ბოსტნეულის რაოდენობით, რაც განაწილდეს სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ ორგანიზაციებს შორის დანართის თანახმად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ჯანსახკომს, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომი-

სარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, ცეკავშირს, ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობას, სამხფლოტვაჭრობას, საქ. სსრ სპეცვაჭრობას, ამიერკავკასიის რკინიგზის ბუფეტკანტორას, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველოს, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას, ტყიბულქვანახშირის ტრესტს, ტყვარჩელქვანახშირს, საქნავთს, ჰიათურმარგანტრესტს, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანას, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანას, კარობის მოლიბდენს, დიმიტროვის სახელობის № 31 ქარხანას, კასპის ცემენტის ქარხანას, № 712 ქარხანას, საქენერგოს, კიროვის სახელობის ქარხანას, № 233 ქარხანა „ცენტროლიტს“, № 201 ქარხანას, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკას, ტრიკოტაჟკომბინატს, ენგურჰიდალდკომბინატს, ბათუმის ნავსადგურს, ფოთის ნავსადგურსა და სოხუმის ნავსადგურს მიიღონ დაფუყოვნებლივი ზომები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 28 ოქტომბრის № 1497 დადგენილებით დაწესებული კარტოფილისა და ბოსტნეულის თავისი დამხმარე მეურნეობებიდან მიღების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

3. დადგენილ იქნას, რომ დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული კარტოფილი და ბოსტნეული სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებისა და სათესლე ფონდების გამოყოფის შემდეგ სრულად გამოიყენება კვების გასაუმჯობესებლად საწარმოთა და დაწესებულებათა სასადილოებსა და ბუფეტებში, სამავშვო ბაღებსა და ბაგებში ცენტრალიზებულ ფონდებს ზევით და არ ჩაითვლება ბარათებით გაცემის ნორმაში.

4. წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატების, ცენტრალური ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებს:

ა) დაუყოვნებლივ დაიყვანონ ყოველ მეურნეობამდე 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების გეგმა, შეამოწმონ, თუ რა მდგომარეობაშია მათი შენახვა ზამთრის პერიოდში და არ დაუშვან მათი გაფუჭება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

ბ) მიმდინარე წლის 20 დეკემბრისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ანგარიშები თავისი დამხმარე მეურნეობებიდან 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების გეგმის შესრულების შესახებ.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიმდინარე წლის 15 დეკემბრისათვის მოახსენოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს, თუ როგორ ანხორციელებენ საწარმოთა და დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობები სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის 21 აპრილის № 152

პრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას დამხმარე მეურნეობათა პროდუქციის ხარჯვისა და აღრიცხვის წესის შესახებ.

6. ნება დაერთოს დამხმარე მეურნეობათა მქონე საწარმოებს აწარმოონ ურთიერთშორის კარტოფილისა და ბოსტნეულის გაცვლა-გამოცვლა რესპუბლიკის ფარგლებში დაწესებული ეკვივალენტით, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულთან შეთანხმებით და არ დაუშვან რკინიგზის ტრანსპორტის გამოყენება ამ მიზნისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

დამხმარე მეურნეობებიდან 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღებისა

სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი	რაოდენობა ცენტნ.	
	კარტოფილი	ბოსტნეული
საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომ.	125	2420
საქ. სსრ საავტ. ტრანსპ. სახ. კომ.	80	810
საქ. სსრ განსახკომი	1350	2650
აქედან უმაღლესი სასწავ.	100	1035
საქ. სსრ ხორცრძმრეწვ. სახ. კომ.	160	360
საქ. სსრ სოცუზრუნ. სახ კომ.	—	530
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგ. მნიშვნელობის ტყეების სამმართველო	300	—
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშ. მასალათა მრეწვ. მთავარი სამმართველო	100	1025
თბილისის საქალაქო საბჭო	—	4925
სულ ჩამოთვლილი სახ. კომისარიატებისა და ორგანიზაციების ხაზით	2835	12720

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1360

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სატრაქტორო პარკის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში არსებული მექანიზმები (ტრაქტორები, არხსათხრელები და სხვ.) მოუვლელია და მათ სრულად არ იყენებენ. წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის 14 ტრაქტორიდან სამუშაო მდგომარეობაშია მხოლოდ 4, დანარჩენები კაპიტალურ და საშუალო რემონტს მოითხოვენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს— ამხ. ზამბახიძეს დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს მექანიზმების გამოყენების საქმე, მიიღოს ზომები მთელი სატრაქტორო პარკის, აგრეთვე თხრილსათხრელებისა და სხვა მექანიზმების სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

წინადადება მიეცეს ამხ. ზამბახიძეს 1945 წლის იანვრის დამლევისათვის წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

2. აეკრძალოს ყველა რაიაღმასკომსა და სხვა ორგანიზაციებს გამოიყენონ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სატრაქტორო პარკი გარეშე სამუშაოებზე და აგრეთვე მოაძრონ სათადარიგო ნაწილები და ცალკეული აგრეგატები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როხტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

დადგენილება № 1361

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 ქიმქარხანაში მშრალი წებოს გამოშვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის—ამხ. გორდეზიანის განცხადება იმის შესახებ, რომ 1944 წლის 1 დეკემბრიდან უზრუნველყოფილი იქნება დღეღამეში 2 ტონა მშრალი ტყავქვეშკანის სტანდარტული წებოს გამოშვება № 2 ქიმქარხანაში, ხოლო იანვრის დამდეგიდან—$2^1/_2$ ტონისა.

2. დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის" საქართველოს სამმართველოს — ამხ. ჯორჯიკიას და საქნავთის ტრესტს—ამხ. აბესაძეს ნება დართონ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, როგორც გამონაკლისი, ყოველთვიურად გამოზიდოს საკუთარი ტრანსპორტით თავისი ფონდის ანგარიშში 50-მდე ტონა მაზუთი თბილისის № 2 ქიმქარხნისათვის შაბიამანისა და მშრალი წებოს დასამზადებლად.

3. დაევალოს საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჰოხონელიძეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის დადგენილი 1944 წლის IV კვარტალის გეგმის ანგარიშში შეაკეთოს დეკემბერში ერთი სატვირთო ავტომანქანა „გაზ-აა" № 2 ქიმქარხნისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამონახოს №2 ქიმქარხნისათვის ერთი ვაკუუმ-ტუმბო და აგრეთვე, ადგილობრივი მრეწველობის სახალ-

ხო კომისარიატთან—ამხ. გორდეზიანთან ერთად, უზრუნველჰყოს აღნიშნული ქარხანა 200 მეტრი 2—$2^1/_2$-დუიმიანი მილებით.

5. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და სარეწაო კავშირს ხუთდღიურში ერთხელ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ცნობები შაბიამანის გამომუშავების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1362

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს სამტრედიის აგურის ქარხანაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ სამტრედიის აგურის ქარხნის ყოფ. ტექნიკური ხელმძღვანელი ძიძიშვილის მიერ შემოტანილი განცხადების შემოწმების შედეგებზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა სამტრედიის აგურის ქარხნის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ ვერ უზრუნველჰყო შესრულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 20 იანვრის № 46 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ელექტროგადამცემი ხაზის მიყვანას სამტრედიის ქარხანასთან ორი თვის განმავლობაში და თიხის ზელვისა და ყალიბების მექანიზაციის განხორციელებას 1944 წლის პირველ ნახევარში, თიხის საზელისა და ლენტური წნეხის დადგმით.

ქარხანას არ მოეპოვება საშრობი ფარდულები, ალიზის შრობა ღია მოედნებზე ხდება, რაც ამცირებს საამქროების გამტარუნარიანობას.

ქარხანაში დისციპლინა სუსტია, აღრიცხვა და ანგარიშგება აწეწილია, შრომის ნაყოფიერება დაბალია, იმ მუშების რაოდენობა, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებენ, 82%-ს შეადგენს. 1944 წლის ცხრა თვის განმავლობაში საწარმოო პროგრამა შესრულებულია: წითელი აგურისა—78,5%-ით და კრამიტისა—97,3%-ით.

ქარხანაში არ მოიპოვება აგურისა და კრამიტის დამზადების დამტკიცებული ტექნოლოგია, კონტროლი არ ეწევა აგურისა და კრამიტის გამოწვისა და გაცივების თერმიულ პროცესებს, თბოტექნიკური რეჟიმის გამორჩევა ხდება თვალდათვალ, საზომი ხელსაწყოების გამოუყენებლად, კონტროლი არ ეწევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

კონტროლი არ ეწევა მზა პროდუქციის გატანას ქარხნიდან, რამაც შექმნა პირობები ბოროტმოქმედებათა ჩასადენად.

ქარხნის ყოფილმა ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ლ. ლ. ძიძიშვილმა კერძო პირებს მიჰყიდა 2000 ცალი კრამიტი 20.000 მანეთად, რისთვისაც სახალხო სასამართლოს განაჩენით მას მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ორი წლით.

ქარხნის დირექტორმა ყაჭეიშვილმა 1944 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე უგანრიგოდ მისცა სხვადასხვა ორგანიზაციასა და ცალკეულ პირებს 46.500 ცალი სამშენებლო აგური.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს და სამტრედიის აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორს ამხ. ყაჭეიშვილს მიიღონ საჭირო ზომები და დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, ხოლო ამასთან ერთად დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქარხნის საყალიბო საამქროს, საშრობი ფარდულებისა და დამხმარე საამქროების მშენებლობას და დაამთავრონ იგი 1945 წლის 1 აპრილამდე, ამასთან დასდგან საშრობ ფარდულებში საჭირო მოწყობილობა და სარწევი ტრანსპორტერი იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1945 წელს 5 მილიონ ცალამდე წითელი აგურისა და 200.000 ცალამდე კრამიტის გამომუშავება.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს 1945 წლის 15 იანვრამდე უზრუნველჰყოს სამტრედიის აგურის ქარხანა იმ მოწყობილობითა და მასალებით, რაც მას აკლია.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს თავის ფონდიდან სოფ. მათხოჯში სამტრედიის აგურ-კრამიტის ქარხნისათვის 300 კუბ. მეტრი მრგვალი ხე-ტყე.

4. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს დახმარება აღმოუჩინოს სამშენებლო მასალათა

მრეწველობის მთავარ სამმართველოს იმ მხრივ, რომ სამტრედიის აგურ-კრამიტის ქარხნისათვის დაამზადოს სარწევი ტრანსპორტერები და ვაგონეტების კომპლექტი.

5. დაევალოს სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. დუნდუას დახმარება გაუწიოს სამტრედიის აგურის ქარხანას იმ მხრივ, რომ საკოლმეურნეო ტრანსპორტით გადმოზიდოს სოფ. მათხოჯიდან 300 კუბ. მეტრი ხე-ტყე, აგრეთვე გამოუყოს საჭირო რაოდენობის მუშახელი ქარხნის მშენებლობის დასამთავრებლად.

6. წინადადება მიეცეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს დაუყოვნებლივ შესწყვიტოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის ყველა საწარმოში პროდუქციის უგანრიგოდ გაცემა.

7. სამტრედიის აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორს ამხ. ვ. მ. ყაჭეიშვილს კრამიტისა და აგურის უგანრიგოდ გაცემისათვის გამოეცხადოს საყვედური.

გაფრთხილება მიეცეს ამხ. ყაჭეიშვილს, რომ თუ იგი გადაჭრით არ გააუმჯობესებს ქარხნის მუშაობას და ვერ უზრუნველჰყოფს 1945 წელს 5 მილიონამდე ცალი აგურისა და 200 ათას ცალამდე კრამიტის გამოშვებას, იგი მოიხსნება სამუშაოდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1363

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაენიშნოს მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან პერსონალური განაკვეთები შემდეგ მუშაკებს:

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით

1) მთავარ ბუხჰალტერს ამხ. გ. ა. ბრავინსკის თვეში 1400 მანეთი;

2) საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილეს ამხ. გ. ს. ზეთიშვილს—თვეში 975 მანეთი.

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით

1) ცენტრალური ბუხჰალტერიის მთავარ ბუხჰალტერს ამხ. ლ. ი. ჯაჯანაშვილს—თვეში 1200 მანეთი;

2) ქუთაისის ქერელსართავი ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ამხ. ი. ი. გრიგორიევს—თვეში 1400 მანეთი;

3) საფეიქრო მრეწველობის სახკომისარიატის აბრეშუმის მთავარ სამმართველოს საგეგმო-სტატისტიკური ჯგუფის ხელმძღვანელს ამხ. შ. პ. შენგელიას—თვეში 825 მანეთი.

საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხაზით

საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარია-

ტის სამამულო ომისა და შრომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის განყოფილების გამგეს ამხ. ი. ლ. ოქროპირიძეს—თვეში 1085 მანეთი.

საქართველოს სსრ განსახკომის ხაზით

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ ბუხჰალტერს ამხ. კ. ი. შავლაძეს—თვეში 1.200 მანეთი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1364

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების და ქალებისა და ბავშვების სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 10 ნოემბრის № 1571 დადგენილებისა „საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, ქალებისა და ბავშვების სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის საოლქო და ყველა საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს გაადიდონ საბავშვო ბაგების, ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო კონსულტაციების, სარძეო სამზარეულოების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების ქსელი და უზრუნველჰყონ სრული ჩაბმა იმ ბავშვებისა, რომლებიც ამ დაწესებულებებით მომსახურებას საჭიროებენ.

მარტოხელა დედებისათვის ბავშვების აღზრდაში დახმარების გაწევის მიზნით საბავშვო ბაგებსა და საბავშვო ბაღებში მოაწყონ დღეღამის ჯგუფები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ხელიძეს), აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს და საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გააფართოონ სამშობიარო სახლების ქსელი ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ ადგილებში, გაადიდონ სამშობიარო საწოლების საერთო რიცხვი 1944 წლის დამლევისათვის 900, ხოლო 1945 წელს 1000 საწოლამდე, თანახმად № 1 დანართისა;

ბ) გააფართოონ სოფლად სამშობიარო სახლების ქსელი და გაადიდონ სამშობიარო საწოლების საერთო რიცხვი დამოუკიდებელ სამშობიარო სახლებსა და სოფლის საავადმყოფოების განყოფილებებში 1944 წლის დამლევისათვის 350, ხოლო 1945 წელს 450 საწოლამდე, თანახმად № 2 დანართისა;

გ) გააფართოონ საბავშვო ბაგების ქსელი ქალაქებისა და მუშათა დასახლებულ ადგილებში, გაადიდონ მათში ადგილების საერთო რიცხვი 1944 წლის დამლევისათვის 7150, ხოლო 1945 წელს 7500 ადგილამდე, თანახმად № 3 დანართისა;

დ) გააფართოონ მუდმივი ბაგების ქსელი სოფლად და გაადიდონ მათში ადგილების საერთო რიცხვი 1944 წლის დამლევისათვის 5300, ხოლო 1945 წელს 6.500 ადგილამდე, თანახმად № 4 დანართისა;

ე) გაადიდონ 1945 წელს ქალთა დამოუკიდებელი კონსულტაციების რაოდენობა ქალაქად 35-დე, ბავშვთა და დედათა და ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა ქალაქად 70-მდე, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა სოფლად—53-მდე, მათი ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის განაწილებით, თანახმად №№ 5, 6 და 7 დანართებისა;

ვ) გააფართოონ ჩვილ ბავშვთა სახლების ქსელი და გაადიდონ მათში საწოლების საერთო რიცხვი 1944 წლის დამლევისათვის 530, ხოლო 1945 წელს 700 საწოლამდე, თანახმად № 8 დანართისა;

ზ) 1945 წელს ქ. თბილისში მოაწყონ დედათა და ბავშვთა სახლი 30 საწოლით;

თ) გაადიდონ საბავშვო ბაგებში დღეღამის ხანგრძლივობით (გამოსასვლელი დღეების ჩათვლით) 1946 წლის 1 იანვრისათვის ადგილების რიცხვი ქალაქად 40%-მდე, ხოლო სოფლად 15%-მდე;

ი) გამოჰყონ ქალთა კონსულტაციები დამოუკიდებელ დაწესებულებებად ცალკე ხარჯთაღრიცხვითა და შტატით ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, ფოთში, ჭიათურაში, ტყიბულსა და ტყვარჩელში;

კ) უზრუნველჰყონ ახლად გახსნილი საბავშვო და სამშობიარო დახმარების დაწესებულებანი სამედიცინო კადრებით, სამედიცინო მოწყობილობით, ხელსაწყოებით, მსუბუქი და მაგარი ინვენტარით.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო ბაღებში ბავშვების კონტინგენტი 1945 წლისათვის 22 ათასის რაოდენობით, აქედან დღეღამის ხანგრძლივობის ჯგუფში 2 ათასი, ხოლო საღამოს ჯგუფებში 14 ათასი ბავშვი, თანახმად № 9 დანართისა.

4. დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საბავშვო ბაღებში ბავშვების კონტინგენტი 1945 წლისათვის 5.200 ბავშვის რაოდენობით, აქედან დღე-

ლამის ხანგრძლივობის ჯგუფში 1.000, ხოლო საღამოს ჯგუფებში 2.500 ბავშვი, თანახმად № 10 დანართისა.

5. დაწესდეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლებში ბავშვების კონტინგენტი 1944 წლის დამლევისათვის 4.200, ხოლო 1945 წელს—4.400 ბავშვის რაოდენობით, თანახმად № 11 დანართისა.

6. დამტკიცდეს 1945 წლისათვის საბავშვო ბაღების ახალი მშენებლობის გეგმა 300 ბავშვისათვის 600 ათასი მანეთის რაოდენობით, თანახმად № 12 დანართისა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ხელიძეს) წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ქალაქად და სოფლად საბავშვო ბაგების აღდგენისა და ახალი მშენებლობის გეგმა საკავშირო ჯანსახკომიდან სათანადო ლიმიტების მიღებისთანავე.

8. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და საუბნო აღმასრულებელ კომიტეტებს რესპუბლიკური დაქვემდებარების სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს 1945 წლიდან კაპიტალური სამუშაოების გეგმებში გაითვალისწინონ საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა და უზრუნველჰყონ ეს დაწესებულებები საჭირო სამშენებლო მასალებით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობისა და განათლების სახალხო კომისარიატებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქალაქო და საუბნო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ჩაატარონ 1944 წლის 20 დეკემბრამდე საბავშვო და სამშობიარო დახმარების დაწესებულებათა საჭირო რემონტი თავიანთი ბიუჯეტიდან საჭირო თანხების გაღებით;

ბ) უზრუნველჰყონ საბავშვო და სამშობიარო დახმარების დაწესებულებებში სათბობის მიზიდვა 1944 წლის 20 დეკემბრისათვის წლიური მოთხოვნილების მიხედვით;

გ) გააფართოონ რაიაღმასკომებსა და ქალაქების დედათა და ბავშვთა კონსულტაციებში ორსულ ქალებისა, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისა და ბავშვებისათვის სოციალურ-უფლებრივი დახმარების აღმოჩენა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (ამხ. ალავიძეს) გაითვალისწინოს 1945 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმებში:

ა) ახლად მოწყობილ საბავშვო დაწესებულებებისათვის საჭირო ავეჯისა და ჭურჭლის დამზადება, თანახმად № 13 დანართისა;

ბ) ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთა ძირითად გეგმაში 30% გაითვა-

ლისწინოს ტრიკოტაჟის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და წინდების დასამზადებლად საბაგო, სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის.

11. ეთხოვოს ა/კ ფრონტის სარდალს ამხ. ტიულენევს უზრუნველჰყოს 1945 წლის 1-ლ იანვრამდე ქალ. თბილისში სამხედრო წყვებების მიერ დაკავებული საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების შენობების განთავისუფლება.

12. დაევალოს:

ქალ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. კარანაძეს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, შრომის დაცვის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ხოჯაშვილს, თბილვაჭრობის დირექტორს ამხ. კილასონიას, 31-ე ქარხნის დირექტორს ამხ. სალაძეს, მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ამხ. გომელაურს 1945 წლის 1-ლ იანვრისათვის გაანთავისუფლონ მათ მიერ დაკავებული საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების შენობები და გადასცენ ისინი განათლებისა და ჯანმრთელობის ორგანოებს პირდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად.

13. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს:

ა) გაანთავისუფლონ 1945 წლის 1-ლ იანვრისათვის არადანიშნულებისამებრ გამოყენებული საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღების, სამშობიარო სახლების, ჩვილ ბავშვთა სახლების, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების ბინები და გაუკეთონ მათ საჭირო რემონტი;

ბ) გამოუყონ ქალაქებში ყოველწლიურად ახალი საბავშვო ფონდის სულ მცირე 10% იმ მრავალშვილიანი და მეძუძურე დედებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით განიცდიან ბინის სივიწროვეს.

14. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ხელიძეს) ერთი თვის ვადაში გაანთავისუფლოს ქ. ბორჯომში დასასვენებელი სახლის „ფირუზეს“ შენობა, რომელიც ამჟამად უჭირავს ჯანსახკომის ევაკოჰოსპიტალს № 1456 და დაუბრუნოს იგი პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს ევაკოჰოსპიტლების საშმართველოს ორსულ ქალებისათვის დასასვენებელი სახლის გასახსნელად.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს:

ა) 1944 წლის 15 დეკემბრისათვის საბავშო ბაგებსა და საბავშვო ბაღებში, რომლებიც მომსახურებას უწევენ სახალხო კომისა-

რიატის (უწყებების) საწარმოების და დაწესებულებათა მუშაქალებს, ჩაატარონ რემონტი და უზრუნველჰყონ ამ საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაღებისათვის სათბობის მიზიდვა 1944 წლის 20 დეკემბრისათვის წლიური მოთხოვნილების რაოდენობით;

ბ) მოაწყონ თავიანთ საწარმოებში საბავშვო ავეჯისა და ჭურჭლის წარმოება და მთლიანად უზრუნველჰყონ მით არსებული და ახლად მოწყობილი საბავშვო დაწესებულებათა (ბაგებისა და საბავშვო ბაღების) მოთხოვნილება;

გ) მოამარაგონ კვების პროდუქტებით წარმოებებთან არსებული ბაგები სათანადო წარმოების მუშათა მომარაგების განყოფილებების მეშვეობით;

დ) გამოუყონ საბავშვო ბაგებს საწარმოს დამხმარე მეურნეობიდან პროდუქტები მეძუძურე დედებისათვის ცხელი საუზმის გასაცემად;

ე) მოაწყონ წარმოებებთან ოთახები ძუძუმწოვარა ბავშვების საკვებად და აგრეთვე ქალების პირადი ჰიგიენის ოთახები, ყოველ 300 მომუშავე ქალზე თითო ოთახი;

ვ) მიამაგრონ საწარმოებთან არსებული ბაგებისა და საბავშვო ბაღების მომუშავენი სათანადო საწარმოთა სასადილოებსა და მაღაზიებს სასურსათო და სამრეწველო საქონლით მოსამარაგებლად.

16. დაევალოს „ტექსტილსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. მელიქოვს) და „ლეგსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. საბაშვილს) გასცენ 1944 წლის IV კვარტალში საბავშვო ბაღებში დღეღამის ხანგრძლივობით მოთავსებული ბავშვებისათვის 21 ათასი მანეთის მატყლის ქსოვილი, 19 ათასი მანეთის ბამბის ქსოვილი და 21 ათასი მანეთის ტრიკოტაჟი, თანახმად № 14 დანართისა.

17. დაევალოს „ტექსტილსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. მელიქოვს) „ლეგსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. საბაშვილს) და „რეზინოსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. შიხმანს) მისცენ საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარიატს 1944 წლის IV კვარტალის საბაზრო ფონდის ანგარიშში 1300 მეტრი ბამბის ქსოვილი, 100 წყვილი ტყავისა და 100 წყვილი ლანჩის ფეხსაცმელი პატრონატზე აყვანილ ბავშვებისათვის.

18. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გიორგაძეს):

ა) მოამარაგოს 1944 წლის IV კვარტალიდან ბავშვები საკვები პროდუქტებით საბავშვო ბაგებში, ჩვილ ბავშვთა სახლებში, სარძევე სამზარეულოებში, საკვებ სადგურებში, საბავშვო ბაღებში და ქალები სამშობიარო სახლებში ნორმების მიხედვით, თანახმად № 15 დანართისა;

ბ) დაწესდეს, რომ საბავშვო დაწესებულებათა მიერ დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული კვების პროდუქტები გამოყენებულ იქ-

ნას ბავშვების კვების გასაუმჯობესებლად დაწესებულ ნორმებს ზევით და არ ჩაეთვალოს მათ ცენტრალიზებულ ფონდებში;

გ) უზრუნველჰყოს ნორჩ ბავშვთა სახლებში, ბაგებში, სარძევე სამზარეულოებში, საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაღებში ბავშვების კვების პროდუქტებით პირველ რიგში და შეუფერხებლივ მომარაგება დაწესებული ნორმების მიხედვით, კვების პროდუქტების გაცემა აწარმოოს 10 დღით ადრე კვარტალის დაწყებამდე ფონდების შემდგომი დაზუსტებით დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

დ) გამოჰყოს საბავშვო დაწესებულებათათვის გაუმჯობესებული ხარისხის სასურსათო საქონელი, რისთვისაც გამოიყენოს პირველ რიგში ბრინჯის, თავნაფქვის, ბურღულის, საქონლის ცხიმის, რძის, შაქრისა და ხორცის პროდუქტების არსებული რესურსები;

არ დაუშვას საბავშვო დაწესებულებათა მომარაგების დროს შაქრის და საქონლის ცხიმის შემცველების გაცემა, ხორცის პროდუქტების შეცვლა კი მოახდინოს მხოლოდ კვერცხის ფხვნილით დაწესებული ნორმის არაუმეტეს 10%-ს რაოდენობით;

ე) ჭააუქმოს არსებული წესი ორსული და მშობიარე ქალების მიერ სამშობიარო სახლებში მოთავსებისას სასურსათო ბარათების ჩაბარების შესახებ;

ვ) გახსნას 1945 წლის 1-ლ ივლისამდე ქ. თბილისში დედათა და ბავშვთა სპეციალური სასურსათო და ერთი სამრეწველო მაღაზია და დანარჩენ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ ადგილებში კი გამოჰყოს არსებულ მაღაზიებთან დედათა და ბავშვთა სპეციალური განყოფილებანი;

ზ) შექმნას საოლქო და საქალაქო ვაჭრობის განყოფილებებთან საბავშვო დაწესებულებების, სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების, აგრეთვე ორსული ქალებისა და მეძუძურე დედების სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების ორგანიზაციისა და კონტროლის სექტორები;

თ) მოამარაგოს სასურსათო საქონლით საბავშვო დაწესებულებათა ექიმები, მედიცინის დები, აღმზრდელები, ძიძები, მზარეულები, დამლაგებლები და მრეცხავები, რომლებიც მომსახურებას უწევენ საბავშვო ბაგებს, ჩვილ ბავშვთა სახლებს, სარძევე სამზარეულოებს, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციებს და საბავშვო ბაღებს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით და ამ დაწესებულებათა დანარჩენი მომსახურე პერსონალი-კი მოსამსახურეთა ნორმების მიხედვით;

ი) ნება დაერთოს საბავშვო ბაგების მომსახურე სამედიცინო,

აღმზრდელ და ადმინისტრატიულ პერსონალს იკვებოს საბავშვო ბაგებში იმ პირობით, რომ ისინი ჩაებარებენ თავიანთ სასურსათო ბარათებს და გადაიხდიან საკვებ პროდუქტების თვითღირებულებას. საკავშირო ვაჭრობისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისაგან სათანადო ინსტრუქციის მიღებისთანავე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან ერთად გამოსცეს ინსტრუქცია ბავშვთა ბაგების თანამშრომელთა კვების ორგანიზაციის წესების შესახებ.

19. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატს (ამხ. კეცხოველს), ხორცისა და რძის მრეწველობის სახ. კომისარიატს (ამხ. ბერიშვილს), ცეკავშირის პრეზიდიუმს (ამხ. ნარსიას), „მიასომოლსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. ქავთარაძეს), „ზგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას (ამხ. სიხარულიძეს), „გლავრიბას“ საქართველოს კანტორას (ამხ. ლეჟავას), „გლავსახარის“ საქართველოს კანტორას (ამხ. კირშტეინს):

ა) დაასაქონლონ საბავშვო დაწესებულებათა სასურსათო საქონლის ფონდები დაწესებული ნორმების მიხედვით მთლიანად და პირველ რიგში საქართველოს სსრ ვაჭრობის სახკომისარიატის მიერ გაცემული განრიგებით;

ბ) გასცენ საბავშვო დაწესებულებათა მოსამარაგებლად სასურსათო საქონელი კვარტალის დაწყებამდე 10 დღით ადრე.

20. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ბერიშვილს), „მიასომოლსბიტის„ საქართველოს კანტორას (ამხ. ქავთარაძეს):

ა) საბავშვო დაწესებულებათა მოსამარაგებლად გამოყოფილი ცხიმეულის ფონდები დაასაქონლონ მხოლოდ ერბო-კარაქით;

ბ) საბავშვო დაწესებულებათა მოსამარაგებლად გამოყოფილ არაჟანისა და ხაჭოს ფონდების დასაქონლება იმ ადგილებში, სადაც ამ პროდუქტების გამომუშავება არ სწარმოებს, აწარმოონ რძით ან რძის სხვა პროდუქტებით სათანადო ეკვივალენტის მიხედვით;

გ) ორი კვირის ვადაში დაამუშაონ ღონისძიებანი მოხმარების ადგილებში საბავშვო დაწესებულებათა მოსამარაგებლად რძის დამზადებისა და ერბო-კარაქის გამომუშავების გადიდებისათვის მოთხოვნილების ფარგლებში და თავისი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

21. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს (ამხ. ციმაკურიძეს) მისცეს ავანსად საბავშვო დაწესებულებებს ხილისა და ბოსტნეულის სეზონური დამზადებისათვის „კვების“ მუხლით წლიური ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის

სულ მცირე ერთი თვის ხარჯის რაოდენობა—წლიური ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში.

22. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ 1945 წ. 1-ლ მარტისათვის ყველა საბავშვო ბაგებთან, ჩვილ ბავშვთა სახლებთან, სამშობიარო სახლებთან, დედათა და ბავშვთა სახლებთან და საბავშვო ბაღებთან დამხმარე მეურნეობების მოწყობა, რისთვისაც გამოუყონ მათ მიწის ნაკვეთები, საჭირო სამეურნეო ინვენტარი და შინაური ფრინველი.

23. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს, აგრეთვე ჯანმრთელობისა და განათლების ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ საბავშვო დაწესებულებებში აღმზრდელობითი მუშაობა, სამედიცინო მომსახურება, იზრუნონ ყოველმხრივ ბავშვთა სოფიაცხოვრებო მოწყობისა და კვების გაუმჯობესებისათვის და უზრუნველჰყონ ყველა პირობა მათი ფიზიკური და გონებრივი აღზრდა-განვითარებისათვის.

24. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს (აშხ. თავაძეს) დააწესოს ამ დადგენილების შესრულების კონტროლი და ყოველთვიურად წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს შემოწმების შედეგები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/X
№ 1364 დადგენილების დანართი № 1

საშობაოარო საწოლების რაოდენობა ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ ადგილებში

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	35	35
აჭარის ასსრ	145	145
ქ. თბილისი	340	385
ქ. ქუთაისი	90	90
ქ. ფოთი	35	35
ახალქალაქის რაიონი	13	13
ბორჯომის „	—	15
ჯორის „	15	15
გურჯაანის „	11	11
დუშეთის „	12	12
ზესტაფონის „	—	40
ხუგდიდის „	15	15
მანარაძის „	38	38
ონის „	15	15
სამტრედიის „	35	35
სიღნაღის „	15	15
თელავის „	46	46
ბაშურის „	25	25
წულუკიძის „	15	15
ს უ ლ	900	1000

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/XI
№ 1364 დადგენილების დანართი № 2

სამშობიარო საწოლების რაოდენობა სოფლად

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	31	46
აჭარის ასსრ	24	34
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	13	21
აბაშის რაიონი	10	10
ადიგენის „	17	17
ამბროლაურის „	8	8
ასპინძის „	10	10
ახალქალაქის „	8	8
ახალციხის „	4	4
ბაშქინეთის „	8	8
ბოგდანოვკის „	10	10
ბორჩალოს „	—	8
ვანის „	9	9
გაგეშკორის „	—	8
გურჯაანის „	8	8
ბოლნისის „	8	8
დუშეთის „	8	8
ზესტაფონის „	5	8
ყარაიის „	6	6
ქარელის „	—	15
ყვარლის „	10	10
ქვემო-სვანეთის „	4	4
ლაგოდეხის „	20	20
მახარაძის „	7	7
მაიაკოვსკის „	8	8
ლანჩხუთის „	15	15
მცხეთის „	4	4
საგარეჯოს „	8	14
სამტრედიის „	5	5
თბილისის „	—	8
თეთრიწყაროს „	10	10
ორჯონიკიძის „	12	12
თიანეთის „	6	6
ზუგდიდის „	6	6
ცაგერის „	3	3
წალენჯიხის „	8	16
წალკის „	10	18
წყალტუბოს „	5	5
ჩოხატაურის „	10	10
ჩხარის „	12	12
სულ	350	450

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ბაგებში ადგილების რაოდენობა ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ ადგილებში

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	1027	1077
აჭარის ასსრ	590	620
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	110	110
ქალ. თბილისი	2706	2826
„ ქუთაისი	370	370
ქალაქი ფოთი	132	152
„ ჭიათურა	76	86
ახალქალაქის რაიონი	54	54
ახალციხის „	178	178
ბორჯომის „	120	120
გორის „	110	110
გურჯაანის „	36	36
დუშეთის „	25	25
ზესტაფონის „	45	45
ზუგდიდის „	157	165
ქარელის „	36	36
კასპის „	32	45
ლენტეხორის „	80	80
მახარაძის „	195	244
მცხეთის „	40	48
ონის „	30	45
სამტრედიის „	143	143
სიღნაღის „	36	45
თბილისის „	106	106
თელავის „	200	200
ტყიბულის „	70	70
ხაშურის „	36	45
წალკის „	80	80
წითელწყაროს „	83	83
ცხაკაიას „	51	60
წულუკიძის „	196	196
ს უ ლ	7150	7500

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. როხტიაშვილი.**

საბავშვო ბაგებში ადგილების რაოდენობა სოფლად

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	813	938
აჭარის ასსრ	1140	1190
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	128	148
ქალაქი ფოთი	16	16
აბაშის რაიონი	33	47
ადიგენის „	65	65
ამბროლაურის „	33	53
ასპინძის „	15	15
ახალციხის „	28	28
ახალხევის „	—	30
ბაშქირეთის „	70	70
ბოგდანოვკის „	36	50
ბორჯომის „	20	22
ბორჩალოს „	80	110
ბოლნისის „	30	30
ვანის „	30	40
გეგეჭკორის „	140	175
გურჯაანის „	20	30
ზ/სვანეთის „	36	36
ზუგდიდის „	282	346
ყარაიის „	64	214
ქარელის „	20	30
კასპის „	16	31
ყვარლის „	60	80
ქვ/სვანეთის „	15	30
ქუთაისის „	47	61
ლაგოდეხის „	81	81
ლანჩხუთის „	72	72
მახარაძის „	655	821
მაიაკოვსკის „	78	88
მცხეთის „	55	80
ონის „	20	30
ორჯონიკიძის „	25	25
საგარეჯოს „	50	80
საჩხერის „	—	40
სიღნაღის „	72	96
თბილისის „	152	167

		1944 წ.	1945 წ.
თელავის	რაიონი	66	101
თეთრიწყაროს	„	90	90
თიანეთის	„	25	25
ხობის	„	46	65
ცაგერის	„	—	30
წალენჯიხის	„	176	220
წითელწყაროს	„	51	65
წყალტუბოს	„	57	77
ცხაკაიას	„	117	160
ჩოხატაურის	„	36	50
ჩხარის	„	35	50
ჩხოროწყუს	„	102	102
	სულ	5300	6500

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა დამოუკიდებელი კონსულტაციები ქალაქად

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	1	2
აჭარის ასსრ	1	1
ქალაქი თბილისი	18	18
ქალაქი ქუთაისი	2	3
„ ფოთი	—	1
„ ჭიათურა	—	1
სტალინირი	1	1
გორის რაიონი	1	1
გურჯაანის „	1	1
ზესტაფონის „	1	1
ზუგდიდის „	1	1
მახარაძის „	1	1
თელავის „	1	1
ტყიბულის „	—	1
ცხაკაიას „	1	1
ს უ ლ	30	35

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/XI
№ 1364 დადგენილების დანართი № 6

დედათა და ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა ქალაქად

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	8	8
აჭარის ასსრ	4	4
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	1	1
ქ. თბილისი	20	20
ქ. ქუთაისი	4	4
ქ. ფოთი	2	2
ქ. ჭიათურა	2	2
ახალქალაქის რაიონი	1	1
ახალციხის „	1	1
ბორჯომის „	2	2
გორის „	2	2
გურჯაანის „	1	1
დუშეთის „	1	1
ხვსტაფონის „	1	1
ზუგდიდის „	2	2
კლუხორის „	1	1
მახარაძის „	2	2
ონის „	1	1
სამტრედიის „	2	2
სიღნაღის „	2	2
თელავის „	2	2
ტყიბულის „	2	2
ბაშურის „	2	2
ცხაკაიას „	2	2
წულუკიძის „	2	2
სულ	70	70

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/XI
№ 1364 დადგენილების დანართი № 7

დედათა და ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა სოფლად

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	1	1
აჭარის ასსრ	5	5
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	3	3
ახალციხის რაიონი	1	1
ამბროლაურის „	1	1
ადიგენის „	1	1
ასპინძის „	1	1
ბაშქირეთის „	1	1
ბოგდანოვკის „	1	1
ბორჩალოს „	4	4
ბოლნისის „	1	1
ვანის „	1	1
გეგეჭკორის „	2	2
გორის „	5	5
გურჯაანის „	1	1
ზ/სვანეთის „	2	2
ყახეთის „	1	1
ყარაიის „	1	1
ქარელის „	2	2
ქასპის „	2	2
ყვარლის „	1	1
ლაგოდეხის „	2	2
ლამჩხუთის „	1	1
ქ/სვანეთის „	1	1
ქუთაისის „	1	1
მახარაძის „	2	2
მაიაკოვსკის „	1	1
ორჯონიკიძის „	1	1
სარჩერის „	1	1
მცხეთის „	2	2
საგარეჯოს „	1	1
თბილისის „	4	4
თიანეთის „	1	1
თეთრიწყაროს „	2	2
ხობის „	1	1
წალენჯიხის „	1	1
წალკის „	2	2
ჭიათურის „	1	1
ჩხატურის „	1	1
ცაგერის „	1	1
წითელწყაროს „	1	1
ჩხარის „	1	1
ჩხოროწყუს „	1	1
წყალტუბოს „	1	1
ს უ ლ	69	69

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **რატიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 29/XI
№ 1364 დადგენილების დანართი № 6

ჩვილ ბავშვთა სახლების რაოდენობა ქალაქად და სოფლად

	1944 წ.	1945 წ.
აფხაზეთის ასსრ	48	58
აჭარის ასსრ	30	40
სამხრეთ-ოსეთის აფტ. ოლქი	30	30
ქ. თბილისი	220	320
ქ. ქუთაისი	140	140
ქ. ფოთი	30	30
გურჯაანის რაიონი	—	50
ცხაკაიას „	32	32
ს უ ლ	530	700

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო ბაღების ბავშვთა კონტინგენტი 1945 წლისათვის

	ბავშვთა კონტინგენტი 1945 წ.	აქედან	
		ბავშვთა რაოდენობა დღე-ღამის ჯგუფებში	ბავშვთა რაოდენობა საღამოს ჯგუფებში
აფხაზეთის ასსრ	1.930	300	1630
აჭარის ასსრ	1.900	300	1600
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	410	100	310
ქ. თბილისი	8.400	850	7550
ქ. ქუთაისი	1.150	200	900
ქ. ფოთი	415	100	315
ქ. ჭიათურა	300	50	250
აბაშის რაიონი	100	—	—
ადიგენის „	30	—	—
ამბროლაურის „	75	—	—
ასპინძის „	25	—	—
ახალქალაქის „	100	—	100
ახალციხის „	380	—	125
ბაღდათის „	60	—	—
ბოდბისხევის „	50	—	—
ბორჯომის „	370	50	320
ბორჩალოს „	100	—	—
ბოლნისის „	100	—	—
ვანის „	60	—	—
გეგეჭკორის „	220	—	—
გორის „	250	—	250
დუშეთის „	75	—	—
ზესტაფონის „	200	—	100
ზუგდიდის „	300	—	200
ყარაიის „	50	—	—
ქარელის „	60	—	—
ქასპის „	250	—	—
ყვარლის „	130	—	—
ქ/სვანეთის „	200	—	—
ლენტეხის „	200	—	—
ქუთაისის „	50	—	—
ლაგოდეხის „	130	—	—
ლანჩხუთის „	150	—	—
მახარაძის „	200	50	150
მაიაკოვსკის „	125	—	—

		აქედან	
	ბაღების კონტინგენტი 1945 წლის	ბაღების რაოდენობა დღედღეობით ჯგუფებში	ბაღების რაოდენობა სეზონის ჯგუფებში
მცხეთის	რაიონი	125	—	—
ონის	„	125	—	—
ორჯონიკიძის	„	65	—	—
საგარეჯოს	„	60	—	—
სამტრედიის	„	300	—	—
საჩხერის	„	170	—	—
სიღნაღის	„	320	—	—
თბილისის	„	320	—	—
თელავის	„	300	—	—
თეთრიწყაროს	„	185	—	—
თიანეთის	„	95	—	—
ტყიბულის	„	50	—	—
ხაშურის	„	210	—	—
ზოგბის	„	110	—	—
ცაგერის	„	90	—	—
გურჯაანის	„	60	—	—
ზესვანეთის	„	30	—	—
ყაზბეგის	„	30	—	—
წალკის	„	30	—	—
წალენჯიხის	„	30	—	—
წითელწყაროს	„	60	—	—
წყალტუბოს	„	60	—	—
ქობულეთის	„	300	—	—
წულუკიძის	„	120	—	—
ჩოხატაურის	„	120	—	—
ჩხოროწყუს	„	30	—	—
ჩხარის	„	60	—	—
	სულ	22.000	2.000	14.000

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

რესპუბლიკური დაქვემდებარების სახალხო კომისარიატების და უწყებების საბავშვო ბაღების ბავშვთა კონტინგენტი 1945 წ.

სახალხო კომისარიატებისა და უწყებების დასახელება	ბავშვთა კონტინგენტი 1945 წლისათვის	აქედან	
		ბავშვთა დღე-ღამის ჯგუფებში	ბავშვთა რაოდენობა საბავშვო ჯგუფებში
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	540	100	200
საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	1100	400	700
სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	110	50	60
ადგილ. მრეწველობის სახალხო კომისარიატი	300	100	200
ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატი	50	—	50
სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი	50	—	50
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2380	350	950
კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი	180	50	130
მიწსახკომი	345	70	105
ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატი	90	30	—
საკურორტო სამმართველო	55	—	55
	5200	1000	2500
ამას გარდა საქართველოს სსრ არეწვარ კოოპერატიულ ურთიერთდამხმარე სალარო	995	—	—

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/XI
№ 1364 დადგენილების დანართი № 11

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლების კონტინგენტი 1945 წლისათვის

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების დასახელება	1944 წ.	1945 წ.
1. აჭარის ასსრ	100	100
2. აფხაზეთის ასსრ	210	240
3. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	210	215
4. ქალ თბილისი	300	300
5. „ ქუთაისი	80	100
6. თბილისის რაიონი	1230	1265
7. კლუხორის „	800	775
8. თეთრიწყაროს „	90	90
9. ხაშურის „	130	130
10. თელავის „	180	230
11. ბორჯომის „	70	60
12. ახალციხის „	65	65
13. ადიგენის „	95	100
14. გურჯაანის „	70	80
15. სიღნაღის „	75	75
16. საჩხერის „	70	75
17. სამტრედიის „	110	120
18. ონის „	50	50
19. მახარაძის „	145	150
20. ზუგდიდის „	70	130
21. გორის „	50	50
ს უ ლ	4.200	4.400

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/XI
№ 1364 დადგენილების დანართი № 12

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო ბაღების ახალი მშენებლობის გეგმა 1945 წლისათვის

მშენებლობის ადგილმდებარეობა	დაბანდებათა რაოდენობა	ბავშვთა რაოდენობა
თბილისი	200.000	100
ბათუმი (აჭარის ასსრ)	200.000	100
გორი	200.000	100
ს უ ლ	600.000	300

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო და საშობაიარო დაწესებულებათათვის საჭირო ავეჯისა და ჭურჭლის სია

ავეჯი და ჭურჭლეული	საზომი ერთეული	ჯანსახკომის საბ. კომისარ.		განათლ. საბ. კომისარიატი		ჯ/ნ ს
		საბავშვო ბაღები	შობაიარო სახლები	საბავშვო ბაღები	საბავშვო სახლები	
ტაბურეტი	ცალი	300	200	1200	300	2000
სკამი	„	1000	300	3500	200	5000
მაგიდა	„	450	—	1000	150	1600
საწოლი დიდების	„	—	250	—	200	450
„ ბავშვის	„	200	100	700	—	1000
ლამის ქოთანი	„	200	300	—	—	500
მოჭიქული ჯამი	„	3500	500	5000	3000	12000
მოჭიქული ჯაჭა	„	2200	300	4500	1000	8000
დანა	„	240	360	—	—	600
ჩანგალი	„	2150	350	—	—	2500
სარეცხი გობი	„	250	50	—	—	300
ქვაბი დიდი	„	80	40	—	30	150
„ პატარა	„	70	—	600	30	700
კოვზი ჩაის	„	2200	350	—	—	2550
კოვზი სუფრის	„	2150	350	—	—	2500
ვედრო	„	230	70	4400	—	4700
საწოლის მაგიდა	„	—	330	—	—	330
საწოლთან მისადგმელი სკამი	„	—	320	—	—	320
ბავშვის შესახვევი მაგიდა	„	—	60	—	—	60
ლამპის შუშა	„	—	—	—	1000	1000
ქარადა	„	—	40	—	—	40
ტახტი	„	—	—	4500	—	4500
წყლის ბაკი	„	—	—	500	—	500

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **რუსტიაშვილი.**

რესპუბლიკური დაქვემდებარების სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საბავშვო ბაღებისათვის შალეული, ბამბეული ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის განაწილება 1945 წლისათვის (მანეთობით)

კომისარიატების დასახელება	შალეული ქსოვილი	ტრიკოტაჟის ნაწარმი	ბამბის ქსოვილი
განსახკომი	18.000	18.000	16.000
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი . . .	350	350	350
საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი . .	710	710	710
ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	190	190	190
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი	1.530	1.530	1.530
მიწსახკომი	220	220	220
ს უ ლ	21.000	21.000	19.000

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ჩვილ ბავშვთა სახლებში, დღელამის ხანგრძლივობის ბაგებში, დღის ბაგებში, საბავშვო სახლებში, სარძევე სამზარეულოებში, ბავშვთა კვების სადგურებსა და სამშობიარო სახლებში ქალების კვების პროდუქტებით მომარაგების ნორმები

პროდუქტების დასახელება	საზ. ერთეული	ჩვილ ბავშ. სახლ. და დღელამის ხანგრძლ. ბაგებში	დღის ბაგები	სარძევე სამზარეულოები	ბავშვთა კვების სადგურები	სამშობიარო სახლები	საბავშვო ბაღები: დღელამის ხანგრძლივობის	საბავშვო ბაღები: 10 საათის ხანგრძლივობის
ხორცისა და თევზის პროდუქტები	გრამი	1200	750	—	500	2500	1500	1200
ცხიმი	„	600	500	60	150	1100	500	500
ბურღული და მაკარონი	„	1200	1000	750	500	2250	1200	1200
შაქარი	„	900	900	600	150	300	150	150
რძე	ლიტ.	12	10	9	6	15	10	6
ალაყანი	გრამი	300	150	—	150	1000	500	500
ბაჟო	„	600	300	—	300	300	600	300
ყველი	„	150	150	—	—	—	150	150
კვერცხი	ცალი	10	8	—	—	30	15	10
ბოსტნეული და კარტოფილი	კგ	7,5	7	—	6	15	7,8	7,5
მარილი	გრამი	300	300	—	300	900	400	400
ფავა	„	60	60	—	60	60	60	60
ბაი	„	15	15	—	15	30	15	15
პური (დღელამეში)	„	300	250	—	—	500	300	300
პურისა და კარტოფილის ფქვილი	„	300	300	150	150	300	300	300
სარეცხი საპონი	„	400	200	—	—	400	400	200

საქართველოს სსრ სახალხო კომისარის
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1365

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სოხუმის დრამატიული თეატრის მშენებლობისა და სოხუმის სამშენებლო კანტორის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგან საქართველოს სსრ შინსახკომის სააეროდრომო მშენებლობის სამმართველომ შესწყვიტა სოხუმის დრამატიული თეატრის მშენებლობა, დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს ორი კვირის განმავლობაში გაუსწოროს შინსახკომის სააეროდრომო მშენებლობის სამმართველოს ყოველგვარი ანგარიში და თავის უშუალო გამგებლობაში გადაიტანოს აღნიშნული თეატრის მშენებლობა.

2. სოხუმის დრამატიული თეატრის მშენებლობისა და ქალაქ სოხუმში სხვა კაპიტალურ სამუშაოთა განსახორციელებლად ნება დაერთოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს მოაწყოს სოხუმის საქალაქო საბჭოსთან სამშენებლო კანტორა „სოხუმმშენი".

3. სოხუმის სამშენებლო კანტორის „სოხუმმშენის" სამუშაოთა მოცულობა 1945 წლისათვის განისაზღვროს 7 მილიონი მანეთის რაოდენობით და დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომსა და აფხაზეთის ასსრ ფინსახკომს მისცენ სოხუმის სამშენებლო კანტორას „სოხუმმშენს" მიმდინარე წლის IV კვარტალში საბრუნავი სახსრები 800 ათას მანეთამდე.

4. სოხუმის სამშენებლო კანტორის „სოხუმმშენის" საშტატო ნუსხა გაეგზავნოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საშტატო კომისიას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1367

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმოების კარტოფილის ფქვილის 1944 წლის IV კვარტალისათვის განაწილების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმოების კარტოფილის ფქვილის განაწილება 1944 წლის IV კვარტალისათვის 75 ტონის რაოდენობით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწილება

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმოების კარტოფილის ფქვილისა 1944 წლის IV კვარტალისათვის

(ტონობით)

სულ	75,0
აქედან:	
ა) საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატს საცალო ქსელში რეალიზაციისა და საჭიროებისათვის	35,0
ბ) საქ. სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს	15,0
გ) საქ. სსრ ხორცრძემრეწველობის სახ. კომისარიატს კისელის დასამზადებლად	2,0
დ) საქ. სსრ განსახკომის საბავშვო სახლებს	2,0
ე) ა/კ-ის რკინიგზის სამმართველოს (ტექნიკ.)	1,0
ვ) სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში (ტექნიკ.)	1,0
ზ) საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს (ტექნიკ.)	0,5
თ) სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირს ბადაგის- დასამზადებლად	2,0
ი) საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატს	15,0
კ) საქმომარაგების ტრესტს სარეალიზაციოდ საქ. სსრ სახკომსაბჭოს მითითებით (ტექნიკ.)	1,5

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

დადგენილება № 1368

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

(სსრ კავშირის სახკომსაბჭოს განკარგულება)

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ჩატარდეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა ქ. თბილისში 1944 წლის 10 დეკემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს (ამხ. ეგაძეს):

ა) მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ-ში საბჭოთა მუსიკის დეკადის მონაწილეთა მომზადება;

ბ) ნება დაერთოს მოიწვიოს დეკადაზე მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უაღრესად გამოჩენილი კომპოზიტორები და ხელოვნების მოღვაწენი;

გ) 1944 წლის 1 დეკემბრამდე მოამზადოს ქართულ და რუსულ ენებზე გამოსაცემად მონოგრაფიები საქართველოს წამყვან კომპოზიტორთა შესახებ. სახელგამის დირექტორმა (ამხ. კიკნაძემ) უზრუნველჰყოს მათი გამოცემა 1944 წლის 15 დეკემბრისათვის—თვითეული 1,5 ათასი ცალის ტირაჟით.

3. დეკადის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს (ამხ. ციმაკურიძეს) მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 530 ათასი მანეთი.

4. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ამხ. ანა-

ნიევს) უზრუნველჰყოს საბჭოთა მუსიკის დეკადის მონაწილე 450 კაცის განაწილება სასტუმროებში 1944 წლის 8 დეკემბრიდან სასტუმრო „თბილისში“ გამოჰყოს 30 ცალკე ნომერი და 50 საწოლი საერთო საცხოვრებელში, სასტუმრო „ინტურისტში“ მოათავსოს 50 კაცი, „სტადიონ დინამოში“—60 კაცი, თბილისის წითელი არმიის სახლში—50 კაცი და ოქროყანის აგარაკებზე—100 კაცი.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. გიორგაძემ) უზრუნველჰყოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მონაწილეთა და მოწვეულ სტუმართა სამჯერადი კვება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ წარდგენილი სიით, სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წერილის საფუძველზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. რობაჩიძეს) და სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს (ამხ. აბაიშვილს) მიმდინარე წლის 8 დეკემბრისათვის უზრუნველჰყონ კოსტიუმების შეკერვა მუსიკალური დეკადის მონაწილეთათვის: მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით შეკერილ იქნას 40 და სარეწაო კავშირის ხაზით—80 კოსტიუმი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს (ამხ. ალავიძეს) გამოჰყოს საჭირო რაოდენობის მასალები სპეცტანსაცმლის შესაკერად თეატრების მომსახურე ტექპერსონალისათვის: სახანძრო დაცვის 50 მებრძოლისა და 50 კატელდინერისათვის.

8. საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისრის მოადგილემ (ამხ. ჭოხონელიძემ) გამოჰყოს 3 ავტობუსი და მიამაგროს ისინი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუსიკალური დეკადის ჩატარების დროისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს ავტოინსპექციის უფროსს (ამხ. მანსვეტოვს) მოახდინოს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების მსუბუქი ავტომანქანების მობილიზაცია და გადასცეს ისინი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს განკარგულებაში მიმდინარე წლის 8-დან 28 დეკემბრამდე მუსიკალური დეკადის მონაწილეთა მომსახურებისათვის: თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს მანქანა მ—1 გდ № 93—01; თბილსუნივერმაღის მანქანა მ—1 გრ № 00—94; № 1562 ევაკოჰოსპიტლის მანქანა

მ—1 გდ №32—55 და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მანქანა „ვილისი“.

10. წინადადება მიეცეს რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებს მოაწყონ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მიმდინარეობის სისტემატური გაშუქება გაზეთების ფურცლებზე.

11. დაევალოს საქრადიოკომიტეტის თავმჯდომარეს (ამხ. ესაკიას) მოაწყოს მუსიკალური დეკადის კონცერტების ტრანსლაცია ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან შეთანხმებით.

12. დაევალოს საქკინოსტუდიის დირექტორს (ამხ. მაშავარიანს) გადაიღოს დეკადის მიმდინარეობა „ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის“ ფილმის შესაქმნელად.

13 დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს (ამხ. კიკნაძეს) უზრუნველჰყოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური დეკადის მონაწილეთა და სტუმართა გამგზავრება თბილისიდან.

14. ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მომზადებისა და ჩატარების სახელმძღვანელოდ გამოიყოს პარტიული კომისია, ამხ. ბუჯიაშვილის (მოწვევა), დონაძის, ეგაძის (ხელოვნების საქმეთა სამმართველო), გიორგაძისა (ვაჭრობის სახ. კომისარიატი) და ანანიევის (თბილისის საბჭო) შემადგენლობით.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 30 ნოემბერი.

დადგენილება № 1370

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის 25 ათასი მანეთის მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 25 ათასი მანეთი დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

2. წინადადება მიეცეს საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს გადააბრძანოს აფხაზეთის სატყეო მეურნეობას სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ უმართებულოდ გადაცემული 15 ათასი მანეთი და გამოიყენოს ეს თანხა სამმართველოს დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1372

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობის კაპიტალური რემონტისათვის ხასხრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს 1944 წლის IV კვარტალის ბიუჯეტით საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობის კაპიტალური რემონტისათვის 100 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1373

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ალაზნის სარწყავი სისტემის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ალაზნის სარწყავი სისტემა, წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების არასაკმაო მეთვალყურეობის გამო, მოუვლელია და სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს, საქსოფლელექტროს, სიღნაღის, თელავისა და გურჯაანის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ნაგებობათა ყარაღაჯის კვანძის აღდგენის, ალაზანჰესის ბაკურციხის წყალსაგდების მშენებლობის, ალაზნის სარწყავი სისტემის სათავო ნაგებობისა და თვით სამაგისტრალო არხის გადაუდებელ სამუშაოთა ჩატარებას.

ყარაღაჯის კვანძის მიწის სამუშაოები შესრულებულია 77%-ით, ბეტონისა—41,5%-ით და რკინაბეტონისა—15,1%-ით. ხევის გასამაგრებელი ქვაფიჩხის სამუშაოები არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაოები სრულიად უზრუნველყოფილია სამშენებლო მასალებით. არ არის შესრულებული ალაზანჰესის ბაკურციხის წყალსაგდების ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოები.

სამაგისტრალო არხისა, და ნაგებობათა წალეკვის წინააღმდეგ ჯეროვანი ზომების მიუღებლობის შედეგად, მიმდინარე წლის ზაფხულში 775+60 პიკეტზე წალეკილ და დანგრეულ იქნა აკვედუკი, რის გამოც 2.000-მდე ჰექტარი სარწყავი მიწა სისტემის გარეშე აღმოჩნდა. არხის წალეკილი ნაწილის გამაგრებისათვის წყლის რაიო-

ნის მიერ ზომების მიუღებლობამ გამოიწვია წალეკვის შემდგომი გაძლიერება და შემოსავლელი შტოს მშენებლობისათვის საჭირო მიწის სამუშაოთა მოცულობის გადიდება.

ალაზნის არხის სათავო ნაგებობა, მდინარის მარჯვენა ნაპირის სისტემატური წალეკვის გამო, მდინარით გარემოცვის საფრთხის წინაშეა.

მიმდინარე წელს აშენებული სათავო ნაგებობის დროებით საცავმა ჯებირებმა თუმცა გაამართლა თავისი დანიშნულება, მაგრამ მიმდინარე წლის წყალდიდობის შედეგად რემონტსა და გამაგრებას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ალაზნის სისტემა თავისი ტექნიკური, ბუნებრივი და სამეურნეო პირობების მიხედვით რთულ ობიექტს წარმოადგენს, რაც ყურადღებას მოითხოვს, რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს არ მიუღიათ სათანადო ზომები საკოლმეურნეო წყალსარგებლობისა და სისტემის ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის.

შემოწმებამ დაგვანახა, რომ არც რაიმიწგანი და არც მტს არ უწევს ჯეროვან ყურადღებას მორწყვის საქმეს, რასაც ადასტურებს შიდასაკოლმეურნეო ქსელის უყურადღებო მდგომარეობა და თითქმის მისი სრული არარსებობა კოლმეურნეობათა მეტ ნაწილში და აგრეთვე პასუხისმგებელ პირთა უყოლობა კოლმეურნეობებში მორწყვისა და რაიმე მუშაობის ჩატარებისათვის მიწების დაჭაობიანებასთან საბრძოლველად.

სისტემა სრულიად არ არის უზრუნველყოფილი მექანიზმებითა და სატრანსპორტო საშუალებებით არხის გასაწმენდად საჭირო სამუშაოთა ჩატარებისა და აგრეთვე სახაზო მუშაკთა მომსახურებისათვის. მაგალითად, თუ 1941 წელს სისტემაში 49 ცხენი იყო, ამჟამად დარჩა სულ მხოლოდ 5 ცხენი, ხოლო სატვირთო ავტომანქანები და ტრაქტორები სრულიად არ მოიპოვება.

სატელეფონო ქსელი აღდგენილი ჯერაც არ არის. სისტემის შტატი დაუკომპლექტებელია. არ არის აგრეთვე აღრიცხვის ინჟინერი, უფროსი და საუბნო ჰიდრომეტრები. შტატით არ არის გათვალისწინებული უბნის ჰიდროტექნიკოსები და სისტემის კოლექტორებისა და წყალსაგდები ქსელის შემომვლელები. ყოველ მერუეს 700—800 ჰექტარი ნორმის ნაცვლად, აქვს 1300 ჰექტარამდე დატვირთვა.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ანხორციელებენ წყლის მუშაკები კოლმეურნეობათა მიერ სარწყავი წყლის გამოყენების კონტროლს და არ ეწევა კოლმეურნეობებს დახმარება მორწყვის საქმეში.

ჰიდრომეტრიული ქსელის დაუკვირვებლობის გამო, არ ხდება წყლის მიწოდების ნორმირება.

წყალსარგებლობისა და სისტემის ექსპლოატაციისათვის საჭირო კადრების მომზადებას რაიმიწგანი, მტს და წყლის რაიონი სრულიად არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 2 მარტის დადგენილება მერაბების, მერუეებისა და მომრწყავების მომზადების ნაწილში სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების მიერ შესრულებული არ არის.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამო, ძლიერდება მიწების დაჭაობიანება და მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს: სიღნაღისას (ამხ. მაზიაშვილსა და ალავერდაშვილს), გურჯაანისას (ამხ გელდიაშვილსა და ფიქრიშვილს) და თელავისას (ამხ. უთიაშვილსა და სეხნიაშვილს) უზრუნველჰყონ ალაზნის სარწყავ სისტემაში წარმოებული სამუშაოები (ნაგებობათა ყარაღაჯის კვანძის აღდგენა, ბაკურციხის წყალსაგდების მშენებლობის დამთავრება. სათავო ნაგებობის რემონტი, წყალსაკრებ-ხაკოლექტორო და ამოსაშრობი ქსელის გაწმენდა, შემოსავლელი შტოს გათხრა მაგისტრალური არხის 775+60 პიკეტზე და სხვ.) მუშახელითა და ტრანსპორტით, დანართის თანახმად. დაევალოს წითელწყაროს რაიონს შეასრულოს მიწის საჭირო სამუშაოები თავისი რაიონის ტერიტორიის არხზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს, სიღნაღის, გურჯაანის, წითელწყაროსა და თელავის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს დაამთავრონ ყველა სამუშაო ალაზნის სარწყავი სისტემის ნაგებობათა აღდგენისა და რემონტისათვის არაუგვიანეს 1945 წლის 1 იანვრისა. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარი ამხ. ზამბახიძე გაემგზავროს და პირადად უხელმძღვანელოს ალაზნის სარწყავ სისტემაში წარმოებულ სამუშაოებს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს:

ა) დააჩქაროს ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის

დასაპროექტებელი სამუშაოები და დაამთავროს პროექტის შედგენა 1945 წლის 1 მაისისათვის;

ბ) ერთი თვის განმავლობაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს კაპიტალური ნაპირსამაგრ სამუშაოთა პროექტი ალაზნის არხის სათავო ნაგებობის დასაცავად;

გ) დაამუშაოს 37-ე განმანაწილებლის ფერდობებიდან ჩამოტანილი ნარიყისაგან დაცვის პროექტი და სიღნაღისა და წითელწყაროს რაიორგანიზაციებთან ერთად ჩაატაროს საჭირო სამუშაოები განმანაწილებლის დასაცავად;

დ) 1945 წლის სარწყავი სეზონისათვის ჩაატაროს სათავო ნაგებობისა და სამაგისტრალო არხის წყალმიმღების გაწმენდა ნარიყისაგან ერთი კილომეტრის მანძილზე მექანიზებული საშუალებით, რისთვისაც საქართველოს სსრ მიწსახკომმა გამოჰყოს ახმეტისა და თელავის მტს-ებიდან ჩტზ მარკის 2 ტრაქტორი და 2 ტრაქტორისტი;

ე) უზრუნველჰყოს შემოსავლელი შტოს გაყვანა და დიუკერის აგება სამაგისტრალო არხის 775+60 პიკეტზე და ეს მუშაობა დაამთაროს არაუგვიანეს 1945 წლის 15 იანვრისა;

ვ) მიწსახკომთან ერთად მიამაგროს საკოლმეურნეობათაშორისო, საკოლექტორო, წყალსაკრები, ამომშრობი, წყალსაგდები და სარწყავი ქსელი განსაზღვრულ კოლმეურნეობებს იმ ანგარიშით, რომ ისინი პასუხს აგებდნენ მათზე მიმაგრებული მთელი ქსელის დასაცავ სამუშაოთა თავის დროზე ჩატარებისათვის;

ზ) მოაწყოს რაიმიწგანისა და მტს-ის სისტემატური დახმარება საკოლმეურნეო წყალსარგებლობის საქმეში და გადაჰრით გაუმჯობესოს კოლმეურნეობათა მიერ სარწყავი ქსელის გამოყენების კონტროლი;

თ) მოამარაგოს არხის სათავო ნაგებობა გალის სათადარიგო ჯაჭვით და გასაწმენდი რაბის ცილინდრული საკეტის რგოლებით;

ი) 1945 წლის სარწყავი სეზონიდან მოაწყოს ჰიდრომეტრიული ქსელის შეუფერხებელი და სწორი მუშაობა;

კ) 1945 წელს წყლის რაიონთან მოაწყოს სამელიორაციო დარგის საწარმოო უჯრედი და აღადგინოს ნიადაგის წყალთა მეთვალყურეობა, უზრუნველჰყოს საკოლექტორო-წყალსაკრები და ამოსაშრობი ქსელის მდგომარეობისა და მუშაობის, აგრეთვე დაჭაობებული ნაკვეთების მდგომარეობის სისტემატური მეთვალყურეობა, რისთვისაც გაითვალისწინოს საჭირო სახსრები;

ლ) სრულად დააკომპლექტოს წყლის რაიონის შტატი ტექნიკური პერსონალით;

მ) გაითვალისწინოს 1945 წლისათვის ალაზნის წყლის რაიონის შტატის გადიდება საუბნო ჰიდროტექნიკოსებისა და სახაზო მუშაკების ხარჯზე;

ნ) ჩაატაროს 1945 წელს სისტემის დაჭაობებული და დამლაშებული მიწების პასპორტიზაცია.

4. ქალ. თელავის მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით წინადადება მიეცეს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ზამბახიძეს) და საქსოფლელექტროს (ამხ. თევსიანს) გაითვალისწინოს არხის სათავო ნაგებობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება და ამწევი მექანიზმების ელექტროფიკაცია.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ (ამხ. ალავიძემ) გაითვალისწინოს გეგმის პროექტში 30 ტონა ცემენტის, 10 წყვილი რეზინის ჩექმისა და 50 ცალი ქათიბისა და 50 ცალი შარვლის გამოყოფა წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს:

ა) გაითვალისწინოს 1945 წლის გეგმაში საკოლმეურნეო წყალსარგებლობის ხელმძღვანელობისათვის საჭირო სახსრები;

ბ) მიმდინარე წლის დეკემბრის განმავლობაში სისტემის ფარგლებში არსებულ ყველა კოლმეურნეობაში უზრუნველჰყოს საკოლმეურნეო წყალსარგებლობისათვის პასუხისმგებელ პირთა და მუდმივ მომრწყავთა გამოყოფა.

7. დაევალოს მიწსახკომს და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს 1944—1945 წლების ზამთრის პერიოდში ჩაატარონ ალაზნის სისტემის მორწყვასთან დაკავშირებულ ყველა კატეგორიის მუშათა ინსტრუქტაჟი, მომზადება და გადამზადება.

8. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გამოუყოს 1944 წლის IV კვარტალში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს ალაზნის სარწყავი სისტემისათვის: 100 ტონა არმატურის რკინა, 800 ტონა ცემენტი, 200 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე, 200 კუბ. მეტრი მორი, 2 სატვირთო ავტომანქანა და ჩტზ მარკის 2 ტრაქტორი.

9. ეთხოვოს სსრ კავშირის მიწსახკომს:

ა) ნება დართოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს მოაწყოს ალაზნის საცდელი სამელიორაციო სადგური;

ბ) გამოუყოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს 30 ცხენი ალაზნის წყლის რაიონისათვის.

10. დაევალოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს შეიტანოს ინსტიტუტის 1945 წლის თემატიკურ გეგმაში ალაზნის სისტემის მიწების დაჭაობიანების მიზეზთა შესწავლა.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 30 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ(ბ)პ
ც. კ-ის 1944 წლის 30/XI № 1373 დადგ.
განილების დანართი

რაიონების მიერ დასამზადებელი და სამუშაოთა ადგილას მისაზიდი ადგილობრივი სამშენებლო მასალების რაოდენობა და ალაზნის სარწყავ სისტემაში შესასრულებელ ძირითად სამუშაოთა მოცულობა

რაიონების დასახელება	ადგილობრივი სამშენებლო მასალების დამზადება და მიზიდვა			სამუშაოთა სახე და მოცულობა				ყოველდღიურად საჭირო მუშახელისა და ურმების რაოდენობა		მუშაობის აღგილი	ყველა სამუშაოს დამთავრების ვადა
	ფიჩხი კბმ	სარი ცალი	ქვა კბმ	მიწის სამუშაოები კუბ. მეტრობით	ბეტონის სამუშაოები კუბ. მეტრობით	რკინა-ბეტონი კუბ. მეტრობით	ქვა-ფიჩხი კუბ. მეტრობით	მუშახელი	ურემი		
1. თელავის რაიონი	350	2500	250	—	—	—	500	20	30	სათავო ნაგებობა	1945 წ. 1 იანვარი
2. სიღნაღის „	165	1150	30	34.000	210	26,1	250	700	30	ნაგებობა წნორი, ყარაღაჯი 775 პკ და საკოლექტორო ჰსელი	„
3. გურჯაანის „	—	—	—	32.700	—	—	—	470	30	ნაგებობა ბაკურციხე და საკოლექტორო ჰსელი	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1374

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

კალიფორნიის ფარიანასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ მიწსახკომმა და რაიაღმასკომებმა შეასუსტეს ბრძოლა კალიფორნიის ფარიანასთან. იმის გამო, რომ არ აწარმოებდნენ გეგმაშეზომილ სისტემატურ ბრძოლას და არ ღებულობდნენ საკარანტინო ღონისძიებებს, კალიფორნიის ფარიანით დასნებოვნებული ხეხილის ბაღების ფართობი გაიზარდა.

შექმნილია კალიფორნიის ფარიანის ყველგან გავრცელებისა და ამასთან დაკავშირებით ხეხილის ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვის საფრთხე.

კალიფორნიის ფარიანით ბაღების დასნებოვნების ლიკვიდაციისა და მისი შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ჩაატარონ 1944-1945 წლების შემოდგომა-ზამთარ-ზაფხულის პერიოდში სავალდებულო წესით კალიფორნიის ფარიანის საწინააღმდეგო ბრძოლა ყველა დასნებოვნებულ ხეხილის ნარგავსა და სანერგეში 5.135 ჰექტარ ფართობზე როგორც კოლმეურნეობებში, ისე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებში.

დამტკიცდეს 1944-1945 წლებში კალიფორნიის ფარიანის წინააღმდეგ დასამუშავებელი ფართობების განაწილება რაიონების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, გორის, ქარელის, მახარაძის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, აბაშის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ხობის, ფოთის, ქუთაისის, წულუკიძის, ჭიათურის, წყალტუბოს, ჩოხატაურისა და თბილისის რაიონების აღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს, აგრეთვე დარექტორებს: სამტრესტისას—ამხ. ახარაშვილს, კონსერვხილტრესტისას—ამხ. წიკლაურს და ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისას—ამხ. იაკობაშვილს:

ა) 10 დღის განმავლობაში დაიყვანონ ყოველ კოლმეურნეობამდე, საბჭოთა მეურნეობამდე და ცალკეულ მეურნეობებამდე კალიფორნიის ფარიანით დასნებოვნებული ფართობების დამუშავების გეგმა;

ბ) შემოდგომაზე, ფოთლების მასობრივი დაცვენის შემდეგ, ჩაატარონ გამხმარი ტოტების გაცლა, შტამბებისა და ძირითადი ტოტების გაწმენდა გამხმარი კანისა, ხავსისა და მღიერისაგან შემდგომი დაწვით. ამასთან ერთად ჩაატარონ კრონის გამეჩხერება და გასხვლა;

გ) ძლიერ დასნებოვნებული ხეების გამოვლინებისას ჩაატარონ მათი გაახალგაზრდავება და აუცილებლივ შუიტანონ ნაკელის სრული ნორმა. ძლიერ დასნებოვნებული ხეები ხმობის ნიშნებით ამოძირკვონ და დასწვან ადგილობრივ რაიმიწგანის გამგის თავმჯდომარეობითა და საკარანტინო ინსპექტორის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან მებრძოლი სპეციალისტის, მეხილე-აგრონომის, ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და მებაღე-ბრიგადირის შემადგენლობით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით;

დ) შემოდგომაზე, ფოთლების მასობრივი დაცემის შემდეგ, და ზამთარში, კვირტების გაღივებამდე, ჩაატარონ თესლოვანი კულტურების ჯერ რკინის აჯასპის ხსნარით შესხურება და შემდეგ კი ზეთოვანი ემულსიით ორჯერადი შესხურება—გაბანვა, ხოლო კურკოვანი კულტურების ზეთოვანი ემულსიებით შესხურება აწარმოონ ზამთარში, იანვრიდან—კვირტების გაღივებამდე;

ე) მავნებელთაგან მასობრივი დაცვის პერიოდში (ივნის-აგვისტო) ჩაატარონ გოგირდ-კირის ნახარშის ორჯერადი შესხურება არასენატ-კალციუმის კომბინაციით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საკარანტინო ინსპექციას შეამოწმოს მეურნეობებში კალიფორნიის ფარიანის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებათა ეფექტიანობა და დაბალი ეფექტიანობის შემთხვევაში, უზრუნველჰყოს განმეორებული მკურნალობის ჩატარება მეურნეობათა მიერ.

4. დაევალოს საქსოფლმეურნმომარაგებას (ამხ. იგითხანოვს) შეზიდოს რაიონებში რკინის აჯახები, ზეთოვანი ემულსიები და გოგირდ-კირის ნახარში იმ რაოდენობითა და ვადებში, რაც გათვალისწინებულია №2 დანართით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს 10 დეკემბრამდე შეზიდოს კალიფორნიის ფარიანით დასნებოვნებულ რაიონებში 300 ცალი ავტომაქსი.

6. დაევალოს საქსარეწტყეკავშირს (ამხ. ჯებაშვილს) მიმდინარე წლის დეკემბრის დამლევამდე დაამზადოს და ჩააბაროს საქსოფლმეურნმომარაგებას 300 ცალი ხის კასრი, ხოლო საქსოფლმეურნმომარაგებამ უზრუნველჰყოს საჭირო რაოდენობის საგვერგვე რკინის მიცემა ამ მიზნით საქსარეწტყეკავშირისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომსა და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს ჩაატარონ 1944-1945 წლების ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ხეხილის ნარგავთა გამოკვლევა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე დასნებოვნებულ ფართობთა დასაზუსტებლად.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს კალიფორნიის ფარიანის გამოკვლევის სამუშაოთა ჩასატარებლად მოახდინოს სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე საჭირო რაოდენობის სპეციალისტ-ენტომოლოგთა მობილიზაცია.

9. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს კალიფორნიის ფარიანის გამოკვლევის ჩატარების ხარჯები გასწიოს მევენახეობის აგროლონისძიებათათვის განკუთვნილი სამპროცენტიანი ანარიცხების ხარჯზე.

კალიფორნიის ფარიანის გამოკვლევა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტისა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქკონსერვხილტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ჩაატაროს ამავე ორგანიზაციების სახსრებითა და ძალებით.

10. საქართველოს სსრ მიწსახკომმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად, მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე შეადგინოს და ჩააბაროს სახელგამს კალიფორნიის ფარიანასთან ბრძოლის ინსტრუქცია.

დაევალოს სახელგამს (ამხ. კიკნაძეს) მიმდინარე წლის დეკემბრის დამლევამდე გამოსცეს ზემოაღნიშნული ინსტრუქცია.

11. კალიფორნიის ფარიანის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს:

ა) გააძლიეროს საკარანტინო ინსპექციის ხელმძღვანელობა და განამტკიცოს მისი შემადგენლობა უფრო უნარიანი და კვალიფიციური მუშაკებით;

ბ) ნება დაერთოს გამოზიდონ სარგავი და სამყენი მასალა მხოლოდ სავალდებულო ფუმიგაციის შემდეგ და საკარანტინო ინსპექციის სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში;

გ) კატეგორიულად აკრძალოს თესლოვანი კულტურების ნაყოფთა (ვაშლის, მსხლის, კომშისა და სხვ.) გამოზიდვა დასნებოვნებულ რაიონებიდან 1 ივლისიდან 1 დეკემბრამდე, ფუმიგაციისა და საკარანტინო სერტიფიკატების გარეშე;

სასტიკი კონტროლი გაუწიოს იმას, რომ ყველა მეურნეობამ, ორგანიზაციამ და ცალკეულმა პირმა ხილისა და სარგავ-სამყენი მასალის გამოზიდვისას დაიცვას საკარანტინო წესები. საკარანტინო წესების დარღვევაში დამნაშავე პირნი მისცეს სასტიკ პასუხისგებაში, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 20 ნოემბრის დადგენილებისა „სოფლის მეურნეობისა და ტყის მავნებელთა შემოტანისა და გავრცელებისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვის შესახებ“.

12. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფროსს მისცეს მითითებანი მილიციის ყველა ადგილობრივ ორგანოს დახმარება აღმოუჩინოს საკარანტინო ინსპექტორებს დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების დროს.

13. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს კალიფორნიის ფარიანასთან ბრძოლის ჩასატარებლად გამოუყოს საქართველოს სსრ მიწსახკომს 1944 წლის IV კვარტალში 400 ტონა სოლარზეთი, 100 ტონა საპონ-პასტა და 30 ტონა არსენატ-კალციუმი.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 30 ნოემბერი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 30/XI № 1374 დად-
გენილების დანართი № 1

ფართობი ბაღების დასნებოვნებისა კალიფორნიის ფარიანით საქართველოს სსრ-ში

(ჰექტარობით)

რაიონების დასახელება	კალიფორნიის ფარიანის დამუშავების ფართობი
1. აფხაზეთის ასსრ	2000
2. აჭარის ასსრ	300
3. გორის რაიონი	1000
4. ქარელის „	150
5. თბილისის „	5
6. მახარაძის „	150
7. ლანჩხუთის „	400
8. სამტრედიის „	200
9. ზუგდიდის „	200
10. ჩხოროწყუს „	15
11. ზეგეშკორის „	35
12. ამაშის „	30
13. წალენჯიხის „	25
14. ცხაკაიას „	150
15. ხობის „	20
16. ფოთის „	20
17. ქუთაისის „	150
18. წულუკიძის „	200
19. ჭიათურის „	20
20. წყალტუბოს „	60
21. ჩოხატაურის „	5
სულ	5135

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 30|XI № 1374 დადგენილების დანართი № 2

საჭირო რაოდენობის საწამლავები კალიფორნიის ფარიანასთან საბრძოლველად

	საჭიროა ტონობით						შემოზიდვის ვადები		
	ზეთოვანი ემულსიის კონცენტრატი	გოგირდ-კირის ნახარში	არსენატ-კალციუმი	რჩენის აკვასპი	ზეთოვანი ემულსიის კონცენტრატი		გოგირდ-კირის ნახარში 1945 წლის 15 იანვრისათვის	რჩენის აკვასპის 1944 წ. 15 დეკემბრისათვის	არსენატ-კალციუმი 1945 წლის 15 იანვრისათვის
					1944 წ. 15 დეკემბრისათვის	1945 წ. 1-ლი იანვრისათვის			
1 აღმოსავლეთის ასსრ	200	60	8	40	100	100	60	40	8
2. აჭარის ასსრ	30	9	1,2	6	15	15	9	6	1,2
3. გორის რ-ნი	100	30	4	20	50	50	30	20	4
4. ქარელის „	15	4,5	0,6	3	7,5	7,5	4,5	3	0,6
5. თბილისის „	0,5	0,15	0,02	0,1	0,5	—	0,15	0,1	0,02
6. მახარაძის „	15	4,5	0,6	3	7,5	7,5	4,5	3	0,6
7. ლანჩხუთის „	40	12	1,2	8	20	20	12	8	1,2
8. სამტრედიის „	20	6	0,8	4	10	10	6	4	0,8
9. ზუგდიდის „	20	8	0,8	4	10	10	6	4	0,8
10. ჩხოროწყუს „	1,5	0,45	0,06	0,3	1,5	—	0,45	0,3	0,06
11. გეგეჭკორის „	3,5	1,0	0,14	0,7	3,5	—	1,0	0,7	0,14
12. აბაშის „	3	0,9	0,12	0,6	3,0	—	0,9	0,6	0,12
13. წალენჯიხის „	2,5	0,8	0,1	0,5	2,5	—	0,8	0,5	0,1
14. ცხაკაიას „	15	0,45	0,6	3	7,5	7,5	0,45	3	0,6
15. ხობის „	2	0,6	0,08	0,4	2	—	0,6	0,4	0,08
16. ფოთის „	2	0,6	0,08	0,4	2	—	0,6	0,4	0,08
17. ქუთაისის „	15	4,5	0,6	3	7,5	7,5	4,5	3	0,6
18. წულუკიძის „	20	6	0,8	4	10	10	6	4	0,8
19. ჭიათურის „	2	0,6	0,08	0,4	2	—	0,6	0,4	0,08
20. წყალტუბოს „	6	2,4	0,24	1,2	6	—	2,4	1,2	0,24
21. ჩოხატაურის „	0,5	0,2	0,02	0,1	0,5	—	0,2	0,1	0,02
სულ	513,5	150,6	20,2	102,7	268,5	245,0	150,6	102,7	20,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის ნოემბრის დადგენილებებისა

გვ.

1261. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათათვის ჯიშიანი თესლის დამატებით მიცემის შესახებ 3

1262. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის ავტოსაფარების მიცემის შესახებ 4

1263. საიდუმლო

1264. საიდუმლო

1265. გურჯაანის კინოთეატრის მშენებლობის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ 5

1266. თიანეთის რაიონის სოფელ თელენჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობისათვის სატვირთო ავტომანქანის ჩამორთმევის შესახებ . . . 6

1267. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ 8

1268. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ 14

1269 მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ 22

1270. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ 27

1271. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის თაობაზე მიღებული 1944 წლის 27 მარტის № 288 დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ 34

1272. სრულიად საიდუმლო

1273. ბეწვეულისა და ჭურჭნედლეულის დამზადების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ 35

1274. საიდუმლო

1275. 1944—1945 წლის ზამთარში ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნარგავებისა და ნერგების ყინვისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ . . . 38

1276. საიდუმლო

1277. საიდუმლო

1278. კომლობრივი წიგნებისა და სასოფლო საბჭოების სააღრიცხვო ფორმების დამზადებისა და დაგზავნისათვის სახსრების გაცემის შესახებ 43

1279. სარეწაო კოოპერაციის არტელ „საჭრომტყავის“, „სარეწაო ქალალდისა“ და „გემოს“ და ინვალიდთა კოოპერაციის არტელ „მეურნის“ გამგეობათა შტატების შესახებ 44

1280. საიდუმლო
1281. საიდუმლო
1282. საიდუმლო
1283. ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით სპეკულაციისა და როგორც ცალკეული აგრეგატებისაგან, ისე ნაწილებისაგან ავტომანქანების უკანონოდ აწყობის ფაქტების შესახებ 49
1284. შეშის მომარაგებისა და მისი გადმოზიდვისათვის საჭირო ვაგონების განაწილების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ 54
1285. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ „ახალი 1944—45 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლების მომზადების თაობაზე“ გამოტანილი 1944 წლის 22 მაისის დადგენილებისა და „ახალი 1944—45 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლების მომზადების საკითხზე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 22 მაისის № 531 დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე“ მიღებული 1944 წლის 19 აგვისტოს № 934 დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ 93
1286. დასაძველებლად შენახული 2200 დეკალიტრი ღვინის გადამდგ გაჯავშნის შესახებ 97
1287. ზუგდიდის თეატრის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შეცვლის შესახებ 98
1288. ადგილობრივი სამშენებლო მასალებისა და ადგილობრივ დამზადებული ხე-ტყის ფასების შეცვლასთან დაკავშირებით მშენებლობისათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ 99
1289. ბაზრებში ზედმეტად მიღებული შემოსავლის ხარჯზე საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის სახსრების გაცემის შესახებ 113
1290. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ . . 115
1291. ქუთაისი—წყალტუბოს წყალსადენის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ 116
1292. 1945 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის რაოდენობის გამორკვევის შესახებ 117
1293. ფოთის საქალაქო აღმასკომის, მახარაძისა და ცხაკაიას რაიაღმასკომების შუამდგომლობა 1944 წლის ბიუჯეტით ზედმეტად შემოსულ სახსრებიდან ქალაქების კეთილმოწყობის გადაუდებელ ღონისძიებებისათვის სახსრების მიცემის შესახებ 120
1294. თეატრების კაპიტალური რემონტისათვის სახსრების გაცემის შესახებ 121
1295. ჩაის ფაბრიკის, ნავთსაჭაჩი სადგურისა და სუფსის რკინიგზის სადგურის წარეცხვისაგან დასაცავად მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების შესახებ 122
1296. ქალაქ ქუთაისში ამხანაგ სტალინის მონუმენტის დადგმის შესახებ 124
1297. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ზოგიერთი საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა

სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების შესახებ . . . 125
1298. ქალაქ გორში სამკითხველოს შენობის მშენებლობის შესახებ . . 127
1299. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებისა და საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . 128
1300. ზორცის მრეწველობის საწარმოთა განკარგულებაში იმ მოვების 50%-ის დატოვების შესახებ, რასაც ეს საწარმოები ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის დამზადების შედეგად ღებულობენ . 138
1301. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოსათვის ექსპერტიზის ასანაზღაურებელი და არქიტექტურული საბჭოს შესანახი სახსრის მიცემის შესახებ 140
1302. აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსათვის ქ. ბათუმში სასკოლო შენობების შესაკეთებლად 100 ათასი მანეთის დამატებით დახარჯვის ნებართვის მიცემის შესახებ 141
1303. ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის დიდ-ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მსმენელთა მიღების დამატებითი გეგმის შესახებ . . . 142
1304. საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თბილისის საპროტეზო ქარხნის მიერ საპროტეზო ნაწარმთა დამზადების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ 143
1305. სამტრედიის რაიაღმასკომის შუამდგომლობა ქალაქის კეთილმოწყობისა და სოციკულტურული ღონისძიებებისათვის 1944 წლის შემოსავლის გადამეტებით მიღებულ სახსრებიდან დამატებითი ხარჯების გაწევის შესახებ 145
1306. ქედის რაიონში სტიქიურ მოვლენათა შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ 147
1307. სრულიად საიდუმლო
1308. 1945 წლისათვის გერანის დარგვის მომზადების ღონისძიებათა შესახებ 149
1309. საიდუმლო
1310. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის 1945 წლისა და I კვარტალის შემოსავალ-გასავლის ბალანსთა პროექტების წარდგენის შესახებ 151
1311. საიდუმლო
1312. სრულიად საიდუმლო
1313. საიდუმლო
1314. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სამხატვრო პერსონალის ხელფასის განაკვეთების შესახებ 152
1315. მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა საბრუნავი სახსრების შესავსებად ქუთაისის სამშენებლო კანტორისათვის თანხების მიცემის შესახებ 154
1316. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის შუამდგომლობა 1944 წლის ბიუჯეტით დამატებითი ხარჯების გასაწევად სახსრების გაცემის შესახებ 155
1317. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებისათვის საშემოდგომო ხარბლის ჯიშიანი სათესლე მასალის მიცემის შესახებ 157
1318. საიდუმლო
1319. საიდუმლო

1320. მინდვრის თაგვების წინააღმდეგ ბრძოლის ჩასატარებლად საჭირო შხამმასალის გამოსასყიდად საქართველოს სსრ მიწსახკომისათვის სახსრების მიცემის შესახებ 158
1321. სტიქიური უბედურებით დაზარალებულ თელავის რაიონის კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ 159
1322. ჩოხატაურის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ 160
1323 ფართო მოხმარების ნაწარმის ფასების დაწესების შესახებ 162
1324. საიდუმლო
1325. არ უნდა გამოქვეყნდეს . . . . . .
1326. სამარცვლეულო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების დამზადების შესახებ 172
1327. კოლმეურნეობებში საგანგებო სამარცვლეული კულტურებისა და საკვები ბალახების თესლის გამოყოფის მიმდინარეობის შესახებ . 175
1328. სსრ კავშირის შინსახკომის აშიერკავკასიის მეტალურგმშენისათვის გაყვის ქარხანაში დასადგამად ნოსირის აგურის ქარხნიდან საშროში დოლის გადაცემის შესახებ 179
1329. ბოსტნეულის საცალო ფასების შეცვლის შესახებ 180
1330. საიდუმლო
1331. ტყიბულის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობაზე დამატებითი ხარჯების გაწევის შესახებ 181
1332. ქალაქ ფოთის ბაზრის კეთილმოწყობაზე დამატებითი ხარჯების გაღების შესახებ 182
1333. ჩაის რაიონების კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის სიმინდის დამატებით მიცემის შესახებ 183
1334. საიდუმლო
1335. საიდუმლო
1336. საიდუმლო
1337. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში მომუშავე სამედიცინო მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ 185
1338. საიდუმლო
1339. საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ 1945 წლის I კვარტალში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალების დამზადების შესახებ 187
1340. ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის ადმინისტრატიული სახლის რემონტის შესახებ 198
1341. ქუთაისის საქალაქო აღმასკომის და ჩხარის, ქუთაისის, სილნაღისა და თელავის რაიაღმასკომების სამრეწველო კომბინატების მუშაობის შესახებ 199
1342. დუშეთის რაიონის ხევსურთა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . 205
1343. ნარაზენისა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების დაწვრილ-ერთეულების შესახებ 209
1344. საიდუმლო
1345. საქართველოს სს რესპუბლიკაში ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულების და რაიონულ ორგანიზაციათა მიერ ფასიანი

შრომითი საჭაპანო ბეგრის წესით ხე-ტყისა და შე'შის დამზადების დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 210
1346. კურორტ წყალტუბოში პარკის გაშენების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ 213
1347. საიდუმლო
1348. თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის კუთვნილი „მერსედესის" მარკის მსუბუქი ავტომანქანის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ 215
1349. მწყარმოებელი მოზვრების გამოზრდისა და კოლმეურნეობათათვის მიყიდვის შესახებ 216
1350. მაზარაძის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის შენობის დასამთავრებლად 50 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ 219
1351. ალაზანჭალის თელავის დამწვევი ქვესადგურის მშენებლობისათვის 1,50 ჰექტარი მიწის გამოყოფის შესახებ 220
1352. 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ცაგერის, დუშეთის, ჭიათურისა და ჩხოროწყუს რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა განთავისუფლების შესახებ 221
1353. ქ. ჭიათურაში ი. ბ. სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ისტორიული სახლის რესტავრირების შესახებ 224
1354. საიდუმლო
1355. ახალი სატყეო მეურნეობების მოწყობის შესახებ 225
1356. საიდუმლო
1357. ქალაქ თბილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და ბორჯომში კომუნალური საცხოვრებელი სახლების რემონტის მიმდინარეობის შესახებ 232
1358. წალკის რაიონული საავადმყოფოს მშენებლობის დამთავრებისათვის საჭირო სახსრების გაცემის შესახებ 239
1359. დამბმარე მეურნეობებიდან 1944 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიღების გეგმის შესახებ 241
1360. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სატრაქტორო პარკის მდგომარეობის შესახებ 245
1361. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 ქიმჭარხანაში მწრალი წებოს გამოშვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ 246
1362. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს სამტრედიის აგურის ქარხანაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ სამტრედიის აგურის ქარხნის ყოფ. ტექნიკური ხელმძღვანელი ძიძიშვილის მიერ შემოტანილი განცხადების შემოწმების შედეგების შესახებ 248
1363. პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ 251
1364. საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების და ქალებისა და ბავშვების სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 253
1365. სოხუმის დრამატიული თეატრის შენებლობისა და სოხუმის სამშენებლო კანტორის მოწყობის შესახებ 278
1366. საიდუმლო
1367. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის

წარმოების კარტოფილის ფქვილის 1944 წლის IV კვარტალისათვის განაწილების შესახებ 279
1368. ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 281
1369. საიდუმლო
1370. დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის 25 ათასი მანჯთის მიცემის შესახებ 284
1371. საიდუმლო
1372. საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობის კაპიტალური რემონტისათვის სახსრების გაცემის შესახებ 285
1373. ალაზნის სარწყავი სისტემის მდგომარეობის შესახებ 286
1374. კალიფორნიის ფარიანასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ . . 293

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი კომუნისტი, თბილისი ლენინის ქ. № 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა